19-26
1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI
© ყოველდღიური გაზეთი
№ 9 (303)
ფასი 30 თეთრი



## ...ქართველოს პრეზიდენტის ედუარდ ...ევარდნაძის განცხადება:

...ალშფოთებელი ტერორისტული აქცია ტრაპიზონში, ჩეჩნეთის ...ედია, ისევე, როგორც ბარბაროსული ტერორისტული აქტები ...ოვსკში და ყიზლარში დასაბამს აფხაზეთიდან იღებენ. ...ხიურმა დახვრეტებმა, სხვადასხვა ეროვნების ხალხთა გენოცი... და ეთნონმენდამ, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა და ...ლმა ბოევიკებმა მოაწყვეს, დაუსჯელი დარჩა. რომ არ ...ყო აფხაზეთის ტრაგედია, არ იქნებოდა სხვა დანარჩენიც. ...რწმუნებული ვარ, რომ მეგობარი თურქეთი და მისი მთავრობა ... ღონეს იხმარენ უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად.

პრეზიდენტის პრესსამსახური

საქინფორმი

## ...პროტესტო აქციათა კასკადი და ...ვლავ აფხაზეთი

...8 იანვარს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა თბილისში რუსეთის ...სთან გამართეს მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ...თის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ...ეიშვილი. მან თანამემამულეებს მოუწოდა წმინდა ომისკენ ...რატისტთა წინაალმდეგ, რომელთაც აფხაზეთის ოკუპაცია მოა... მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ბორის ელცინი ...ა თამაშს ეწევა. მათ აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის დაუყოვ... გაყვანა და რეგიონში ისეთივე სამხედრო მოქმედებათა ... მოითხოვეს, როგორსაც რუსეთი ეწევა ჩეჩნეთში.

...ნგურის ხიდზე კი გადაკეტილია ავტომაგისტრალი. აქ გრძელ... აფხაზეთიდან ლტოლვილთა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია. ... უკვე 1000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. გადაკეტილია, ..., ჯვარსა და დარჩელში მიმავალი გზები. ზუგდიდში ...მილი ოთხმხრივი შეხვედრა არ გამართულა.

მოსკოვში გრძელდება კონსულტაციები ქართულ-აფხაზური კო...ქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. აქ მომზადებულ დოკუმე... განსახილველად წარმოადგენენ დსთ ქვეყნების მეთაურთა ...რებაზე 19 იანვარს.

BGI

## მოკლედ

### ოპოზიცია ხელშეკრულების წინააღმდეგია

ეროვნული ოპოზიციური ძალები რუსეთ-საქართველოს დიდი ხელშეკრულების რატიფიკაციის წინაალმდეგნი არიან. ამასთან დაკავშირებით, 19 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შტაბბინაში ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები აწყობენ პრესკონფერენციას.

BGI

### მიიღო თურქეთის ელჩი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო საქართველოში თურქეთის ელჩი თევფიკ ოქიაუზი. მინისტრმა აღშფოთება გამოხატა ტრაპიზონში ტერორისტთა მიერ სამგზავრო ბორანის ხელში ჩაგდების გამო. ი.მენაღარიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ თურქეთის მთავრობა შესძლებს ტერორისტების ნეიტრალიზებას, მძევალთა გათავისუფლებას და საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური თანამშრომლობა ტერორიზმის წინაალმდეგ ბრძოლის სფეროშიც გავრცელდება.

BGI

### კრიმინალური ქრონიკა

16 იანვარს რუსთავში დაკავებულ იქნა მხედრიონის ყოფილი წევრი როინ ლაბაძე, რომლის ბინაშიც აღმოაჩინეს ერთი ავტომატი ორი მჭიდითა და ოთხი ვაზნით, მცირეკალიბრიანი თვითნაკეთი რევოლვერი, სამი ხელყუმბარა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტი. 17 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორთან მდებარე ტბის წყალსადენის მილში იპოვეს რვა ყუმბარა, 4 ტყვიამფრქვევი და 10 ავტომატი.

იფრინდა

## პოლიტიკა

# რუსეთი — ორმაგი თამაშის მსხვერპლი

ჩეჩნეთის კრიზისის პირველივე დღეებიდან დუდაევი და მისი მომხრეები იმუქრებოდნენ, რომ მთელ რუსეთს ტერორისტული აქტების არენად აქცევდნენ. ახლა, როგორც ჩანს, სწორედ ეს ეტაპი დადგა, თანაც, მეამბოხე ტერორისტები გასცდნენ რუსეთის ფარგლებს და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნურმა ტერორიზმმა საერთაშორისო მასშტაბები მიიღო.

პირველი სერიოზული საგანგაშო სიგნალი ქალაქ ბუდიონოვსკიდან გაისმა, როდესაც შამილ ბასაევის ბოევიკები დაუბრკოლებლად გადავიდნენ კრასნოდარის მხარის ტერიტორიაზე, სრული აღჭურვილობით კოლონად გაიარეს რამდენიმე ასეული კილომეტრი და ბუდიონოვსკის საავადმყოფოში გამოამწყვდიეს ლამის ნახევარი ქალაქი. საზოგადოებას კარგად ახსოვს რუსეთის პრეზიდენტის აღშფოთებული გამოსვლა, რომელშიც იგი ვერ ფარავდა რისხვას შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისა და სასაზღვრო ჯარების სარდლობის მიმართ. მაშინ კრიტიკული სიტუაცია შედარებით მშვიდობიანად მოგვარდა — ბოევიკებს ჩეჩნეთში დაბრუნების საშუალება მისცეს, რის სანაცვლოდაც, მათ მძევლები გაათავისუფლეს. და მაინც, როგორც ჩანს, ეს შემთხვევა რუსი გენერლებისთვის მუნდირის შეურაცხმყოფელ ლაქად დარჩა და ამ ლაქის ჩამორეცხვა მათ უკვე დაღესტანში სალმან რადუევის რაზმის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის აღკვეთისას სცადეს, თუმცა, ობიექტურად თუ შევაფასებთ, სოფელ პერვომაისკზე განხორციელებული „წარმატებული" შეტევა რუსეთის სამხედრო ისტორიის ერთ-ერთ სამარცხვინო ფურცლად იქცევა.

დაღესტანში განხორციელებული ტერორისტული აქტი დასაწყისში ბუდიონოვსკის მსგავსი სცენარით ვითარდებოდა. 600-მდე შეიარაღებულმა ჩეჩენმა კვლავ შეუმჩნევლად გადალახა პრეზიდენტ ელცინის პირადი ბრძანებით საგანგებოდ გამაგრებული საზღვრები, კოლონად გაიარა რამდენიმე ასეული კილომეტრი და დაღესტნის ქალაქ ყიზლარში მძევლად აიყვანა 3000-მდე ადამიანი. რუსეთის ჯარმა კვლავ შემოარტყა ალყა ქალაქს, კვლავ გაიმართა მოლაპარაკებები ტერორისტებთან და, მიუხედავად რადუევის მტკიცებისა, ბუდიონოვსკის შეცდომებს არ გავიმეორებთო, მაინც შეთანხმდნენ, რომ თუ მძევლებს გაათავისუფლებდნენ, ტერორისტებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაბრუნების საშუალებას მისცემდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, რუს გენერლებს კვლავ გულს ულრღნიდათ ბუდიონოვსკში ნაჭამი სირცხვილი და ამჯერად რადიკალური მოქმედებისთვის იყვნენ განწყობილნი. დაღესტან-ჩეჩნეთის საზღვარზე კოლონა შეაჩერეს, ტერორისტებს მძევალთა გათავისუფლება და იარაღის დაყრა უბრძანეს — მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ გაგატარებთ ჩეჩნეთისკენო. რასაკვირველია, ბოევიკები არც ისე ბრიყვები აღმოჩნდნენ და მძევლებთან ერთად დაღესტნის სოფელ პერვომაისკში გამაგრდნენ. რუსმა სამხედროებმა ალყა შემოარტყეს სოფელს და უმცირეს დეტალებამდე ზუსტად დაგეგმეს მძევალთა გათავისუფლების ოპერაცია. ყოველ შემთხვევაში, ასე მოახსენეს პრეზიდენტს, რომელიც ტელეეკრანიდან კმაყოფილი ჰყვებოდა და დემონსტრირებასაც ახდენდა, თუ როგორ ჰყავდათ სნაიპერებს მიზანში აყვანილი თითოეული ტერორისტი. მაგრამ, როგორც ჩანს (და ეს აშკარად განაცხადა რუსეთის ტელევიზიამაც), ელცინი კვლავ შეცდომაში შეიყვანეს, როდესაც დაჰპირდნენ, რომ ოპერაციას მძევალთათვის მაქსიმალურად უსაფრთხოდ განახორციელებდნენ და რამდენიმე საათში დაასრულებდნენ. რეალურად კი, პერვომაისკზე შეტევა ძლიერი საარტილერიო მომზადებით (რომელიც ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა) დაიწყო და ძნელი დასაჯერებელია, რომ „გრადის" ან ვერტმფრენიდან გასროლილ სარაკეტო ჭურვს ტერორისტი და მისი მსხვერპლი ერთმანეთისგან გაერჩია. შეტევის პირველივე საათებიდან აეკრძალათ ჟურნალისტებს პერვომაისკისკენ მოძრაობაც კი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო არა მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვით, არამედ იმით, რომ რუსი სამხედროების აზრით, პერვომაისკში „გადასალები და აღსაწერი არაფერი იქნებოდა". გინდა თუ არ გინდა, თავისთავად ჩნდება აზრი: ვინც ოპერაციას გეგმავდა, მან იმთავითვე კარგად უწყოდა, რომ ტერორისტთა სალიკვიდაციოდ არაფერს მოერიდებოდა, თვით მძევალთა შეწირვასაც კი. მოკლედ, რუსმა გენერლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილი პრინციპი — „Лес рубят, щепки летят". პრეზიდენტ ელცინს იმაშიც მოატყუეს, რომ ოპერაცია რამდენიმე საათში დამთავრდებაო. 15 იანვარს დაწყებული შეტევა დღემდე გრძელდება და რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა გადასცა სასწაულით გადარჩენილი ერთი მოხუცის მიერ აღწერილი შემზარავი სურათი: მთელი პერვომაისკი ცეცხლის ალშია გახვეული, „გრადებისა" და სარაკეტო დანადგარების ჭურვებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს სოფლის ცენტრში, სადაც განლაგებულია მეჩეთი და სკოლა — ბოლოს სწორედ ამ შენობას აფარებდნენ თავს ტერორისტები და, რაც ყველაზე მთავარია, აქვე ჰყავდათ გამომწყვდეული მძევლები.

ტერორიზმის ნებისმიერი

იხ. გვ. 2 გვ.

## დისპლეი—სამკითხველო

## ...ლან დინ ფოსტერი (აშშ)

# ...ვისინათლეები

### ფანტასტიკა



...ელსს ბედმა უმუხთლა. ოღრობო...ხასთან ბრძოლაში, როგორც ყო...ის, ისევ გზამ გაიმარჯვა, და ახლა ...ქანა, ძველ ავტოგასამართ სად..., უსარგებლო რეზინის ბურთი...ანაქებაში ეგდო. ჯინსებში გა...ილი, მანქანის ზეთში ამოსვრი...კებიანი ახალგაზრდა „კამერას" ... კასრში ატრიალებდა.

...სულ დახეულია, მისტერ, აი, ნა...

...ელსმა ბუშტები შეამჩნია, წყალში ...ული „კამერიდან" ზედაპირზე ...ამოდიოდნენ.

...ვხედავ. რა ვქნა?

...ხვალ კარიბოზოდან ახალს ჩა...ტანთ, დააიმედა მექანიკოსმა. – ...ვე წავიდოდი, მაგრამ მაღაზიები ... დაიკეტება. თანაც მარტო ვარ. მი...ტერ ორღუკი სანტ-ფეში გაემგზავრა ... სტუმრად. – გამოდის ღამის გათევა აქ მომიწევს... – უელსმა აგუა-კალენტის მხარეს გაიხედა. აგუა-კალენტი პატარა ქალაქი იყო, სადაც რამდენიმე ათეული სახლი იდგა. – ქალაქში მოტელი არის?

– დიახ, სერ, არის. – მექანიკოსი შემობრუნდა, ზეთიან ხელებს ჩვრით უხერხულად იწმენდდა. ჩვარზე ზეთი უფრო მეტი ეცხო, ვიდრე მის ხელებს. მან ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ხელი, – ერთ კვარტალს გაივლით... პატარა კვარტალია, – დაუმატა, რადგან უელსის ქალაქური გამოთქმა გაახსენდა უცბად, – მერე ბი-სტრიტზე მარჯვნივ შემობრუნდებით და ორი კვარტალის შემდეგ მიადგებით „მესკალიეროს". გვერდით ამავე სახელწოდების კაფეა.

– კარგი კაფეა?

– ერთადერთი კაფეა. აქედან ერთი მილის დაშორებით რესტორანიც არის, „სტაკისი". თუ არ დაგეზარებათ...

იხ. გვ.—4 გვ.

# რუსეთი — ორმაგი თამაშის მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

გამოვლინება, მით უმეტეს ისეთი მასშტაბებით და ისეთი სისასტიკით, როგორითაც ამას ჩეჩენი ბოევიკები აკეთებენ, დასაგმობი და აღსაკვეთია, მაგრამ ყოვლად მიუღებელია მოქმედების ის სტილი და მეთოდები, რომელიც რუსმა სამხედროებმა გამოიყენეს პერვომაისკში. საერთაშორისო საზოგადოებამ, განვითარებულმა ქვეყნებმა ტერორიზმთან ბრძოლის საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვეს. არსებობს კლასიკური მაგალითები ტერორისტთა განიარაღება-განადგურებისა ისე, რომ მძევლებს განაკაწრიც არ დარჩენიათ. ასეთადაა მიჩნეული 1975 წელს ისრაელის სპეცდანიშნულების რაზმის მიერ პალესტინელ ტერორისტთაგან უგანდაში გატაცებული აერობუსის გათავისუფლება, ან 1994 წელს პარიზის ჟანდარმერიის მიერ ისლამური შეიარაღებული ფორმირების ბანდიტთაგან 200 მძევლის დახსნა. პერვომაისკიდან კი, რუსეთის სპეცრაზმების შეტევის შემდეგ, მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა და სასწაულებრივად გამოპარული ორიოდ ათეულამდე მძევალი გადარჩა. მთელ ამ შემზარავ სურათს კიდევ უფრო ამძიმებს „კომსომოლსკაია პრავდაში“ მოთხრობილი ერთი ეპიზოდიც: შეტევაზე გადასულმა ფედერალური ძალების მებრძოლებმა ბალჩაში აღმოაჩინეს ლონემიხდილი გამოქცეული მძევალი, რომელსაც კარგა ხანს სცემდნენ ავტომატის კონდახებით, რათა „დაედგინათ“, მართლა მძევალი იყო თუ არა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩეჩენმა ბოევიკებმა რამდენჯერმე სცადეს პერვომაისკის ალყიდან გამოღწევა ისე, კითომ მშვიდობიანი მოქალაქეები ყოფილიყვნენ. ამიტომ რუსმა ჯარისკაცებმა „შეცდომა“ რომ არ დაეშვათ, ამ დაუძლურებული და ნაგვემი, ძლივს სამშვიდობოს გამოსული რუსის დახვრეტა გადაწყვიტეს, თუმცა, ვერ მოასწრეს, რადგან უცბად ხელჩართული ბრძოლა ატყდა და უბედურმა მძევალმა ამჯერად თავისიანებისგან გაქცევით უშველა თავს.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: საერთოდ ჩეჩნეთის ომმა, განსაკუთრებით კი ბოლო დღეებში მომხდარმა მოვლენებმა, უაღრესად დასცა რუსეთის არმიის პრესტიჟი. თითქმის სამი დღე-ღამის განმავლობაში, ავიაციის, არტილერიისა და სარაკეტო დანადგარების გამოყენებით უტევდნენ რამდენიმე ასეული (ზუსტი ციფრი ცნობილი არ არის, მაგრამ ზოგიერთი მონაცემით, მაქსიმუმ ექვსასი კაცი) ბოევიკის მიერ გამაგრებულ სოფელს რუსეთის რჩეული სპეცდანიშნულების ნაწილები და, უზარმაზარი მსხვერპლის ფასად, ოპერაცია წარმატებით მაინც ვერ დაასრულეს. ასე რომ, რუსული იარაღის უძლეველობის შესახებ საბჭოურ პერიოდში შექმნილი მითის დღეს აღარავის სჯერა. შედარებისთვის ასეთი ფაქტიც კმარა: ამერიკელებმა სულ რამდენიმე ჯარისკაცი დაკარგეს ერაყთან — მართლაც მილიტარიზებულ ქვეყანასთან ომში და, ფაქტობრივად, ამას გადაჰყვა ჯარების სარდალი შვარცკოფი. თვით რუსი გენერლებიც აღიარებენ, რომ დისციპლინით, გაწვრთნილობით და ბრძოლისუნარიანობით ჩეჩენი ბოევიკები ბევრად აღემატებიან ფედერალური ჯარების მებრძოლებს და ეს უკანასკნელნი საომარ წარმატებებს მხოლოდ რაოდენობისა და დიდი მსხვერპლის ხარჯზე აღწევენ. რუსეთის პრესა და ტელევიზია, სრულიად აშკარად, პირუთვნელად აღიარებს ამას და ბრალს სდებს სამხედრო ხელმძღვანელობას არმიის დემორალიზებაში. საერთაშორისო საზოგადოება კარგად ხედავს ყველაფერ ამას, რის უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი: ჩერქეზულ-ჩეჩნური წარმოშობის ტერორისტებმა, არც მეტი, არც ნაკლები, დაატყვევეს სამგზავრო გემი სოჭი-ტრაპიზონი, რომელზეც 260 მგზავრი იმყოფება და ხომალდის ბოსფორის სრუტეში აფეთქებით იმუქრებიან. რუსეთმა თურქეთის ხელისუფლებას მოსთხოვა მძევალთა გათავისუფლების ღონისძიებებში მონაწილეობის ნება დაერთო, მაგრამ თურქებისგან ცივი უარი მიიღო. მოსკოვი აღშფოთებულია — ვერ მონაწილეობს საკუთარი მოქალაქეების დახსნაში, მაგრამ ეს თურქებს გულს ვერ უჩუყებს, რადგან მათ ჭეშმარიტად არ სურთ გემის აფეთქება, რადგან მგზავრთა შორის 46 თურქეთის მოქალაქეა და მათი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ გაშიშვლდა რუსეთის ძალისმიერი, უხეში და მოუქნელი ქმედებების უსუსურობა, ქმედებებისა, რომელიც არა გონიერ ტაქტიკას, არა გააზრებულ ნაბიჯებს, არამედ რაოდენობრივ სიჭარბეს და სვერხდერჟავულ ცრუ ამბიციებს ემყარება.

როგორც ჩანს, ჩეჩენი ბოევიკები ტაქტიკას ცვლიან და ტოტალურ ტერორზე გადადიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი შეუზღუდავნი არიან როგორც მასშტაბების, ისე სისასტიკის მხრივ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სისხლმდენი იარა, რომლის გაჩენაშიც თავად რუსეთსაც დიდი წვლილი მიუძღვის, კიდევ დიდხანს დარჩება რუსეთის სხეულზე და მრავალ უბედურებას მოუტანს. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ჩეჩნეთის კონფლიქტი, განსაკუთრებით ბოლო დღეების მოვლენები, უმძიმესი დარტყმა იქნება პრეზიდენტ ელცინისთვის, რომელიც, კარგად ინფორმირებული წყაროების თანახმად, აპირებს საკუთარი კანდიდატურის წარდგენას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ხშირად გაისმის, რომ ელცინი ვერ ფლობს სიტუაციას, პრეზიდენტი კი ამას ყოველდღე ადასტურებს. ეს, რა თქმა უნდა, მოახლოებული საარჩევნო ბატალიების წინ მინიმუმამდე ამცირებს ბორის ელცინის შანსებს.

დაბოლოს, გარდა იმისა, რომ ყოველივე ჩვენი საზღვრების უშუალო სიახლოვეს ხდება, პოლიტიკური სტრატეგიის თვალსაზრისითაც, ჩეჩნეთის კონფლიქტიდან გამოტანილმა სწორმა დასკვნებმა მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვროს საქართველოს ხელისუფლების ტაქტიკა რუსეთთან ურთიერთობაში. აუცილებელია, დარწმუნდეს რუსეთის ხელისუფლება, რომ ტერორიზმთან და აგრესიულ სეპარატიზმთან ბრძოლას კომპლექსური, ყოველდღიური ღონისძიებები სჭირდება და ყოვლად დაუშვებელია ე.წ. ორმაგი თამაშის პოლიტიკა ანუ როცა დეკლარაციულად იგმობა მე-20 საუკუნის ეს უმძიმესი სნეულებები, ფარული ხელით კი, ექსპანსიური პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის, ათასნაირ დახმარებას იღებენ ტერორისტულ-სეპარატისტული რეჟიმები. რუსეთი უნდა დარწმუნდეს, რომ ამგვარი ორმაგი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, თავად უბრუნდება უმძიმესი შედეგებით და საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრიობას.

პაატა ვეშაპიძე

# კიტოვანის სასამართლო გრძელდება

გუშინ ისნის რაიონის სასამართლოში გაგრძელდა თენგიზ კიტოვანის, ირაკლი სურგულაძისა და ვალერი ფისიუნის სასამართლო. სხდომის დაწყებისთანავე ვ.ფისიუნმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ დაკავების პერიოდში დაირღვა მისი უფლებები, კერძოდ: მას არ შეატყობინეს, რომ იგი რუსეთის დუმის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად იყო დასახელებული ერთ-ერთი საარჩევნო ბლოკის მიერ; დაკავების დროს მას წაართვეს მაცხოვრის და წმინდა გიორგის ხატები, „რის გამოც ვერ ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს“; ჩხრეკის დროს წაართვეს გარკვეული სახის ლიტერატურა, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებიათ და ამიტომ წართმეული აქვს ინტელექტუალური საქმიანობის უფლება; 1995 წლის 24 თებერვლიდან ფისიუნი გადაიყვანეს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების საკანში, რის შედეგადაც თვითონაც დაავადდა და შემდგომში ნორმალურად არ უმკურნალეს. „სანამ ჩემს უფლებას არ აღადგენთ, უარს ვამბობ სასამართლოში მონაწილეობაზე,“ — განაცხადა ვ.ფისიუნმა.

ბატონმა ირაკლი სურგულაძემ წაიკითხა მოზრდილი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გამოძიება მიმდინარეობდა ცალმხრივად, იგორ გიორგაძის მიერ წინასწარ შემუშავებული სქემით, რომელიც მთლიანად გაიზიარა პროკურატურამ. იგორ გიორგაძის მიზანი იყო ეროვნული იდეის დისკრედიტაცია, რის გამოც მან ყველაფერი იღონა, რომ ეროვნული ხსნის ფრონტისთვის უკანონო შეიარაღებული ფორმირების იარლიყი მიეკერებინა. ფრონტი სერიოზული ძალა იქნებოდა გიორგაძის გეგმის — შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების — ჩასაშლელად, აგრეთვე, რუსეთის სურვილის — აფხაზეთის საშუალებით საქართველოს სამხედრო ბლოკებში ჩათრევის და ოკუპაციის განხორციელების წინააღმდეგ.

როგორც თენგიზ კიტოვანმა თქვა, დასავლეთ საქართველოსკენ მსვლელობაში მონაწილეობდა 1500 კაცი, რომელთაც მხოლოდ 25 ავტომატი [...] ჩნდათ. ცნობილია ისიც, [...] ავტომატის მფლობელთა[...] კაცი უშიშროების თანამ[...] ლი იყო და ისინი [...] დღესვე გაათავისუფლეს.

ირაკლი სურგუ[...] თქმით, ფრონტის მოღვაწ[...] მიზანი იყო არა ხელისუფ[...] ბასთან კონფრონტაცია, [...] მედ სახელმწიფოებრიობ[...] ტერიტორიული მთლიან[...] აღდგენა, მან კატეგორი[...] მოითხოვა, რომ საქმე [...] ხილათ, როგორც პოლიტ[...] და არა კრიმინალური, [...] ღმდეგ შემთხვევაში [...] უარს იტყვიან სასამართ[...] მონაწილეობაზე.

სხდომის დასასრულს, [...] ლერი ფისიუნმა განაცხ[...] რომ საბრალდებო დ[...] რომელიც მას ჩააბარეს, [...] რილია ხელით, თანაც [...] სხვადასხვა პიროვნების [...] და არ იკითხება, რის [...] ვერ შეძლო გაცნობოდა. [...] სიუნის ამ განცხადების [...] სასამართლო მომდევნო [...] მდე გადაიდო.

სოზარ სუბელიან[...]

## უცხოეთი

### ერაყი უარყოფს

ბაღდადმა კატეგორიულად უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ იგი თითქოს მზად არის გაეროსთან ერთად განიხილოს გეგმა რომელიც ერაყს საშუალებას მისცემდა გაეყიდა ნავთობის გარკვეული რაოდენობა ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის სურსათისა და მედიკამენტების შეძენის მიზნით. ბაღდადის საინფორმაციო საშუალებათა მტკიცებით სინამდვილეს არ შეესაბამება ცნობა, რომ ამგვარი განცხადება გაეროში ერაყის ელჩმა გააკეთა. რაც შეეხება, ამ ფაქტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს, რადიო „ამერიკის ხმა“ იუწყება, რომ გასულ სამშაბათს გაეროს დიპლომატთა განცხადებით, ერაყის წარმომადგენელმა გამოთქვა მისი ქვეყნის მზადყოფნა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებით მოლაპარაკების გამართვის შესახებ. ერაყი ირწმუნება, რომ მისთვის მიუღებელია ხსენებული გეგმის პირობები, რომლებიც მეთვალყურეობას ითვალისწინებს.

### არჩევნები მაინც გაიმართება

ისრაელმა განაცხადა, რომ პალესტინელთა არჩევნები მიმდინარე კვირაში გაიმართება, როგორც ეს ადრე იყო დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ გასულ სამშაბათს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ტერიტორიაზე მოკლეს ისრაელის 2 ჯარისკაცი.

### კორუფცია ინდოეთში

ათეულობით მილიონი დოლარის ქრთამის სახით ალებასთან დაკავშირებით ინდოეთის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მთავრობის მაღალი რანგის რამდენიმე პოლიტიკოსისა და ოპოზიციის წარმომადგენლის წინააღმდეგ. მათ კორუფციაში ედებათ ბრალი.

### „არ არის დაფარული, რომელი არა გაცხადდეს“...

საფრანგეთის განსვენებული პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის ექიმმა კლოდ გაბლერმა სათაურით „დიდი საიდუმლო“ გამოსცა წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიტერანი 11 წლის მანძილზე იტანჯებოდა კიბოთი და ეს ფაქტი სახელმწიფო საიდუმლოების დონეზე იმალებოდა.

### რუსეთი ჯერჯერობით უსპიკეროდაა

რუსეთის ახლადარჩეული პარლამენტის პირველივე სესიაზე მწვავედ გააკრიტიკეს ბორის ელცინი, რომელიც ვერაფრით აგვარებს ჩეჩნეთის კრიზისს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დუმის დეპუტატებს განსხვავებული პოზიცია უკავიათ ელცინის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოტანის საკითხში. გარდა ამისა, ვერ მოხერხდა ახალი სპიკერის არჩევა კენჭისყრის ორი რაუნდის მეშვეობით, რომელიც სამშაბათს გაიმართა. ამ დღეებში პოსტიდან გადადგა რუსეთის პირველი ვიცეპრემიერი ანატოლი ჩუბაისი, რომელიც ცნობილია, როგორც ეკონომიკური რეფორმების მომხრე.

### მიწისძვრის პირველი წლისთავის აღსანიშნავად

იაპონიის ბუდისტურ ტაძრებში ზარების რეკვით და ერთდღიანი გლოვით მიაგეს პატივი ქვეყნის ქალაქ კობეში შარშან ამ დროს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს დაღუპულთა ხსოვნას. როგორც ცნობილია, სტიქიამ მიწასთან გაასწორა კობე. მიწისძვრამ 6 300-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 250 000-ზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაში ეს იყო ყველაზე კატასტროფული მიწისძვრა. ქალაქის მთავარ სასახლეში გაიმართა დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია, რომელშიც იაპონიის სამეფო ტახტის მემკვიდრე პრინცი ნარუჰიტო და ქვეყნის ახალი პრემიერმინისტრი ჰაშიმოტო მო[...]ლეობდნენ.

### „აფრაზია“ კვლავ ტერორისტთა ხელშ[...]

მას შემდეგ, რაც ჩეჩენ მეამბო[...] ხელში მყოფი მძევალთა უმეტესი ნაწ[...] გათავისუფლების იმედი გადაეწურ[...] სეთის შეიარაღებულმა ძალებმა მ[...] შეტევა განახორციელეს პერვომაის[...] მიმართულებით. ფედერალური [...] „გრადის“ ტიპის რეაქტიულ ჭურვებს [...] ნენ ჩეჩენთა პოზიციებს, აქტიურად [...] ბენ, აგრეთვე მძიმე არტილერიასა და [...] დრო შვეულმფრენებზე დამონტაჟ[...] რაკეტებს. რუსეთის ოფიციალურ [...] განცხადებით, მეამბოხეებმა მრავალი [...] ვალი დახვრიტეს. ჩეჩნები ამ ბრალდ[...] უარყოფენ. რაც შეეხება ჩეჩნურ-ჩე[...] ზული წარმომავლობის თურქეთის [...] ლაქეთა ხელში ჩაგდებულ საზღვაო [...] „აფრაზიას“, ტერორისტები კვლავ [...] აფეთქებითა და ბოსფორის სრუტეში [...] რვით იმუქრებიან, თუკი რუსები არ [...] ნიან ალყას პერვომაისკოეს და არ გა[...] ნენ თავიანთ ნაწილებს ჩეჩნეთიდან. [...] გახსენებთ, რომ ბორანზე 200-ზე [...] ადამიანი იმყოფება, რომელთა უ[...] ლესობა რუსია.

### ცვლილებანი კონსტიტუციაში

შრილანკის მთავრობამ გამო[...] ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ[...] ლებათა პროექტი. ხელისუფლებას [...] აქვს, რომ ამ შესწორებათა დაკ[...] დასრულდება 12-წლიანი ეთნიკურ[...] ლიქტი ყოფილ ცეილონში. ამ დო[...] საფუძველზე შეიქმნება 8 ავტ[...] ოლქი, რომელთაც ადგილობრივ[...] ბის არჩევის უფლება მიენიჭებათ. [...] კი პარლამენტართა სულ ცოტა, ო[...] მედმა მაინც უნდა დაამტკიცოს, [...] შემდგომაც მას ეროვნულ რეფერ[...] ზე განიხილავენ.

მეუღლე რიმა, შვილები ნაზი, გიორგი ქურხულები, და მარიამი, შვილიშვილები მაია, რუსუდანი, ნინო, რძალი მანანა არჩვაძე, სიძე ნოდარ მგელაძე, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ ივანეს ძე ქურხული

პანაშვიდი: 18, 19 იანვარს, 7 საათზე;
დაკრძალვა: 20 იანვარს, 2 საათზე;
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-3 კვარტალი, 18 კორპუსი, I სადარბაზო, I სართული.

# წიგნი საქართველოს მდგომარეობისთვის

...წლის ბოლოს ამერი- ...ოთებული შტატების ...ქალაქ ნეშვილში ინგ- ...ენოვანი მკითხველისთვის ... აკადემიკოს როინ ...ის წიგნი „GEORGIA“. ...ქვეყნებულია გამომცემელ- ...ერთაშორისო საზოგადო- ...ბა.

... განკუთვნილია საქა- ... დაინტერესებული ...ებსა და საქმიანი ...ებისთვის, რომელთა მი- ...საქართველოსთან მჭიდრო ... დამყარება. ...RGIA“ ხალასი ენითაა ნა- ...მკითხველთათვის პრაქტი- ... გამოსაყენებელი რომ ... მიანიშნებს, თუ- ...ელოში დართული ცა- ... ფურცლები, რომელთა ... წიგნის მფლობელს სუ- ...ებრ შეუძლია საქართ- ... ურთიერთობისას მიღებული შთაბეჭდილებებით, საქმიანი ინფორმაციით, დიაგრამებით და ჩანახატებით.

ამიტომ, საგანგებოდ ვურჩევთ მთავრობის, საქმიანი წრეების, ბიზნესის წარმომადგენლებს, რომელთაც კონტაქტი აქვთ უცხოელებთან, აუცილებლად შეიძინონ ეს წიგნი. იგი ხომ ძვირფასი გზამკვლევია ჩვენი ქვეყნით დაინტერესებულთათვის.

იმ დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა რომელთაც „GEORGIA“-ს შეძენის სურვილი ექნებათ, უნდა მიმართონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამმართველოს.

„GEORGIA“ შედგება თერთმეტი თავისგან. დასაწყისში დახასიათებულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, წიაღისეული, ბუნებრივი რესურსები და პოლიტიკური მოწყობა. წიგნში მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან დღემდე. საინტერესოდ და მრავლისმეტყველადაა მიმოხილული პირველყოფილი ადამიანის ხანიდან მოყოლებული, ტომთა დიდი გაერთიანებებისა და ფაიოხის და ძველბერძნული კოლონიების პერიოდის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თუ წერილობით წყაროებში დაცული მემკვიდრეობა, ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დაარსება და სახელმწიფოებრივი მოწყობა ფარნავაზ პირველის მიერ, კოლხეთისა და ქართლის სამეფოების პოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები იმდროინდელ მსოფლიოსთან.

ავტორს ხაზგასმულად აქვს წარმოჩენილი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლასა და გავრცელებას საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცის, მთლიანობის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისთვის. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დავით IV-სა და თამარის ეპოქას, ოქროს ხანასა და კულტურისა და ვაჭრობის აყვავებას XI-XII საუკუნეებში. შემდეგ კი, დაცემისა და განადგურების ხუთი საუკუნე, უცხოელ დამპყრობთა შემოსევები, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად, ოსმალთა და ირანელთა თარეში დაბოლოს, გზა რუსული მმართველობისკენ, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. ბოლო ორ თავში აღწერილია XIX საუკუნის მოვლენები, გლეხთა აჯანყებები რუს მოხელეთა წინააღმდეგ, თერგდალეულთა მოღვაწეობა და რევოლუციური მოძრაობა, 1917 წლის რევოლუცია, 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება, 1921 წლის ანექსია რუსეთის მიერ და 1990 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა. აქვე დაბეჭდილია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

მწერლისა და მეცნიერის კალმით დაწერილ წიგნს ერთვის შესანიშნავი ილუსტრაციები, საქართველოს ეგზოტიკური ხედები, ფრესკების, უმაღლესი ოქრომჭედლური ხელოვნებით დამუშავებული ხატების, ჯვრებისა და ეკლესია-მონასტრების ფოტოები.

**ლელა შეყილაძე**

პრობლემა

# რევოლუციების მარათონი „მოჯადოებული“ სახლის ირგვლივ

საქართველოში, განსაკუთრებით კო- ...ისტური რეჟიმის დამხობიდან ბოლო ...დრომდე, კანონის ან ნებისმიერი ...ების დადგენილების შესრულება აუცი- ...ებლობას აღარ წარმოადგენდა. შეეჩვია ..., რომ ამ ქვეყანაში შესაძლებელია ... კანონის შეცვლა და დადგე- ...ების უგულებელყოფა, მით უფრო, ... მართლების იდეალური პირო- ...ბოდა — მიწერდი შესაბამის ... გართულებული პოლიტიკური და ...ნომიკური მდგომარეობის გამო თქვე- ...მა და ამ დადგენილების შესრულება ...ფერხდებაო და დამთავრდებოდა ყვე- ...რი. ვინ გაბედავდა და იკითხავდა, ...ენად სამართლიანი იყო ამგვარი ...მიწერა, თვალითაც კარგად ჩანდა, ... პოლიტიკასა და ეკონომიკაში სრული ...ხი და განუკითხაობა სუფევდა.

...დღევანდელი გადასახედიდან, როცა ...ნელა ყველაფერი თავის ადგილზე ...ბა, როცა კანონსაც და დადგენილება- ... ასე თუ ისე, თავისი ადგილი მიეჩინა, ...ჩნდა, რომ ჩვენს გარშემო უამრავი ...მიანი გაიტანჯა ამ არეულობის წლე- ... ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ აპარა- ...შედეგო ბრძოლით.

...რედაქციაში შემოვიდა საქართვე- ... არქიტექტურისა და მშენებლობის ... სამინისტროს ყოფილ ტრესტ ...სომხეთმშენის“ (ასეთიც არსებობ- ...) მუშაკთა (დღევანდელი მრავალდა- ...იანი სამშენებლო-სამრეწველო ფი- „თბილისი“) კოლექტიური განცხა- ... სიმართლე გითხრათ, წერილის ...არსი უცნაურად მეჩვენა და საგა- ... სტატიის თემად თავიდან ვერც ...ვიდგინე, ცოდვა გამხელილი ...ომ მოტივით, რომ საქართველო- ...ფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ...დღის წესრიგში, მაგრამ ინსტან- ...დან ინსტანციაში გაგზავნილი სა- ...რების სერიალს და მათზე დადებუ- ... რეზოლუციების შინაარსს რომ ...ეცანი, შემაძრწუნა მშენებელთა ...ბლობამ — მეექვსე წელია, მათი ... და იმავე შინაარსის განცხადე- ...დქრის ცხრა მთავრობის ხელში, ... მთავრობა მათ მხარეზეა, ყველა ...მება მოთხოვნის სამართლიანობა- ...მაგრამ... დღემდე ეს კარუსელი არ ...რებულა, თითქოს იმ მთავრობების ...მიღებული დადგენილებების შეს- ...ება მათსავე ხელში არ იყო.

...ვლას გვახსოვს ის საშინელი მიწი- ..., რომელმაც ჩვენი მეზობელი სომხეთი დაანგრია. ისიც გვახსოვს, როგორ მოგვქონდა თავი — სტიქიის ადგილზე პირველად ჩვენ გავჩნდით, პირველებმა ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარებაო.

1989 წლის 2 მარტის №121 დადგენილებით ტრესტ „საქსომხეთმშენს“ (მმართველი ზაურ მაჭავარიანი) დაევალა დანგრეული ტერიტორიიდან 60 ათასი კვადრატული მეტრის აშენება. იმ ხალხს, ვინც მშენებლობაზე სამი წელი იმუშავა- ბდა და თავს გამოიჩენდა, ნახალისების მიზნით და გამონაკლისის სახით, დაპირდნენ 60 ბინიანი მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ტერიტორიის და სახსრების გამოყოფას. დადგენილებას ხელს აწერდა მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია.

მშენებლებმა მართლაც რომ თავდაუზოგავად იმუშავეს სომხეთის ქალაქ კალინინოს (ახლანდელი ტაშირის) და შემდგომ, ასევე, მიწისძვრით დანგრეული ამბროლაურის რაიონის ასაშენებლად. დაასრულეს საქმე, წყალიც დალიეს და ღმერთსაც შეხედეს — დაპირებულის ასრულება მოითხოვეს.

აქედან დაიწყო უსასრულო მარათონი.

სახელმწიფომ ბინის ასაშენებელი ტერიტორია გამოყო, თანხები — გარდა 16 მილიონი კუპონისა — ვერა.

მშენებლებმა ჯერ (1991 წლის 22 იანვარს) საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მიმართეს. მან, როგორც ჩანს, სამართლიანად ჩათვალა მოთხოვნა და პირდაპირ დაავალა მაშინდელი მშენებლობის მინისტრს გ.მირიანაშვილს — მიიღეთ ზომები და მომახსენეთო. მირიანაშვილმა ზომები ვერ მიიღო. მოხსენებით კი, კარგა ხნის მერე, 1992 წლის 24 თებერვალს მოახსენა, ახლა, უკვე სამხედრო საბჭოს დროს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს — თენგიზ სიგუას, რომელმაც, თავის მხრივ, ომარ ვარძელაშვილს დაავალა საკითხის მოგვარება, მაგრამ..."არსაიდან ხმა, არსით ძახილი". მიწის რეფორმით გატაცებული მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გულის მოლბობა ადვილი არ იყო, ამიტომ ბატონი გ.მირიანაშვილი კიდევ ერთხელ, 1992 წლის 3 ნოემბერს მიმართავს ახლა უკვე პრემიერმინისტრს — თენგიზ სიგუას კონკრეტული წინადადებებით, როგორც ჩანს, ბატონ მირიანაშვილს ნერვებმა უმტყუნა. იგი გადაჭრით ითხოვს, ან გადაიტანოთ საკითხის მოგვარება შემდეგი წლისთვის, ან გააუქმეთ დადგენილებაო. თანაც დასძენს, მუშაობა შეუძლებელი ხდება, სამინისტროში ყოველდღე იკრიბება 200 კაცი და კანონიერად ითხოვს დადგენილების შესრულებასო. საკითხის გადაჭრის შემდეგ, ავად თუ კარგად, ისინიც დაისვენებენ და ჩვენცო.

რეზოლუცია ამჯერადაც სახეზეა — ბატონი თენგიზი ახლა ბატონ ზურაბ კერვალიშვილს სთხოვს — ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროსთან ერთად განიხილეთ და სათანადო გადაწყვეტილება მიიღეთო. კერვალიშვილმა საკითხის შესწავლა, თავის მხრივ, სახელმწიფო მრჩეველს, ბატონ ა.ჩხეტიას დაავალა. ჩხეტიამ კატეგორიულად უარყო მირიანაშვილის მოთხოვნა წინა დადგენილების გაუქმების თაობაზე, რადგან, მისი აზრით, „ასეთი გადაწყვეტილება გამოხატავს ტრესტ „საქსომხეთმშენის“ მუშათა კლასის კანონიერი მოთხოვნებისა და ინტერესების სრულ უგულებელყოფას“.

ბატონი ა.ჩხეტია მიმართვაში აღნიშნავს — რადგან მუშათა მოთხოვნა სამართლიანია და კანონიერი, საჭიროდ მიმაჩნია საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1993 წლის გეგმაში ჩაისვასო.

აგაშენოთ ღმერთმა. ვინ იცის, იფიქრეს მშენებლებმა, ახლა მართლა ავშენდითო. მით უფრო, რომ კერვალიშვილმა კონკრეტულად დაავალა შესაბამის უწყებებს საკითხის გადაწყვეტა 1993 წლისთვის, მაგრამ...

იცვლებოდა ხელისუფლებები, მთავრობები, იცვლებოდნენ მოხელეები, იწერებოდა ახალი საჩივრები (აფერუმ, მშენებელთა მოთმინებას), იდებოდა სხვადასხვა რეზოლუცია, სახლი კი... ვერ აშენდა. ვერც მუშების შეჩერება შეძლეს. ან როგორ შეძლებდნენ, არავის უთქვამს მათთვის, არა ხართ მართალნი, არ გეკუთვნით და არ გაძლევთო. ისინიც იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ კანონიერი გადაწყვეტილების შესრულებას, ოღონდ, განცხადებებმა ახლა უფრო მაღალ ეშელონებში გადაინაცვლა.

1994 წლის 19 იანვარს მათ თხოვნით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. სახელმწიფოს მეთაურმა პრემიერმინისტრს დაავალა — მუშათა მოთხოვნა სამართლიანია, დაავალეთ შესაბამის უწყებებს და უზრუნველყავით საჭირო თანხების გამოყოფაო.

ამაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო — სახელმწიფოს მეთაური პირდაპირ ავალებს — თანხაც გამოყავით და სახლიც დაამთავრეთო, მაგრამ... ბედი არ გინდა? სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაშია და მინისტრთა კაბინეტი მოკლებულია შესაძლებლობას — დააკმაყოფილოს ტრესტის მუშაკთა თხოვნა 1994 წელს, ამიტომ საკითხის მოგვარება მან ისევ ერთი წლით გადაწია.

გავიდა ერთი წელიც.

ისევ დაიწერა საჩივრები, ისევ ჩამოტარდა რეზოლუციადადებული განცხადებები აპარატში და... კიდევ ერთხელ გადაესხა წყალი მომჩივანთა მოლოდინს — ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მ.მურჯიკნელმა ყოველგვარი შეფარვის გარეშე განაცხადა — „სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას — გამონახოს დამატებითი სახსრები საცხოვრებელი სახლის დასაფინანსებლად“...

ასე გასრულდა ეს ამბავი...

ექვსი წელი ტყუილად იტრიალა ათასმა ქაღალდმა, ექვსი წლის განმავლობაში უამრავი დრო და ენერგია შეიწირა ერთმა სახლმა, რომელიც ამხელა ქვეყანამ ვერა და ვერ ააშენა, არადა, ამ დალოცვილ ქვეყანაში მავანთა და მავანთათვის არც ომს შეუშლია ხელი და არც იარაღს. სოკოებივით მომრავლდა კერძო მშენებლობები, სახელმწიფო კი... ვერ აშენებს.

რა უნდა ქნან ახლა ყოფილი ტრესტ „საქსომხეთმშენის“ მუშებმა, კარგად არც ვიცი. მეტი რა უნდა გააკეთონ, სამინისტრო და უწყება არ დაუტოვებიათ, თავი არ დაუზოგავთ არც მუშაობაში და არც წერაში, ბოლოს და ბოლოს, მეოთხე ხელისუფლებასაც კი მიმართეს, მაგრამ ან ჩვენ შევძლებთ რამეს? ქვეყანაში, სადაც ექვსი, თუნდაც ძალზე მძიმე წლის განმავლობაში სამმა ხელისუფლებამ ერთი 60 ბინიანი სახლი ვერ ააშენა, ძნელია ისაუბრო სხვა, უფრო მასშტაბურ ღონისძიებებზე და იმაზე, რომ ერთი საგაზეთო პუბლიკაცია რამეს შეძლებს.

თუმცა, ვინ იცის...

**[illegible]**

# გამოძიება კითხვებს ბადებს

ბოლო დროს პრესაში რამდენიმეჯერ გაიელვა ერთი მკვლელობის ამბავმა.

1994 წლის 5 მაისს თბილისში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს 27 წლის ზაზა ჩიკვილაძე. მკვლელობის საქმეს იძიებდა ჯერ საბურთალოს, შემდეგ ქალაქის პროკურატურა. ძიების პირველ ეტაპზე დააკავეს მოკლულის თანაკურსელი ზურაბ ბენდიანიშვილი, რომელმაც ზ.ჩიკვილაძე სახლიდან გაიყვანა, მან აჩვენა, რომ ჩიკვილაძე შემთხვევით გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდა. იარაღი გაუვარდა ვინმე ზაზა გიუნაშვილს, რომელიც დღესაც იძებნება.

ძიებისას დაშვებული უამრავი ხარვეზის გამო, გენერალური პროკურორის ბრძანებით, რამდენიმე პასუხისმგებელი პირი დაისაჯა.

საქმე წარმოებაში ჰქონდა ორ გამომძიებელს. ამჯერად იძიებს კოტე ჯაოშვილი.

რამდენიმე ხნის წინ რედაქციაში მობრძანდა გარდაცვლილი ზაზა ჩიკვილაძის დედა, რომელმაც გვთხოვა დავხმარებოდით სიმართლის გარკვევაში.

რა სურს ქალბატონ გულიკო ხიმონიშვილს?

პროკურატურა აცხადებს, რომ მკვლელი დადგენილია და საქმის ძიებაც დამთავრდა. ქალბატონი გულიკო კი მიიჩნევს, რომ ძიების ამგვარად დასრულებით საქმე არ ამოწურულა, რომ გარდა ზ.გიუნაშვილისა, ვისაც იარაღი ეკუთვნოდა, მკვლელობის თანამონაწილეა ზ.ბენდიანიშვილიც, რადგან მკვლელობა მოხდა ბენდიანიშვილების მანქანაში და იგი ხელს აფარებდა გიუნაშვილს.

როგორც წესი და რიგია, ჩვენმა რედაქციამ ოფიციალურად მიმართა ქალაქის პროკურატურას და პირადად კ.ჯაოშვილს, პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე, რადგან არ გვსურდა საკითხი ცალმხრივად გაშუქებულიყო.

მიუხედავად ოფიციალური მიმართვისა და რამდენიმე ვიზიტისა ქალაქის პროკურატურაში, გამომძიებელ ჯაოშვილის დაინტერესება ჩვენი რედაქციით ვერ მოვახერხეთ. პირიქით, გაუკვირდათ, რომ ჩვენი გაზეთიც დაინტერესდა ამ მკვლელობით, რადგან გაზეთ „დროში“ გამოქვეყნებულ გ.სიმონიშვილის წერილს უკვე გასცა პასუხი ქალაქის პროკურატურამ. მათ მიაჩნიათ, რომ იმ წერილში ყველაფერი ითქვა და სადაო აღარაფერია.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ქალაქის პროკურატურა ვინმეს ხელს აფარებს, ამიტომ გვსურდა კიდევ ერთხელ, ოფიციალურად გავცნობოდით მათ არგუმენტებს. სამწუხაროდ ამის საშუალება არ მოგვეცა.

ვითვალისწინებთ, რომ ჩვენს წინაშეა შვილმკვდარი დედა, ამიტომ, რადგან ჩვენი კითხვებით ვერ დავაინტერესეთ, იქნებ ქალბატონ გულიკოს კითხვებს უპასუხოს ქალაქის პროკურატურამ, მით უფრო, თუ გამოძიება დამთავრებულია და ყველაფერი გარკვეული. იმედია, კითხვებზე დამადასტურებელი ან უარყოფითი პასუხის გაცემა არ გაჭირდება (გულიკო სიმონიშვილის კითხვებს გთავაზობთ უცვლელად — მ.ტ.).

„1. დადასტურებულია თუ არა, რომ მკვლელობის დღეს, 5 მაისს ჩემს შვილს ზ.ბენდიანიშვილისთვის უნდა მიეცა 600 დოლარი ავსტრიაში სამუშაოდ მიმავალი ფირმისთვის გადასაცემად (მოწმეები — კახიანი, ლებანიძე, ძაგნიძე, ხიდაშელი)?

2. დადასტურებულია თუ არა, რომ 5 მაისს ბენდიანიშვილი დაჟინებით ეძებდა ჩემს შვილს, სახლიდან გაიყვანა (მოწმე ხიდაშელი) და 15 წუთში მოკლეს ტყვიით?

3. დადასტურებულია თუ არა, რომ ზ.გიუნაშვილმა წინა ღამე ბენდიანიშვილების ოჯახში გაათენა და იქ დაიგეგმა ჩემი შვილის მკვლელობა (მოწმეები: ჯოხაძე, მანჯავიძე, დათაშვილი, ედიშერაშვილი, თვითონ ზურა და გელა ბენდიანიშვილები)?

4. დადგენილია თუ არა ფირმა, რომელიც ავსტრიაში სამუშაოდ აგზავნიდა ხალხს და რომლის პრეზიდენტიც უნდა იყოს ბენდიანიშვილის ახლობელი ქალი, პროკურორის თანაშემწე (მოწმეები: ხიდაშელი, ჯოხაძე, კახიანი, დათაშვილი)?

არის თუ არა დასაშვები, რომ ეს იყო ბლეფი დოლარების გამოძალვის მიზნით?

რატომ არ დაპირისპირეს მრავალი მოთხოვნის მიუხედავად ამის თაობაზე ძმებ ბენდიანიშვილებთან?

5. დადგენილია თუ არა, რომ საბურთალოს პოლიციაში დაკავებულმა ბენდიანიშვილმა აღიარა ჩემი შვილის მკვლელობა (საქმეშია შსს გენერალური ინსპექციის დასკვნა)?

6. მოწმეებმა ჯიქურიძემ და წურწუმიამ აღნიშნეს, რომ მკვლელობა მოხდა ბენდიანიშვილების მანქანა გაზ — 24-10-ში. ამის შესახებ იცოდნენ ჯიქურიძის პალატაში მკვლელობის პირველივე დღეებში. რამდენი ხნის შემდეგ და რამდენი მითითების შემდეგ დაიკითხნენ ეს გოგონები? დაიკითხნენ თუ არა პალატაში მწოლი ავადმყოფები?

7. მკვლელობიდან რამდენი ხნის შემდეგ მოხდა ბენდიანიშვილის მანქანა გაზ 24-10-ს დათვალიერება ნატყვიარის აღმოსაჩენად? არის თუ არა მანქანაში ნატყვიარი?

8. ეკუთვნის თუ არა პასუხისმგებლობა ბენდიანიშვილს იმ შემთხვევაში, თუ მის მანქანაში მოხდა მკვლელობა და ამის შესახებ არ გააცხადა?

9. ვის კომპეტენციაში შედის მანქანის დათვალიერება, ქალაქის სამძებრო თანამშრომლების თუ პროკურატურის გამომძიებლის?

10. რომ დაედგინათ მანქანა, რითაც ჩემი მომაკვდავი შვილი მიიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაიკითხნენ თუ არა საავადმყოფოს კარისკაცები, ეზოს და შენობის სანიტრები — ვისი საკაცითაც გადაიყვანეს ჩემი შვილი მანქანიდან?

11. ეკუთვნის თუ არა პასუხისმგებლობა ზ.ბენდიანიშვილს ჩემი შვილის მკვლელობამდე თავის სახლში რომ აცხოვრებდა. და მალავდა თავის იარაღიანად 1992 წლის 24 ნოემბრიდან ნოვოსიბირსკის შს განყოფილების მიერ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილ თანაკლასელს ზ.გიუნაშვილს (ამის დამადასტურებელი საბუთი არსებობს)?

12. ვალდებულია თუ არა გამომძიებელი, დაასახელოს იმ მოწმეების გვარები, ვინც გადათქვა ჩვენება და ჩაატაროს დაპირისპირება [illegible] მაპირისპირე [illegible] ვალი საჩივრის მიუხედავა[d]

13. მკვლელობიდან [...] შემდეგ ქალაქის პროკურა[...] გამომძიებელმა მჟავანაძე[...] თხა მნიშვნელოვანი მოწ[...] რომლებმაც აღიარეს, [...] მკვლელობა მოხდა ბენდიან[...] ლების მანქანაში, მან ეს და[...] ასევე დამალა გენერალურ [...] კურორთან მანქანაში ნატ[...] რის არსებობის ფაქტი. ეკ[...] ბარება თუ არა მჟავანაძის[...] დებები დასჯას?

14. არის თუ არა [...] აცილება გამომძიებელ მჟა[...] ძეზე 1995 წლის 6 მაის[...] დაფიქსირებული? რას ისა[...] მიზნად გ.სვანიძე, როცა [...] ნაძე ჩუმად დატოვა საგამ[...] ებლო ჯგუფში?

15. მუშაობს თუ არა [...] ქის პროკურატურაში ზ.ბე[...] ნიშვილის მამიდის ქმარი, [...] კურორი გოგი მდივნიშვი[...]

16. არის თუ არა ცნო[...] პროკურატურისთვის ის ფა[...] რომ ზ.ბენდიანიშვილმა ზ.გ[...] შვილი მკვლელობიდან [...] კვირის შემდეგ ტექნიკური [...] ვერსიტეტის სასადილოში [...] ვედრა ბიჭებს და გაუშვა?

17. რატომ არ დაიკი[...] ჩემს მიერ მითითებული მ[...] ები მკვლელობის პირვე[...] დღეებში? განზრახ ხომ არ [...] ანურებენ საქმეს? რატომ [...] რეს გამოძიება, როცა [...] დაკითხვა და დაპირისპირებ[...] ამოწურულა?

გ. სიმონიშვილი-ჩიკვი[...]

ალბათ, ქალაქის პრო[...] ტურის გულისწყრომას არ[...] მოიწვევს ზემოთ დასმულ[...] თხვები. როცა მართალნი [...] არგუმენტირებული პასუხ[...] ცემა ძნელი არაა.

# დისპლეი—სამკითხველო

ალან დინ ფოსტერი (აშშ)

ფანტასტიკა

# ციცინათელები

ბოლო გვერდიდან

— გმადლობთ, ეტყობა, „მეხიკალიფორნიაში“ გავჩერდები. — ულსმა ფეხი „კამერას“ მიარტყა და იკითხა: — ხვალ რომელ საათზე შემოვიაროთ?

— ძნელია ითქმა, — მექანიკოსმა მხრები აიჩეჩა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მისტერ ორდუეი როდის დაბრუნდება.

გასაგებია. თუ არჩევის საშუალება გექნებათ, „გუდრიჩი“ იყიდეთ. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

მექანიკოსი ზრდილობიანად გამოემშვიდობა. ულსი შებრუნდა და ქალაქისკენ წავიდა.

მოტელი „მეხკალიერო“ მატარებელს ჰგავდა: ნაკადულის პირას ცალ-ცალკე მდგარი ვაგონ-კოტეჯები ჩამწკრივებულიყო.

ყავა, ლუდი, საუზმე. ყავალუდისაუზმე. აბდაუბდა რაღაცა, გაიფიქრა ულსმა. იგი მაგიდას მიუჯდა და მენიუ აიღო. მოვარჯიშე მრგვალსახიანი ოფიციანტი ქალი მოუახლოვდა. ულსმა პაშტეტი შეუკვეთა იმ იმედით, რომ ცოტათი მაინც აქნებოდა რაღაცის გემო. ოფიციანტი სადღაც გაქრა. სხვა კლიენტებს ულსისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ლოდინის გარდა მეტი რაღა დარჩენოდა.

— პაშტეტი საოცრად გემრიელი აღმოჩნდა. და, საერთოდ, ულსს ყველაფერი მოეწონა — შემწვარი კარტოფილიც, ოდნავ გაციებული ჩაიც, რომელიც ნამდვილი ჩაის ფოთლისაგან იყო დამზადებული და არა სწრაფხსნადი თხლისგან.

\+ + +

ხანში შესულმა ქალბატონმა ღიმილით გამოართვა „ამერიკენ ექსპრესის“ ბარათი, რომლის სახელსაც ამ ღვთისგან დავიწყებულ ადგილშიც შეეღწია.

— მჟღეროვანი არავინ დაგირდევდეთ, მისტერ ულს, — დაარწმუნა მან, ერთადერთი სტუმარი ბრძანდებით. წლის ამ დროს, ძალზე ცოტა ხალხია ჩვენთან.

საწოლის თეთრეულს ლიმონის სუნი ასდიოდა. სააბაზანოში სასიონც იყო. ღია ფანჯრიდან ნაკადულის რაკრაკი ყრუდ ისმოდა.

— ღამე მშვიდობისა, მისტერ ულს. — მშვიდ ძილს გისურვებთ.

ულსი დიდხანს იწვა. რული არ მიეკარა მის თვალს. ბოლომდე უკვე რა შავთეთრ გამოსახულებიანი ტელევიზორის ერთადერთ არხს და გადაცემების დამთავრების შემდეგაც ძილი არ უნდოდა.

მერე რაღაც ხმაური შემოესმა. ვიღაცამ ხრეშზე ხმაურით გაიარა და ბუჩქები აუშრიალა. ულსი ადგა და ფანჯარასთან მიიპარა.

ხმაური განმეორდა. ამჯერად ულსამდე სიცილმაც მოაღწია. შებრუნდა... და ისევ საწოლს მიაშურა. გაახსენდა დღეს რომ პარასკევი იყო: ახალგაზრდობა სეირნობს, ხვალ არსად არ მიდიან და ადრე ადგომაც არ სჭირდებათ.

მაგრამ, უცბად, რაღაცამ ისევ მიიქცია მისი ყურადღება. ულსი ფანჯარასთან მიიპარა კვლავ. ნაკადულის იქითა ნაპირზე, უბრალო თეთრკაბიანი გოგო გარბოდა. დროდადრო თავს აბრუნებდა და იცინოდა. ქერა ხუჭუჭა თმა, ყოველ მოძრაობაზე, აქეთ-იქით უფრიალებდა. სახე ნისლის ფერი ჰქონდა და საოცრად ლამაზი იყო.

და... გოგონა ანათებდა. ერთმანეთში გადასული მომწვანო-მოყვითალო ნათება, ოდნავ ლიმონისფერდაკრული, მზის სხივს ჰგავდა, — მოუხელთებელი იყო და ამავე დროს სრულიად რეალური. ეს არ იყო ჯიბეში დამალული ფანრით განათებული ტანსაცმლის ნათება, არა! სახე, ფეხები, ხელის თითები ანათებდა, თმაც.

ცხადია, მოჩვენება არ არის,



გაიფიქრა ულსმა. რა თქმა უნდა, არა. სად გაგონილა სანდლებში და სინთეტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი მოჩვენება. მკერდის ტკივილმა გაახსენა, რომ, რაც არ უნდა ყოფილიყო, სუნთქვა მაინც საჭირო იყო.

იგი ფანჯარას შუბლით მიეკრა და თვალი გააყოლა ამ მანათობელ საწაულს; გული ძლიერად უძგერდა, თითები ტკივილამდე ჩაფრენოდა ფანჯრის რაფას. გოგონა რაღაც გამოუცნობი ძალით იზიდავდა. ღმერთო, ო, როგორ იზიდავდა...

გოგონა ნაკადულის მოსახვევში გაუჩინარდა. მისი სიცილი წყლის რაკრაკში ჩაიკარგა. მერე იქით, რიყეზე სინათლის სუსტი სხივი გაკრთა, თითქოს ვიღაცამ ფანარი აანთო და გაქრა.

ულსი ისევ დაწვა. ისეთი ძალით მოისრისა თვალები, ცრემლები ჩამოუვიდა, მაგრამ არა, ეს სიზმარი არ იყო. მას ხომ პასკელ ულსი ჰქვია. ოცდარვა წლისაა, ლოს-ანჯელესიდან დალასში მიემგზავრება, სადაც „ტაიმსის“ ადგილობრივ დამატებაში უნდა იმუშაოს. მანქანას საბურავი გაუსკდა. სადამოს პაშტეტი მიირთვა. ნახა ან... გოგონა, ან... მოჩვენება. სამი დღე-ღამის დაღლილობამ თავისი გაიტანა და ულსს ჩაეძინა.

დილით ეჭვი გაუჩნდა. მაგრამ იგი რეპორტიორი იყო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაკვირვებული ადამიანი გახლდათ. მის გონებას ძალზე ნათლად შემორჩა, რაც განიცადა: იდუმალი ნათება, სილამაზე და სულის შემაძრწუნებელი სწრაფვა გონისკენ; და იმდენად დიდი იყო მისი განცდა, რომ საუზმე დაავიწყდა.

— კიდევ რამე გნებავთ, სერ? — ეტყობა ოფიციანტი მისი სახის გამომეტყველებამ შეაშფოთა.

— რა? — ულსმა თვალი მოარიდა უკვე გაციებულ ერბოკვერცხს.

ადგილობრივი მცხოვრებლები, კაფეს მუდმივი სტუმრები, საუზმეს ამთავრებდნენ. [...] მათ გახედა და გაიფიქრა [...] ტარა ქალაქებში ყველა[...] დგება“.

— არა, ყველაფერი [...]

— გაიღიმა ულსმა და [...] რში ჩაიდო. — წუხელ [...] მოჩვენება ვნახე.

— მოჩვენება? — ო[...] მა ქალმა გაიღიმა, ო[...] ნაძალადევად, რომ ულსმ[...] ნვე შეამჩნია. — აქ? აგუ[...]

ულსმა თავი დაუქნ[...]

— იქ, ნაკადულის [...] გონა დავინახე, თეთრ [...] სანდლებში. ქერა თმა მხრ[...] სწვდებოდა. ისე ანათ[...] გორც წმინდა ელმას [...] ხომ გითხარით — [...] იყო-მეთქი.

ოფიციანტი ქალი [...] ნიღბად იქცა. ულსი [...] მიუბრუნდა და ისეთი [...] ლო, თითქოს ეს ყვ[...] აღარც აინტერესებდა.

— ჩვენთან მოჩვენ[...] არიან, მისტერ. — ძალზ[...] ფად თქვა ოფიციანტმა. [...] იყვნენ, ისინი აპაჩების [...] ბები იქნებოდნენ. აქაუ[...] მათი სულები ცხოვრ[...]

— აპაჩები არაფ[...]

— თქვა ულსმა ლუკ[...] ღეჭვით. — არა მგონი[...] რა ქალები ჰყოლოდა[...]

— მაშინ მოჩვენება [...] ფილა. — დაასკვნა ოფი[...] როგორ მოგეწონათ ე[...] რცხი?

— დიდებული ი[...] ლობთ.

ოფიციანტმა ქა[...] დაუკრა.

თუ რამეს ისურვე[...] ხურეთ. — თქვა და ახლ[...] სული წყვილის მისახე[...] და. ოფიციანტი ქალი [...] ელაპარაკა მათ, რომ [...] იფიქრა, ალბათ, ძალიან [...]

ის. მე -10 გვ.

# ენერგოსისტემა ორი «ძიძის» ხელში

## ანუ

## გაგრძელდება თუ არა ჰესების პრივატიზება?

...დღეისოდ ქვეყნის ენერგეტიკაში შექ... საგანგაშო მდგომარეობა, მნიშვნელოვ... განაპირობა წარსულში გატარე... უხეირო ენერგეტიკულმა პოლიტიკამ, ... სათავეს 70-იანი წლებიდან იღებს. ...სისტემის მშენებლობა აჰყვა საბჭოთა ...სთვის დამახასიათებელ გიგანტომა... ...ღუნებას, ზურგი შევაქციეთ ჰიდრო... ...ტიკული მშენებლობების ტრადიციულ ... და დაუყოვნებლივ თბოელექტრო... ...ების მშენებლობაზე გადავერთეთ. ...დეთ, შევქმენით „თბომშენი“, სამაგი... დავკარგეთ „ჰიდრომშენი“ და მის ...ლოდ, სამწუხაროდ, ვერც გამართუ... „თბომშენი“ მივიღეთ.

...ენერგეტიკული მეურნეობის რღვევას, ...გიური ბუმის პირობებში, 1988-89 ... ხუდონჰესის მშენებლობის დაკონსე... ...აც შეუწყო ხელი. დამოუკიდებლობი... დაწყებული პირველი სერიოზული ... ქვეყნის ენერგოსისტემისთვის დამღუ... აღმოჩნდა.

1989 წლიდან მოყოლებული, ენერგოსი... რღვევის პროცესს მასობრივი განუ... ...ობა და ძარცვა დაერთო. სიტუაციის ...ობესებლად საქართველოში მას შე... არც ერთი მცირე თუ მსხვილი ...ელექტროსადგური არ აგებულა, თუმ... ...ლის აშენებას და მოვლა-პატრონობას ... ჩივის, როცა მოძველებულიც თავად ...ტახეთ და ნაწილ-ნაწილ თურქეთში ...ეთ. ბევრი მათგანისგან, შეიძლება ... მხოლოდ „ნაჰესარი“ დარჩა და ... მასობრივი პრივატიზაციის პროცესს ... მოესწრო, ვინ იცის, იქნებ, ქვეყანაში ...ლი ორასამდე ჰესის არსებობა დღეს ... კარგა ხნის დავიწყებულიც გვქონოდა. მასობრივი პრივატიზაციის პროცესი 199... წლის მარტიდან დაიწყო. ჯერ კიდევ 1991 წელს მიღებულ იქნა კანონი მასობრივი ...ზების შესახებ, 1992 წელს კი, ...ზაციის სახელმწიფო პროგრამა. რო... ერთ-ერთ რგოლს ჰესების პრივატიზე... საკითხიც შეადგენდა. თავდაპირველად, ...რამით გათვალისწინებული იყო 10 ...ამდე სიმძლავრის მცირე ჰესების ...ზება. დროთა განმავლობაში, პრივა... ...ის პროგრამამ ცვლილებები განიცადა ...ნისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 ...ის №809 დადგენილებით, საპრივატი... ელსადგურების ზღვრული სიმძლავრე 30 მეგავატამდე გაიზარდა, ხოლო მინისტ... კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის №916 დადგენილებით, ელსადგურების პრი...ზებაზე სიმძლავრის შეზღუდვა მოიხსნა. ...დღეისო მაჩვენებლებით, საკუთრების ...სხვა ფორმით, 18 მცირე ჰიდროელე...სადგურია პრივატიზებული. ყველა ჰე...ის პრივატიზების ინიციატორია „საქენერგო“ — პრივატიზებული ჰესების ჯამური დადგ...ული სიმძლავრე ენერგოსისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრის 2,1 პროცენტს შეადგენს (პრივატიზებული ჰესების დადგმული სიმძლავრე 98 მეგავატი; სისტემის — 4600 მეგავატი), ხოლო ელექტროენერგიის ...მრავალწლიური გამომუშავება და ...ღირებულება, შესაბამისად, საშუ...მაჩვენებლის 1,5 პროცენტია, საშუალო ...წლიური გამომუშავება კი 209 მი... კილოვატსაათი, ანუ სისტემის 14 ...დი კილოვატსაათია.

...პრივატიზებული 18 ჰიდროელექტროსა...დან 7 ჰესი კონკურსის წესითაა ...ყიდული, 2 — აუქციონის, 7 — კოლექ...ზე პირდაპირი მიყიდვის წესით, 2 ჰესი საქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა.

...ამორტიზებული ჰესების უმეტესობა სა...დღეისოდ აღდგენილია, მოვლილია, მუშაობს ... სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს ელე...ენერგიის მოთხოვნილების დაფარვაში. ...ერთი სადგური, „საქენერგოსთან“ პირ...ი ხელშეკრულებით, საერთო ენერგო...სისტემაშია ჩართული, ზოგიც ავტონომიუ...ად ფუნქციონირებს.

...ლო ხანს აშკარად გამწვავდა ურთი... ...მცირე ჰესების მეპატრონეთა და ...ელექტროენერგიის რეალიზატორ „საქენერგოს“ შორის. მიზეზი კი მარტივი და ...ია — გალატაკებული ბიუჯეტით „საქენერგო“ თავად გახდა გადახდისუუნარო, ... გამოც თავდაპირველად 30 ათას ...ად ღირებული ერთი კილოვატსაათი ...ელექტროენერგია 5 ათას კუპონამდე ჩამო...ვიდა. ახალი ტარიფების შემოღებამ ზოგი... მცირე ჰესის მეპატრონეს „საქენერგოსთან“ ურთიერთობაზე ხელი აღებინა.

„საქენერგოსა“ და მცირე ჰესების მეპატრონეთა შორის ჩამოგდებულ უსიამოვნებას „საქენერგოსა“ და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის დავაც დაერთო, რომლის ძირითადი საბაბი მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის დადგენილება — ელსადგურების პრივატიზებაზე სიმძლავრის შეზღუდვის მოხსნა გახდა.

ერთი მხრივ, დადგა ერთიანი ცენტრალიზებული ენერგოსისტემის შენარჩუნების, მეორე მხრივ კი, „საქენერგოს“ ცალკეული ობიექტებისთვის ავტონომიური უფლებების მინიჭების საკითხი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო ბანკი საქართველოს ელექტროენერგეტიკული დარგის რესტრუქტურიზაციის საკითხს ამუშავებს, გადაწყდა, ელექტროენერგეტიკულ დარგში, პრივატიზების ხაზით, გამოცხადდეს მორატორიუმი, შეჩერდეს პრივატიზების პროცესი და მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე მიღებულ იქნას საბოლოო გადაწყვეტილება.

ერთი რამ ცხადია — ისეთი პრიორიტეტული დარგის რეორგანიზაცია, როგორიც ქვეყნის ენერგოსისტემაა, კარგად გათვლილ, წინასწარ შორს განჭვრეტილ მოდელს უნდა ემყარებოდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხერხდეს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა.

აშკარაა, რომ ამ პრობლემატურ საკითხზე საინტერესოა თავად იმ უწყებათა წარმომადგენლების მოსაზრება, რომლებიც

| | | პრივატიზების დრო | პრივატიზების ფორმა | ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიონჰესი | 16.07.93 | კონკურსი | 35 000 |
| 2 | მარტყოფიჰესი | 24.12.93 | კონკურსი | 4900 |
| 3 | ტირიფონჰესი | 14.05.93 | კონკურსი | 37 500 |
| 4 | მისაქციელჰესი | 12.06.93 | კონკურსი | 15 625 |
| 5 | კახარეთიჰესი | 24.06.93 | აუქციონი | 31 180 |
| 6 | იგოეთიჰესი | 29.11.93 | კონკურსი | 4 848 |
| 7 | კაბალიჰესი | 11.06.93 | აუქციონი | 88 000 |
| 8 | ხერთვისიჰესი | 16.07.93 | კონკურსი | 2900 |
| 9 | დაშბაშჰესი | 22.05.95 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 11 391 |
| 10 | ჩითახევიჰესი | 20.06.94 | საქციო საზოგად. კონკურსი | 526 726 |
| 11 | საცხენისიჰესი | 24.04.94 | კონკურსი | 7 745 |
| 12 | ბუუჯაჰესი | 31.08.94 | საქციო საზოგად. | 52 075 |
| 13 | თეთრიხევიჰესი | 13.03.95 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 67 484 |
| 14 | რიცეულაჰესი | 25.05.95 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 17 225 |
| 15 | ორბელიჰესი | 12.12.94 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 915 |
| 16 | ალაზანჰესი | 07.03.95 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 23 661 |
| 17 | აბაშაჰესი | 03.05.95 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | 20 511 |
| 18 | დმანისიჰესი | 14.01.94 | პირდაპირი მიყიდვა კოლექტივზე | |

უშუალოდ მონაწილეობენ თანამედროვე ენერგოსისტემის ჩამოყალიბების პროცესში.

**მერაბ გაბუნია** — სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საინფორმაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე:

— პრივატიზებული მცირე ჰესების უმრავლესობა ამორტიზებული იყო. ისინი, ფაქტობრივად, 20-30-იან წლებშია აშენებული და ექსპლუატაციის ვადის გასვლის გამო, საერთოდ არ ფუნქციონირებდნენ. ზოგიერთ ადგილს უბრალოდ ჰესი ერქვა, თორემ იქ ერთი გენერატორიც კი აღარ იყო. თავდაპირველად, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ამორტიზებული ჰესების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ჩართვა. შემდგომ „საქენერგომ“ ოფიციალური წერილით მოგვმართა ამ ჰესების აღნიშნულ ნუსხაში ჩართვის თაობაზე.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფომ ყველა საწარმოსთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობა დაამყაროს. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მრეწველობის სხვა პრიორიტეტულ დარგებში, ენერგეტიკაშიც უნდა გატარდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. მაგრამ სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს პრივატიზებული ჰესის სამეურნეო ფუნქციებში — ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაში.

— ამბობენ, რომ მცირე ჰესები ჩალის ფასადაა გაყიდული...

— რაც შეეხება მცირე ჰესების იაფ ფასებში პრივატიზების შესახებ ყოვლად უსაფუძვლოდ ჭორების დარხევას, ეს პრივატიზაციის პროცესის ხელის შეშლისთვის შეგნებულადაა გამიზნული. ხულაც არ გამოვრიცხავ, რომ მოარული ხმების გავრცელება გარკვეული პიროვნებების დავალებით ხდება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებობენ ისეთი პოლიტიკური ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ კერძო საკუთრება, ჯერ კიდევ ვერ გამოსულან ძველი სისტემის ნოსტალგიიდან და ყოველნაირი ხერხებით აფერხებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციას.

— ენერგოსისტემის ცენტრალიზებული მართვის მოშლა ხომ არ შეუშლის ხელს ენერგოკრიზისის აღმოფხვრას?

— ვფიქრობ, ხუთი წელი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს კრიზისის დასაძლევად რაიმე ღონისძიებები გაეტარებინათ. მაგრამ უსახსრობის გამო, ეს ვერ მოხერხდა. ესე იგი, აქ მართვის ცენტრალიზებაში კი არაა საქმე, საკითხი სულ სხვანაირად დგას, — აღსადგენია როგორც მცირე, ისე მსხვილი ჰესები, რისი უნარიც სახელმწიფოს არ შესწევს. უცხოელი ინვესტორები კი კერძო ინვესტიციებს სახელმწიფო საწარმოში შეგნებულად არ ჩადებენ. მართალია, გერმანიის მთავრობამ „თბილსრესის“ მე-9 ბლოკის აღსადგენად კრედიტი გამოყო, მაგრამ უსასრულოდ სხვისი დახმარების იმედზე ყოფნა წარმოუდგენელია. ამიტომ, საკუთარ თავს ჩვენივე ძალებით უნდა ვუშველოთ. ყველაზე უკეთ კი ამას საწარმოს მეპატრონე გააკეთებს.

— სახელმწიფოს აქვს თუ არა პრეროგატივა, ჩაერიოს ჰესების მუშაობაში?

— იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონე არ ასრულებს ჰესის პრივატიზების პროცესში ჩადებულ პირობებს, სახელმწიფო უფლებამოსილია, დააყენოს საკითხი ჰესის პრივატიზების გაუქმებაზე და მის ხელახალ განკერძოებაზე.

აღსანიშნავია, რომ ჰესის რეკონსტრუქციაში სახელმწიფო ერთ ლარსაც არ ხარჯავს. პირიქით, მფლობელს სახელმწიფო ბიუჯეტში შეაქვს შენატანები. დასაქმებული ჰყავს მუშახელი, სახელმწიფოსთან ხელშეკრულების საფუძველზე ყიდის ელექტროენერგიას. ახლა რომელია უკეთესი — სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფი ჰესები, რომელთა აღდგენაშიც ბიუჯეტიდან უამრავი სახსრებია ჩასადები, თუ კერძო სექტორში ჩართული ჰესები, რომელთა დაცვის სისტემაც ბრწყინვალედაა მოგვარებული?!

— როგორ წარიმართება მომავალში საშუალო და მსხვილი ჰესების პრივატიზების პროცესი?

— უნდა მოხდეს საშუალო და მსხვილი ჰესების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, სააქციო საზოგადოებად უნდა ჩამოყალიბდეს თავად „საქენერგო“, ოღონდ სახელმწიფოს ხელში საკონტროლო პაკეტის დატოვებით. აქციების 49 პროცენტს კი ინვესტორებზე გავყიდით. მოხდება კერძო და სახელმწიფო ინტერესების შერწყმა. ხოლო იმავე ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რა სისტემითაც დღეს „საქენერგო“ მუშაობს, ჩემი აზრით, უპერსპექტივოა.

— თქვენ ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე აღნიშნეთ, რომ „საქენერგო“ აფერხებს ჰესების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესს...

— მე ახლაც ღიად ვაცხადებ, რომ შეფერხებულია ენერგოსისტემის ობიექტების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სააქციო საზოგადოება უკვე დაფუძნდა (ჭითახევი, ბორჯომის ჰესი (პრივატიზებულია), ჩხოროწყუს ჰესი, ოზურგეთის ჰესი), საბოლოოდ, ეს მაინც არ ქმნის ამინდს.

**გიორგი მაყაშვილი** — სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

— მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, დადგენილებით გათვალისწინებული იყო 10 მეგავატამდე სიმძლავრის მცირე ჰესების პრივატიზება, პირობა მაინც დაირღვა და 13-14 მეგავატის სიმძლავრის ჰესებიც გაიყიდა. შემდგომ საპრივატიზაციოდ დაშვებულ იქნა 30 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესებიც. ბოლო დადგენილებით კი, საერთოდ მოიხსნა პრივატიზებისას ჰიდროსადგურების სიმძლავრის შეზღუდვა. პრინციპში, გამოდის, რომ ენგურჰესის გაყიდვაც შეიძლება. მით უმეტეს, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში ენერგეტიკის შესახებ, გარკვევით წერია — სადგურებში, ე.ი. ენერგოობიექტები პრივატიზაციას ექვემდებარება. კანონში არაფერია ნათქვამი სიმძლავრეების შეზღუდვაზე.

ამასთან დაკავშირებით, „საქენერგომ“ პრინციპულად იმსჯელა დირექტორთა გაფართოებულ სხდომაზე და ერთხულოვანი გადაწყვეტილება მიიღო — ცალკეული ელსადგურების პრივატიზება ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს, დაუშვებელია ერთიანი ენერგოსისტემის რღვევა, თუმცა, აუცილებელია ენერგოსისტემის განსახელმწიფოებრიობა, მაგრამ საკუთრების სხვა ფორმით. თავად „საქენერგოც“ სააქციო საზოგადოებად უნდა ჩამოყალიბდეს, ოღონდ, სახელმწიფოს ხელში საკონტროლო პაკეტის დატოვებით. ამჟამად, საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოს ენერგოსისტემის რესტრუქტურიზაციაზე, გამოცხადებულია მორატორიუმი, ენერგოობიექტების პრივატიზება შეჩერებულია.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჰესების უმრავლესობა იაფადაა გაყიდული?

— სადგურების ღირებულება საპრივატიზაციო ობიექტების გადაფასების ინსტრუქციით დადგინდა. ერთი შეხედვით, მართლაც რომ, იაფად გაიყიდა თითქმის ყველა ჰესი. ზოგიერთი ჰესი იმდენად იაფადაა პრივატიზებული, რომ საპრივატიზაციო თანხას ერთი კვირის მუშაობით აანაზღაურებს. მაგალითად, იგოეთ-ჰესი 4 ათას აშშ დოლარად, ხოლო ხერთვისი ჰესი 2900 დოლარადაა გაყიდული.

— სამომავლოდ რომელი ენერგო... ...ტების პრივატიზებაა გათვალისწინებული?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ჰესების პრივატიზების პროცესი შეჩერებულია. სახელმწიფო, ალბათ, გადაწყვეტს გაგრძელდეს თუ არა ენერგოობიექტების პრივატიზება.

— დავუშვათ, სახელმწიფომ გააუქმა კანონი ენერგოობიექტების პრივატიზების შესახებ, მაშინ თავად რამდენად შესწევს ქვეყნისთვის ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ელსადგურების აღდგენა-რეკონსტრუქციის უნარი?

— მიუხედავად იმისა, დარჩება თუ არა ენერგოსისტემა ისეთი, როგორიც დღეს არის — წმინდა სახელმწიფო სტრუქტურა თუ მოხდება მისი განსახელმწიფოება, „საქენერგოს“ იმდენი შემოსავალი აქვს, ეტაპობრივად მაინც მოახერხოს სადგურების რეაბილიტაცია. მთავარია, რამდენად მოხერხდება სადღეისოდ მტკივნეული საკითხის მოგვარება — ელექტროენერგიის რეალიზაცია და თანხის ამოღება. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ეს პროცესიც მოგვარდება, თორემ ასე თუ გაგრძელდა, ენერგეტიკა საერთოდ დაიღუპება.

* * *

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „საქენერგოს“ არ სურს მართვის სადავეების იოლად დათმობა. ქონების მართვის სამინისტრო კი ხელმძღვანელობს რა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამით და მიიჩნევს, რომ ჰესების პრივატიზება მომავალში მნიშვნელოვნად განაპირობებს ენერგეტიკული პრობლემის მოგვარებას, საშუალო და მსხვილი ჰესების აქციონირების დაჩქარებას მოითხოვს.

როცა სახელმწიფოს ეკონომიკა თავიდანაა ასაშენებელი, პირველ ყოვლისა, ეკონომიკის მთავარი ბერკეტის — ენერგეტიკის პრობლემებია მოსაწესრიგებელი. ესე იგი, მთავარია არა ის, რომ როგორმე იმუშაონ ენერგოობიექტებმა, არამედ ის, რომ თავად ეს ენერგეტიკული ობიექტები მოწესრიგდნენ, რათა ერთ მშვენიერ დღეს ისევე არ დავრჩეთ დენის გარეშე, როგორც თავიდან გათბობის, შემდეგ — ცხელი წყლის, და ბოლოს, გაზის გარეშეც დავრჩით...

**დიანა გაბრუაშვილი**

## ჯორჯ მ. ბრაუნი

(დაიბ. 1921 წ.)

### ...ლიაელი ჯამაათი

...გნვალდი — აი, კაკლის ჯოხით რომ დაბაკუნობს —
...ის დღესავით მძულს.
...ი ძაღლი უბია ეზოში.
...უხის მაგარი კარები აქვს.
...რთხელ მაგისი ღობის მავთულხლართში რომ გავები,
...ათამს მინდოდა მოვფერებოდი — მოდი, ხელს გადავუსვამ-მეთქი)
...ებზე სწორედ ის კაკლის ჯოხი გადამიჭირა.

...ენი მენსი კი, დაბლა ქვიის ქუჩაზე რომ ცხოვრობს,
...ცი კი არა, ნამდვილი ცხვარია, —
...ალი რომ თხოვო, რომს გამოგიტანს.
...ის საფრთხობელას მე ვფრცქვნი ხოლმე წლიდან წლამდე.
...რთხელ კონა ჩალა ვესესხე და
...ელი ზვინი გამომატანა —
...ლი ძლივს ავითრიე.
...ითი ეგ არის, ძალზე წუპაკი ქალი ჰყავს —
...რდაპირ გასაქანს არ გვაძლევს ის როკაპი!

...ქვე კარგა ხანია, რაც მეთევზე გრეის კლანჭებს
...ავი დავაღწიე.
... ოხერი სულ ქურდებისა და მაწანწალების
...ინებს მასწავლიდა — ათასი მაიმუნობით
... ვიყავი გამოტენილი, როგორც ეკლესიის ეზო —
ბალახ-ბულახით.

...ვენს მტერს, რაც მე მერე მაგის ნავს დღე დავმართე!
...ერო რისკიანი რომ გამოვჩენილიყავი,
...ე ბადეზე მივაგდე ჩემი დანა —
...ომ შემთხვევით ქამრიდან გამძვრა.

...ენს სათოფეზეც არ გავკარებივარ,
...ხედავად იმისა, რომ ამ დედაკაცს
...როგორც ბევრი აქვს და თივასაც ბლომად ამზადებს.
...ც მაგისი ორმოცდაათი სული ძროხა
...ზიმზიმებს, როგორც აბრეშუმი.
...მ კატის კნუტები რა არის,
...აც კი არ გავეთამაშები, —
...ევნია, საფლავის ქვა ვკოდო:
...ბენ, მერენის ბებიის ბებია
...ლზე დაწვესო, როგორც კუდიანი ქალი.

...ენის დაგვაჭულ ყანებს ხომ ხედავთ —
...ლ ბოცვერების ბრალია:
...სული ჰყავს მაგ შეჩვენებულს!
...ი სიმყრალეცა და თარსი ამბებიც ხომ მაგათი ბრალია!
...ებზე პატარა კოცონი დავანთე.
...ს გასისხლული დანა თალგამის ფოჩებს შევახოცე
...ერთს შევევედრე, ავი თვალისგან იხსენი-მეთქი
...ენი ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი.

...ოლზკროფტში ჯიმზიც ცხოვრობს. —
...ა მეკუბოვე:
...ოლოდ მაგან უნდა დაუკრიფოს

...ელი სანტიმეტრი აქვს —
...ებსაც იმითი ულებს ზომებს და მკვდრებსაც.
...რში ჩემს ძონძებს მისი ნემსი
...ნებს პეწსა და იერს.
... ინახავს ჩემს შვიდ თეთრ ფიცარსაც,
...ებიც შარშან ჩვენს ნაპირთან დალუპულ
...ერ გემს ავაგლიჯე —
...როგორ ამოვიღებ!

## მაილზ ბეროუზი

(დაიბ. 1936 წ.)

### ნიპოეტი

...ელი, უბრალო, საკმაოზე სადად ჩაცმული,
... დამყოლი, ვიდრე ცივი და გულზვიადი,
...ენზიოც, რა თქმა უნდა — აი, ასეთებს
...ოქსფორდი, დაპრესილი ფოლადის სახლი,
... უშვებს... თუმცა ჩვენ ხომ არქიპოეტიც
...ახსოვს — რა ყოველმხრივ შემკული გახლდათ:
...ი ბუნჩულა და რაღაც ზარმაცი,
...ეცვა! მაგრამ მაინც მინიპოეტი
...ია... და, ამასთან, უფრო დაცულიც
...ია, მრავალი რამ არ შეუძლია,
...ავსაც ვერვინ ... მაგრამ ის ყველგან
...ისულ მომენტებში ... ნასწორობას —
...ით მაინც რჩება ... ...ბრივია,
...ოეტს ვერ გაე... ... თუ ვიცით,
...ჩნდება... (ანდა იმავ ... მოკვდება) —
...ემი ყველას გვიყვარს: ზრუნვა-პატივსაც
...აკლებდით, მასაც რაღაც რომ შეძლებოდა;
...წმუნებდით არარსებულ ფრთების ძალაშიც.
...ოუსა და არც ბანკეტებს დავამადლიდით —
...აიჩემს ლეოპარდთა პარადიც ახსოვს! —
...მ ჩვენ ყველას მაინც მინიპოეტი მოგვწონს:
...ად ჩვენსავით ცურავს ისიც, ჩვენსავით იღწვის...

## სიმუს ჰინი

(დაიბ. 1939 წ.)

### ...ატურალისტის აღსასრული

...უა ქალაქში შეუმჩნევლად დამყაყდა დამბა —
...ნის მწვანე თავთავები ჩუმად ჩაიხრწნა.
...ისით მზე წვავდა, ღამით უფრო ლაბს იკიდებდა.
...ში მოთქვრილმა ნეშომ წყალი თითქმის დაზნიქა,
...უდ ბუყბუყებდნენ ბუშტულები, ღილღილოებმა
...ყრალე თხელი, ბგერის მსგავსი, აფსკით მოზლუდეს.

ნემსიყლაპიებს შეურთდნენ ჭრელი პეპლებიც,
ხოლო ყველაფერს ბაყაყებმა გადააჭარბეს —
მათი ქვირითის სქელი ლორწო დალექერტებულ
სითხედ შედედდა ფლატეების ჩრდილოვანებში
და ერთი-ორად გაფიყვინდა. მე, როგორც წესი,
ამ ჟელესმაგვარ მასით ყოველ გამოზაფხულზე
ვავსებდი ხოლმე ჯემის ქილებს და მწკრივად ვდგამდი
შინ და სკოლაშიც, თაროზე თუ ფანჯრის რაფაზე.
ვაკვირდებოდი მერე ჩუმად: სადღაც, ჩვენს იქით,
(სხვათა შორის თუ რაღაც ნებით), როგორ სკდებოდნენ




ახალი თარგმანები

# თანამედროვე ინგლისელი პოეტები

მწიფე მარცვლები სწრაფ და ჯიუტ თავკომბალებად;
მერე მის ულღზი გვიყვებოდა, თუ ვით შეარქვეს
ერთ ყინჩ და ტუტუც თავკომბალას მამა-ბაყაყი;
როგორ დაიწყო მან ყიყინი და ერთხელ დილით
ვიღაც დედალმა ვით დაყარა კვერცხების ზლმურდლი;
ეხმარებოდნენ ბაყაყები ბავშვებს ამინდის
გამოცნობაშიც — თუ ტაროსში ყვითლად ბზინავდნენ,
ავდარში უფრო ყავისფერი დაჰკრავდათ.
ერთხელ,
პაპანაქება თვეში, როგორც კურკლით და ნეხვით
ჰყარან მინდვრები, აგრესიულ ბაყაყთ ლაშქარმა
დაიპყრო ჩვენი დამბა — ბურდოს მაღალი მიჯნით
მესმოდა მათი უტეხი და ცივი ყიყინი —
ჰაერიც თითქოს შესქელდა და უფრო დამძიმდა;
ბელტებზე იწვნენ დიდმუცელა მეთაურები,
ფომფლო კისრები აფრებივით ებერებოდათ;
სხვები ხტებოდნენ: ტყაპანი და მკვეთრი ტლაშუნი
უტიფრობად და მუქარადაც აღიქმებოდა.
ხოლო ზოგნი კი საათობით უძრავად ისხდნენ
და უფრო ზინთის თუ გოროხის ჰგავდნენ ყუმბარებს —
მე ავად გავხდი. ავდექი და გამოვიქეცი:
შურისძიებით ტვინდაღრღნილი ტლაპოს მეფენი
ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის
და წყალში ხელი რომ ჩამეყო, თითს მომაჭამდნენ.

## დ. ი. ბლეკი

(დაიბ. 1941 წ.)

### აღმზრდელები

ლიმუზინებით მოგრიალდნენ მასწავლებლები:
ასამდე მაინც იქნებიან.
უეცრად სკვერი
მუქდება შავი კოსტუმებით,
სერიოზული
და სქოლასტური სახეებით.
იცდიან, სანამ მოუხმობენ...
ისინი აღმზრდელები გახლავან,
პატივდებული მამები.
გული გაითბება
მათი მოკუმული ტუჩებისადმი სიყვარულით.
მარტო მათი ყველაფერზე პასუხისმგებელი
შუბლები რად ღირს?
მერე რა ღირსეულად იტანენ
დამამცირებელ ლოდინს!

და აი ზარიც!
ფართო კიბეზე ჩემს კიკნა ბიჭს
ხელი მაღლა აუწევია

და ისე იცინის, თითქოს ტკარცალებს;
მერე, მეცნიერების ტაძარს ჩვენი სალამიო, ჰყვირის
და ლაჯებში გაჩრილ ბორბალზე ოდნავ შექანდება —
მასწავლებლები წამით ერთურთს გადახედავენ
და სქოლასტური სახეები უცებ იმღვრევა —
ერთი მოქნევით წყვეტენ თავხედს კიბის მოაჯირს
და მყისიერად ნაწილ-ნაწილ ანაწევრებენ;
გლეჯენ კიდურებს, ორგანოებს, თვალებს და ენას,
ტვინის სფეროებს, ძარღვებს, მყესებს, ნაწლავებს, ჯირკვლებს,..
რამდენიმე თვალს,.. კვლავ კიდურებს, და კიდევ ენას...
თირკმელებს, ღვიძლს და საშარდე ბუშტს... და ისევ ენას —
ხელიდან ხელში გადასცემენ ყველაფერს ერთურთს,
ჰქრება ბავშვი და კიბისგანაც მტვერიღა რჩება.

უბრუნდებიან ლიმუზინებს.
მართლზომიერად
ბრუნავს ბორბლები, არ ირღვევა წესი არცერთი.
მშვიდად და ცივად გაჰყურებენ წინ ფართო ტრასას.

## დერეკ მეჰონი

(დაბ. 1941 წ.)

### ჩემი ღრჯუ ბიძა

ეს ჩემთვის პირველი გახვენება იყო.
ჩემი, როგორც ძმისშვილის, სტატუსი რამდენადმე კნინდება,
როცა ახლა ჩემს მაშინდელ გამოლენჩებას,
ბაბუაჩემის გაოგნებულ სიფათსა და
ხუთი მამიდის ჰოლში ფუსფუსს ვიგონებ.

ბიძაჩემი საწოლ ოთახში ესვენა —
სასახლე ზედმეტად მოერთოთ და მოეკაზმათ.
გარშემო ახლობლები შემოსხდომოდნენ.
სიკვდილს მისთვის ულვაშები
და სქელი რქის სათვალეები მოეხსნა;
მისი, როგორც მიმწოლი ვაჭრუკანის,
რისიც სადღაც გამქრალიყო
(ყოველივე ის, რითაც ვიცნობდი)
და რაღაც გამჭვირვალე ბლონდით იყო გამოცალკევებული
სამყაროსაგან.
თმა უშნოდ გადაევარცხნათ,
თითქოს საკვირაო სკოლისთვის გამოეწყოთო:
პირველად ვიხილე ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო.

ყველაფერი, რაც მას ჩვენთვის მოუყოლია,
უფრო მევახშის ფანტაზია გახლდათ —
იგი ჟილეტებითა და თმის კრემით ვაჭრობდა.
მაგრამ მასში იყო კიდევ რაღაც ისეთიც,
რაც მისი პიროვნების სრულ სურათს დააკლდება,
თუ არ აღვნიშნეთ:
მაგალითად, თუნდაც კომპანიის თავმჯდომარის
გაოცება კითხვაზე:
— ვისკის რას დააყოლებთო?
— ისევ ვისკისო, გეთაყვა, — უპასუხნია ბიძაჩემს

ნიუ-იორკში ერთ დღეს ორჯერ დააპატიმრეს --
სულ ჰედ ლაინის დამბალი მზარეულის გამო, გვ...
ერთხელ თურმე, (იგი კომუნისტობასაც თამაშობდა)
პროტესტის ნიშნად რომელიღაც ფირმის
მთელი პერსონალი გამოეყვანა გაფიცვაზე —
ამა და ამ საერთაშორისო დღესასწაულის გამო
ყველას ერთი დღის ჯამაგირი დაუკავესო.

ჩუმად დამარხეს ზედ ზღვის თავზე.
მრავალნაირად ირწეოდა მონაბერ ქარში
ახალგაზრდა პრესბიტერი მღვდელის სხეული.
ცერემონიას მისხალიც არ დაკლებია:
მტვერი — მტვრად, ფერფლი ფერფლის წილ.
ქვევით ცხვრების ჯგრო
გალუმპულ ბალახს მიუყვებოდა ყურის გაყოლებაზე.
ბელფასტის ყელზე ცარიელი ბარჟები მიცურავდნენ
ნისლსა და თქორში
და სირენების კივილით იკლებდნენ იქაურობას,
როცა ბიძაჩემის ცხოვრების დროცა და გრაფაც
სამუდამოდ იძირებოდა კარმონის სასაფლაოს
ნაწლავებში.

დღეს მისი მცირეწლოვანი შვილები
ისეთ რქებს იზრდიან და კლანჭებს ისე ილესავენ,
ჩემს ღრჯუ ბიძასაც რომ არასოდეს მოლანდებია.

## სტიუარტ პარკერი

(დაიბ. 1942 წ.)

### პედი კვდება

სულს ლაფავს პედი; მას არვინ იცნობს —
მოხუცებულთა სახლში ქვეყნისგან
ჰყოფდა სიყრუვის სქელი დარაბა
და დიდი კუზი... მას არვინ იცნობს.

ერთხელაც ვხედავ: მის ბნელ სხეულში
იზრდება რაღაც სასტიკი მხეცი
და ჰქრება პედი სამი დღით სადღაც.

ის სალორეში იპოვნეს ბოლოს.
ნეტავ სიყრმეში ქალის თეთრ მკერდზე
თუ სძინებია მას ერთხელ მაინც?

საწყალს ახლაც კი მკვდარივით სძინავს,
მაგრამ დღეს ძვლების ქოლგაც დაკეცა.

ინგლისურიდან თარგმნა
**გიორგი ნიშნიანიძემ**

რელიგია

# ნათლისღება

გვაცისკროვნებს(?) შობის ბრწყინვალე დღესასწაულ- და გვესტუმრა მასზე „უბრწყინვალესი“, — ნათქ- ნათლისღების ერთ საგალობელში. „ნათლისღება“ „განცხადება“ — ამ ორი სახელით მოიხსენიებს ეკლესია ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და სახელში მისი ულრმესი არსი და მნიშვნელობაა დებული. „გამოსვლასა ისრაელისასა ეგვიპტით, იაკობისა, ერისაგან ბარბაროზთასა“ — ხშირად ება ნათლისღების ლოცვებში დავითის ფსალ- სიტყვები, რომლებიც ისრაელიანთა ეგვიპტიდან სვლის და აღთქმულ მიწაზე დამკვიდრების ამბავს ობს. — „ზღვამან იხილა და ივლტოდა, და იორ- უკუნ იქცა, მართლ უკუნ. მთანი იმღერდეს ვითა- ვერძნი და ბორცვნი, ვითარცა კრავნი ცხოვარ- ფსალმუნის სიტყვები თვალწინ გვიცოცხლებს ელთა ცხოვრების იმ მომენტებს, როდესაც ეგ- ფარაონისგან დევნილთა წინაშე მეწამული ზე გაიპო, ორივე მხარეს ზღუდედ აღმარ- გზა მისცა მოსეს წინამძღოლობით მომავალ მეორედ კი, ქანაანის მიწაზე შესვლის წინ, იორდანემ შეაჩერა თავისი ტალღების სრბო- ერთი მხარე მაღალ კედლად აღიმართა, მეორე კი მარილიან ზღვაში ჩაიწრიტა და აღთქმის ერთად მომავალი უფლის რჩეული ერი „რა არს შენდა ზღვაო, რამეთუ ივლტოდე შენ, იორდანე, რამეთუ უკუნ იქეც. მართლ უკუნ. რამეთუ იმღერდით ვითარცა ვერძნი და ბორ- ვითარცა კრავნი ცხოვართანი“ — გაოცებული ობს დავით მეფე და მისი გაოცება ყველას ება, ვინც ორად გაპობილ და სრბოლაშეჩერე- ცალ მხარეს გიგანტურ კედლად აღმართულ წარმოიდგენს, რომელიც მორჩილად ელო- როდის გადალახავს ისრაელთა ერი მის

უფრო დიდი სასწაულის მომსწრე გახდა იორდანე და კიდევ ერთხელ გახდა იგი იძუ- შეეჩერებინა წყალთა დენა, როდესაც მის სამყაროს შემოქმედი ჩაიმალა. „მოიხაჲეთ, მოახლოებულია ცათა სასუფეველი“ — ქა- ვალილეის უდაბნოში იოანე ნათლისმცემელი იერუსალიმი და იუდეა მასთან მოდიოდა, და კოდვე(?) აღიარებდნენ. „ცუდი უკვე დევს ხეთა ფესვთან. ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს, მოჰკვეთენ და წყალში ჩააგდებენ... მაშ შექმენით მონანიების ღირსი ნაყოფი“ — აფრთხილებდა იგი მასთან მოსულ იუდეველებს და თან აცნობებდა: „მე წყლით განათლავთ მოსანანიებლად, მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უძლიერესია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით“.



დავითი. ქრისტეს ნათლისღება

როდესაც იესო მივიდა იოანესთან მოსანათლად, ნათლისმცემელი მიხვდა, რომ სწორედ ქრისტე იდგა მის წინაშე. შეაჩერა იგი და უთხრა: „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას, შენ კი ჩემთან მოდიხარ?“ იესომ უპასუხა: „ასე იყოს, ვინაიდან ასე გვშვენის ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება“.

„ანგელოსთა მხედრობანი შეძრწუნდეს, გიხილეს რა დღეს იორდანესა განშიშვლებული შენ, მაცხოვარ, მდგომარე წყალთა მათ შინა ნათლისღებასა და უხრწნელი თავი შენი მოდრეკილი ნათლის-ღებად იოანეისა“ — ნათქვამია დღესასწაულის ერთ-ერთ საგალობელში. ამ საკვირველების ხილვამ არა მხოლოდ ანგელოზები, არამედ უსულო სამყაროც კი შეძრა: „მაშინ სამყარონი ცისანი განგეხუმოდეს, გხედვიდეს რა საშინელსა შენსა განშიშვლებასა და წყალნი ძრწოლით უკუნ-იქცეოდეს, ვერ შეუძლებდეს ხილვად ღმრთეებისა მიახლებასა...“ „ცანი განიხვნეს“ და ნაპირთან თავმოყრილი, შეუცნობლად რაღაც სასწაულის მომლოდინე ხალხის თვალწინ აღსრულდა თავზარდამცემი საიდუმლო: გახსნილი ციდან ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, დაეშვა იესოზე, ზეციდან კი მამის ხმა გაისმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“. ადამიანთა თვალწინ გაცხადდა მანამდე დაფარული საიდუმლო, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთი სამპიროვანია, გაცხადდა, რომ იესო, რომელიც მათ შორის დადიოდა და უბრალო ადამიანივით ცხოვრობდა, სრული კაცი და ღმერთი იყო, ზეციერი მამის მხოლოდშობილი ძე და სამყაროს თანაშემოქმედი. აღსრულდა ძველთაძველი აღთქმა და მოახლოვდა ცათა სასუფეველი, მოახლოვდა დღე, როდესაც სამოთხის დახშული კარი კვლავ გაიღებოდა ადამიანთათვის და ელვარე ქერუბიმი მბრუნავი ცეცხლოვანი მახვილით აღარ გადაღობავდა მასში შესასვლელს. აღსრულდა დღე, როდესაც „ბნელსა შინა და სიკვდილის აჩრდილებთან“ მცხოვრებმა ხალხმა „იხილა ნათელი დიდი“, როდესაც ქრისტემ ნათლისღებით წყალთა ბუნება გაწმინდა და უხრწნელება მიანიჭა, როდესაც „წყალთა მათ შინა შემუსრა თავები ვეშაპისაი და პირველი იგი ცოდვაი ჩვენი საბანელითა განწმინდა და მიანიჭა მორწმუნეთა უხრწნელებისა იგი სამოსელი“, აღსრულდა დღე, როდესაც „მაღლი იორდანეს დაენერგვის, უხრწნელებაი. წყალთა დაეთესვის, ცოდვა წყალთა მიერ განიხრწნების“, როდესაც „მზე იგი სიმართლისაი იორდანეს მდინარესა ხორცითა გამოჩნდების და ნათელი ღმრთეებისაი წყალთა მათ შინა განბრწყინდების“. სწორედ ამის გამო ეწოდება ამ დღესასწაულს ორი სახელი: „განცხადება“, რადგანაც იორდანეზე გაცხადდა პირველად, რომ ღმერთი სამებაა — მამა, რომლის ხმა ზეციდან ისმოდა, სული წმინდა, რომელიც მტრედის სახით გარდამოდიოდა და ძე, რომელიც მდინარე იორდანეში ინათლებოდა. გაცხადდა ისიც, რომ აღსრულდა საუკუნო აღთქმა და კაცობრიობას მხსნელი მოევლინა. ნათლისღება, რადგან ამ დღეს მოინათლა იესო ქრისტე და ჩვენც დაგვიწესა ამ საიდუმლოს აღსრულება სული წმინდითა და ცეცხლით, სული წმინდით, რათა ჩვენი მიწიერი ბუნება სულიერისკენ ამაღლდეს და ცეცხლით, რათა ცოდვისა და უსჯულოების ეკლები დავწვათ. ნათლისღებით მორწმუნე მონაწილე ხდება მაცხოვრის ჯვარცმის, სამი დღით დაფლვის და მესამე დღეს დიდებით აღდგომის. ქრისტესთან ერთად ჯვარზე გაიკვრება „ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული“, ახალი, სულიწმინდით განახლებული კი, აღდგება და მთელ ეკლესიასთან ერთად უგალობს უფალს: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ-გვიღებიეს, ქრისტე შე[...]მოსიეს, ალილუია“.

კვირიკე ს[...]

---

21 (ძველით 8) იანვარს საქართველოს ეკლესია იხსენიებს აბო ტფილელს, ტფილისში წამებულს 786 წელს.

საქართველოს ეკლესია შესთხოვს აბოს: „უძლე[...] მოწამეო, ევედრე ქრისტესა, რაითა დაამხუნეს [...] ჩვენნი აგარეანნი...“ თავად აბო კი აგარიანი იყო. [...] მას, აგარიანს, მიმართავენ ქართველები, რომ [...] მათ მეოხედ ქრისტეს წინაშე, რათა მან მისივე სახელი და ხორცი აგარიანები დაამხოს. რას ნიშნავს [...]? ამიერიდან აბოს სული გადასკვნილია ქართველობის სულს? მაგრამ აბომ ქართველობისთვის გაწირა თავი? არა, აბო ქართველობამ მიიყვანა ქრისტესთან, ის [...] ქრისტესთვის, რომლის პატიოსანი სისხლითაც გამოსყიდულია ქართველობა.

როცა აღმდგარი მაცხოვარი მიმართავდა მოციქულებს „იყვენით ჩემდა მოწამე იერუსალემს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა“ (საქმე 1,8), განა ეს მოწოდება მხოლოდ მოციქულებს შეეხებოდა? ან მხოლოდ [...] რომ მოციქულნი წარმართებს შორის გასწევდნენ ქრისტეს მოწამეობას? მოვლენათა შემდგომმა [...]ლობამ აჩვენა, რომ მოწამეობა სხვა საიდუმლო ინახავდა, გარდა ქმშვიდობიანი, უსაფრთხო დამოწმებისა. იმ მოწოდებისას ჯერ კიდევ არ ჩანდა ამ სიტყვის დრამატული შინაარსი. თუმცა, განა თავად მაცხოვარმა არ უწოდა თავს მოწამე, რის შემდეგაც პილატემ დაუსვა მას საუკუნო კითხვა: „რაი არს ჭეშმარიტება“? მან თქვა გარკვევით: „ამისთვის მოვივლინე სოფლად, რაითა ვწამო ჭეშმარიტება“ (ი.18.37). გამგები გაიგებდა. იოანე ღვთისმეტყველი „გამოცხადებაში“ ქრისტეს „სარწმუნო მოწამედ“ იხსენიებს: ქრისტე მამის მოწამეა, რომელმაც საკუთარი სისხლით დაამოწმა ეს ჭეშმარიტება.

განა ის სიტყვები, რომელიც მოციქულებმა აღმდგარი მოძღვრისაგან მოისმინეს, არ იყო ნათქვამი ყოველი ქრისტიანისთვის, ვისაც კი აღმოაჩნდებოდა მოწამეობის ნიჭი, ქრისტესათვის ტანჯვა-წამებას სიხარულად რომ აქცევს? და ყველა, ვინც დაადგებოდა ქრისტეს გზას, ჭეშმარიტებას თავისი სისხლით დაამოწმებდა. ნამდვილად, ყოველი ქრისტიანი პოტენციური (ფარული) მოწამეა, რადგან გამოუკვლეველნია გზანი უფლისა...

და აჰა, აბო გადის თავისი ქვეყნიდან, უარყოფს სამშობლოს და გაჰყვება უცხო კაცს უცხო ქვეყანაში. სხვა შემთხვევაში მისი ეს საქციელი უთუოდ გაიკიცხებოდა. მაგრამ მისი გასვლა აბრაამული გასვლა იყო. ეს არ ყოფილა მხოლოდ მისი ნება. ის დაჰყვა უზენაეს ნებას. მან იგრძნო, რომ არსებობს ისეთი რამ, ისეთი [...] რომელიც უფრო ძვირფასია, ვიდრე სამშობლო და ვიდრე, როგორც ბოლოს აღმოჩნდება, სიცოცხლე. მას ჩაესმა ჭეშმარიტების ხმა. ჭეშმარიტებისთვის დატოვა თავისი ქვეყანა და ბოლომდე შეასრულა ქრისტეს მოწოდება — „რომელსა უყვარდეს მშობელი ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“. აბომ ვარ ჭეშმარიტება — უფრო მაღალი ღირებულება ანაცვალა ხორციელ სამშობლოს... მან უარყო „მახვილითა პყრობილი იგი შჯული“ და აღიარა „ჭეშმარიტი შჯული“.

ის გაჰყვა უცხო ტომის კაცს, რომლის ქცევამ და ყოფა-ცხოვრებამ ტყვეობაში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ეს კაცი ნერსე ერისმთავარი იყო. ნერსემ, მისმა სიყვარულმა, მიიყვანა ქვეყანაში, ქვეყანამ — ქრისტემდე.

ქართლის მეშვეობით ის ეზიარა უნივერსალურს, რადგან თავად ქართლი მოიცავდა თავის კერძოობაში უნივერსალურ ქრისტიანულს, რადგან ყოველი ქვეყნის ეკლესია კათოლიკე ეკლესიის ხატია და იტევს მის სავსებას. ასეთი თვალით დაინახა აბომ ქართლი, თუმცა თავად მკვიდრნი ამ ქვეყნისა იყვნენ „ვითარცა უსახონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხოვრებისანი“.

და მაინც ქართლში ჰპოვა მან ის კარი, რომლითაც სასუფეველში უნდა შესულიყო.

**ქრისტეს მხედარი** ნებისმიერ ქვეყანაში მოიხდის თავის ვალს. აბოს ქართლის ასპარეზი არგუნა განგებამ. ის იყო აფხაზეთშიც, სადაც წაჰყვა დევნილ ნერსეს. ქვეყანაში, რომელიც მისი მარტვილობის წიგნის თანახმად იყო „სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა“. ახლადმოქცეულს აფხაზეთში სამოთხე უნდა ეპოვა, მაგრამ აბომ ეს სულითა და ხორცით აყვავებული ქვეყანა უდაბნოდ გაიხადა — „ეწყვებოდა მტერსა მას ეშმაკს“, მდუმარებასა და მარხვაში გაატარა მთელი სამი თვე წმიდა ანტონის ხსენების დღიდან (17 იანვრიდან) აღდგომამდე. ეს იყო მისი დღეები აფხაზეთში.

ასკეზამ, სულიერმა ღვაწლმა, გააძლიერა იგი და შეამზადა იმისთვის, რომ გაცხადებულად ეღიარებინა ქრისტე იქ, სადაც ეს გაცხადება სასიკვდილო ხიფათთან იქნებოდა დაკავშირებული. ქართლი აგარიანებს ეპყრათ. „ნუ განხვალ შენ ამიერ ქვეყანით, (ურჩევდა მას მთავარი), რამეთუ ქვეყანაი იგი ქართლისა სარკინოზთა უპყრიეს. და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ და არა გიტეონ შენ ქრისტეანობით მათ შორის...“ მთავარს გულწრფელად აშინებდა იმის პერსპექტივა, რომ ძალადობის ქვეშ მოქცეული აბო განუდგებოდა ქრისტეს და ამოდენი ღვაწლი ფუჭად დაეკარგებოდა. რა იქნებოდა იმაზე ბუნებრივი, რომ აბო დარჩენილიყო სამოთხისდარ აფხაზეთში? ქრისტიანი თავისუფალ ქრისტიანულ ქვეყანაში? მაგრამ აბო სხვაგვარად ფიქრობდა. მან თავი ქრისტეს მხედრად აღზარდა და იმ სამთვიანი ღვაწლის დაგვირგვინებას გაბედული აღმსარებლობის ასპარეზზე ხედავდა. აი, მისი პასუხიც: „და აწ ნუ დამაყენებ მე, ღმრთისმსახურო, რამეთუ რაი მადლ არს ყოფაი ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტესთვის?“ და წავიდა ქართლში აბო, რათა განცხადებულად ეუწყებინა აგარიანთათვის თავისი რწმენა. და იმის წინასწარი მოლოდინით, რაც ქართლში ელოდა, დატოვა აფხაზეთი. შეგნებულად დაადგა აბო მოწამეობის გზას. ამ არჩევანს აკეთებს აბო: შეგნებულად დაადგა აბო მოწამეობის გზას. ამ არჩევანს აკეთებს აბო: მიდის იქ, სადაც ყველაზე უფრო გაბრწყინდება მისით ქრისტეს ნათელი. მიდის, რათა გაიღოს უკანასკნელი საბუთი ჭეშმარიტების დასამოწმებლად — საკუთარი სისხლი.

ტერტულიანეს თქმით, მოწამეთა სისხლი ის თესლია, საიდანაც რწმენა აღმოცენდება... პირველმოწამე სტეფანეს სისხლიც ის თესლი იყო, რომელმაც შეამზადა პავლე მოციქულის რწმენა... სტეფანეს მოწამეობიდან დაიძრა ეკლესიის გაფართოების ახალი ტალღა. და ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი გზა ქრისტიანობისა დევნილების ხანაში მოწამეთა სისხლით არის მორწყული. მოწამეობა მოწოდება იყო ეკლესიის [...] [...]ლობაში. მოწამეობაზე დგას ქრისტეს ეკლესია. [...]ლი ეკლესია თავის საკურთხეველში რომელიმე წმიდანის ნაწილს ინახავდა. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, მღვდელი, რომელიც უნაწილო ეკლესიას აკურთხებდა, უნდა განკვეთილიყო. მოწამის ნაწილები კვებავს ეკლესიას. ამიტომაც დაწვეს აგარიანებმა აბოს ნეშტი და ცხვრის ტყავში გახვეული ძვლები მტკვარს გაატანეს. მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება, უსამართლო მსაჯული სირცხვილეულია, ძლეულია. დასჯილი გამარჯვებულია, მართალი აბელი დღემდე ღაღადებს. იმ ადგილზე, სადაც აბო მოკლეს, ადგილსა საგოდებელსა, ავლაბრის მხარეში, ელვასავით მოკაშკაშე ვარსკვლავს ხედავდნენ ქრისტიანენიც და აგარიანნიც, და სადაც წყალს მისცეს მისი ძვლები, იმ ხიდქვეშიდან (აქ დღესაც ხიდია) ნათლის სვეტი ანათებდა არემარეს. ამ სასწაულებმა ახალი ძალა შესძინეს ეკლესიას — წამებულში „სიმრავლემ ქალაქისა“ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწამე ამოიცნო.

აბო ეწამა თავისი რწმენისთვის — ეს პიროვნული აქტი იყო. მაგრამ ამ აქტმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. „სარწმუნოება ჩვენი მისა (ქრისტეს) მიმართ კვალად განახლდა“, — ამბობს „მარტვილობა“. ქრისტემ კვლავ მოავლინა მეოხე და ის შეეძინა ეკლესიას, მთელ ერს...

მოწამეობრივი აქტი ერის პასუხისმგებლობას უნდა აღვიძებდეს. პასუხისმგებლობას წარსულის წინაშე? არა, მოწამის ცხოვრება წარსული არ არის. ის მარადიული აწმყოა, აწვე მყოფობს. მისი სისხლი დღესაც ბრწყინავს წარუშლელად, საიდუმლოდ. ამას განიცდის ეკლესია...

აბოს მოწამეობამ წელში გამართა დაცემული ქართლი.

თითქოს პარადოქსია: როცა ქვეყანა დაცემულია, მაშინ ესაჭიროება მას მოწამეობრივი აქტები. მაგრამ ქვეყანაში არ ჩანს მოწამე, ის ბერწობს. და როცა ქვეყანა ირხევა ლერწამივით, მაშინ უფალი მოავლენს კაცს და ის მოიტანს მტკიცე რწმენას, ის უცხო ქვეყნიდან მოვა. მაგრამ ქვეყანა ზნეობრივად მზად უნდა იყოს, რომ მის წიაღში აღსრულდეს მოწამეობრივი აქტი, რომ ქვეყანამ დედობა გაუწიოს მოწამეს, [...] იშვას და ქვეყანამაც მიირქვას იგი... რომ ამ [...] განაახლოს, ახალ საფეხურზე აიყვანოს ქვეყანა. [...] ქვეყანას გვირგვინი ადგას და ბრწყინავს მოწამე[...] [...]ლი. ეს უკვე ქრისტეს ქვეყანაა და ბჭენი ჯოჯო[...] ვერ ძლევენ მას.

მაგრამ ვაი ქვეყანას, სადაც შეუძლებელი[...] მოწამეობის აღსრულება. და უფრო მეტი ვაი იმ ქვეყანას, სადაც ფუჭად დაღვრილა მოწამეთა სისხლი...

ზურაბ კიკნაძე

# „მხედარი მეუფისა ზეცისაი“

## აბო ტფილელი

# ხუან რამ
# პლატერ

პლატერო პატარა
ოჩორია.
გაბურძგნულია და
ფაფუკი, მაგრამ
ლიერიცაა და
ტკიცეც.
დამყოლია და
ლერსიანი.
ავშვივითაა,
პატარა ბიჭივით,
პატარა
გოგონასავით.
ძელოზე
დანავარდობს და
ჭრუნჩხ
ეცაცუნებს,
ფერება
არდისფერ,
ისფერ,
ქროსფერ
ყვავილებს.
პლატეროს
ძალიან უყვარს
ბავშვები.
გამოჩენილი
ესპანელი
მწერალი ხუან
რამონ ხიმენესი და
პლატერო დიდი
მეგობრები არიან.
ისინი ერთად
დაეხეტებიან
მთასა და ბარში,
შეჰხარიან მზეს,
ყვავილებს,
სიცოცხლეს.
პლატერო ძალიან
ცნობილი ვირუკაა.
მასთან
მეგობრობენ
ესპანელებს გარდა
მსოფლიოს
სხვადასხვა
ქვეყნების
ბავშვები. მოდი,
ჩვენც
დავუმეგობრდეთ
პლატეროს.

მთარგმნელი

## აბდალი

სან-ხოზეს ქუჩით როცა ვბრუნდებოდით, თავისი სახლის ზღურბლთან ჯორკოზე იჯდა ხოლმე ერთი აბდალი ბიჭი და ამვლელ-ჩამვლელს მზერას აყოლებდა. ამ საცოდავისთვის არც ენა ებოძებინა განგებას და არც გონება. თვითონ მხიარული იყო, მნახველებს სევდას ჰგვრიდა. ბიჭი ყველაფერი იყო დედამისისთვის და არაფერი — სხვათათვის.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა თეთრ ქუჩაზე შავმა ქარმა დაქროლა, ბიჭი აღარ დამხვდა თავისი სახლის კართან. ჩიტი გალობდა მიტოვებულ ზღურბლთან. და მე კურსი წამომაგონდა, პოეტზე უფრო მან, როგორც მამამ შემახსენა თავი: ბავშვი რომ დაეღუპა, პეპელას უთხრა, — „პეპელავ, ოქროსფრთიანო...“



ახლა, როცა გაზაფხული მოგვადგა კარს, იმ აბდალ ბიჭზე ვფიქრობ, სან-ხოზეს ქუჩიდან ზეცაში რომ წავიდა. ალბათ ზის თავის ჯორკოზე სულ სხვა ვარდებთან და ხელახლა ახელილი თვალებით სულ სხვა მზერას აყოლებს ოქროსფერი ნათლით მოსილ ნეტართა სულებს.

## ჭლექიანი

ფერმკრთალი და სახეგაცრეცილი იჯდა თავის თეთრ და ცივ საწოლ ოთახში. დაშლილ ნარგიზს ჰგავდა გოგონა. ექიმს ეთქვა, ამ ცივი მაისის მზიან დღეს ქალაქგარეთ სუფთა ჰაერზე გასვლა მოეხდებოდაო. ვერ შეიძლო თურმე საწყალმა.

— ხიდამდე ძლივს მივედი, სენიორ, ხომ იცით, აქვე, ორ ნაბიჯზე რომ ხიდია. სული შემეხუთა, სუნთქვა შემეკრა...

პლატერო გაგასეირნებს-მეთქი, შევთავაზე. ზურგზე რომ შეაჯდა, ღმერთო ჩემო, სიცილმა როგორ გააცისკროვნა მიმკვდარებული სახე! როგორ გამოანათა შავმა თვალებმა და თეთრმა კბილებმა!

... თავთავიანთი კარის ზღურბლზე ჩვენს საყურებლად გამოეფინენ მეზობლის ქალები. პლატერო ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს ესმოდა, რომ ზურგით მიჰქონდა შუშასავით გასაფრთხილებელი რამ, ნაზი ყვავილი. გოგონას თეთრი სადა კაბა ეცვა მონტემაიორის ღვთისმშობელივით, წელზე წითელი ზონარი ერტყა. ხურვებამ და ჩასახულმა იმედმა მთლად გადაასხვაფერა... ანგელოზმა თაიარა პატარა ქალაქში და სამხრეთის ცისკენ მიმავალ გზას დაადგა.

## ყვავილი გზისპირას

რა წმინდაა, რა მშვენიერია. პლატერო, გზისპირას გახარებული ეგ ყვავილი! ჯგლეთითა და ჩოჩქოლით გვერდით ჩაუვლიან ხარები, თხები, ცხენები, ადამიანები. ის კი ისევ ისე ყელყელაობს, ნაზი და ნატიფი, მოვარდისფრო-მოიისფრო. დგას განმარტოებით, სწორად ამოზრდილი თავის პაწია ბორცვზე. დგას უწმინდურებისგან წაუბილწავი, სუფთა.

ყოველდღე, აღმართს რომ შევუყვებით და მოკლეზე ავჰრით ბილიკით, პლატერო, სიმწვანეში ვხედავთ მას. ჩიტიც რომ შეეჩვია! ჩვენი მიახლოებისას გაფრინდება ხოლმე. ნეტა რატომ? ზოგჯერ პაწია ჯამივით ივსება ზაფხულის თქეშის კამკამა წვეთებით. მშვიდად იტანს ფუტკრის იერიშს და ჭრელი პეპლის ფარფატს.

ჩემო პლატერო, სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე აქვს, მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელია. მისი სიცოცხლე შენი გაზაფხულის ერთ დღესავითაა, ჩემი სიცოცხლის ერთი გაზაფხულივითაა... პლატერო ჩემო, აბა ღვთაებრივი ყვავილის სანაცვლოდ რას არ მივცემდი შემოდგომას, რომ იგი შეენარჩუნებინა ლიტონ და მარადიულ ხატად ჩვენი გაზაფხულისა.

## ღამე

ნიავმა ზეიმით ატანილი ქალაქის წითლად გაჩირაღდნებულ ცას მიაწვდინა ნაღვლიან-ხმაურიანი ვალსები. ჩაფამულ კოშკს, ჩაგმანულს, უემურს, მდუმარესა და მტკიცეს, ნიჰრად ადგას მოიისფრო-მოლურჯო ოქროსფერი ნათება. გარეუბნის ბნელი დუქნების მხარეს, ძილინარის გაღმა, ჩადის რულმორეული, მოყვითალო მცხრალი მთვარე.



ველი ხეებისა და ხეთა ჩრდილების ამარაა დარჩენილი. კრუალას გაბზარული ხმა. უჩინარი ნაკადულის სიზმარეული გამოგნებელი ბუტბუტი. ნელი სისოვლე. და ვარსკვლავები მიწაზე ჩამოიჟინჟლნენ თითქოს.

ობილი გომურიდან გაისმა პლატეროს სევდიანი ხმა.

თხამ გაიღვიძა. მისი ეჟვანი დაუცხრომლად წკარუნობს. ბოლოს ჩაწყნარდა. შორს, დიდ მთასთან, სხვა ვირმა დაიყროყინა... შემდეგ კიდევ სხვამ... ველაში ძოფაკი აყეფდა...

ნათელი ღამეა. ბაღჩაში ყვავილებს თავთავისი ფერი შერჩენიათ, როგორც დღისით. წყაროს ქუჩის განაპირა სახლთან, ზედ მბჟუტავ ფარანთან, კუთხეში შეუხვია ვიღაცამ... მე ვარ?.. არა... მე აგერ ვარ, სურნელოვან და მოფუთფუთე მრუმეში. ოქროშერთულ ნათელ-ბნელში, — მთვარის, იასამნის, სიოს და სიბნელის ნახელავში. აქა ვარ მთელი ჩემი არსებით, რომელსაც ბადალი არ შეიძლება ჰყავდეს.

ბრუნავს, ტრიალებს ნაზი და შეგინჟლული ცარგვალი.

## მოპირდაპირე სახლი

პლატერო, ჩემს ბავშვობაში ყოველთვის რა საოცრება იყო მოპირდაპირე სახლი! ჯერ იყო და... რიბერას ქუჩაზე ჩვენი თულუხჩის, არიბერას, პატარა სახლი, სამხრეთისკენ ხვასტაგისთვის შემორაგვულ ბაკით, მუდამ რომ მზით იყო გაჩახჩახებული. ღობეზე აცქვრბოდი და ვუჰყიტინებდი ველვას. ზოგჯერ შიგ მიწვებოდნენ კიდეც და აიბერაბ გოგო, — მაშინ რომ ჭაქალებული მეგონა, ახლა რომ გათხოვილია და, მგონი, სულაც არ არის შეცვლილი, — ფორთოხლებით და კოცნით მიმასპინძლდებოდა. შემდეგ... ნუევას ქუჩაზე, — რომელსაც გადაარქვეს და ჯერ კანოვას ქუჩა, მერე ბერი ხუანპესეცის ქუჩა გახდა, — ჩვენი მოპირდაპირე სახლის პატრონი იყო სევილიელი მეფუნთუშე დონ ხოზე. სულ მისი ოქროსფრად აპრიალებული ჩექმებისკენ გამირბოდა თვალი. თავისი სახლის მოკენჭილ შიდაეზოში კვერცხის ნაჭუჭი ჰქონდა მოპნეული. ყვითლად, კანარის ჩიტისფრად, შეღება წინკარი და ლაჟვარდისფერ-ზღვისფერი ზოლები ააყოლა. ზოგჯერ შემოივლიდა ხოლმე ჩვენსა. მამაჩემი ფულს აძლევდა და ზეთისხილის ჭალაზე ესაუბრებოდა ყოველთვის. ჩემს ბავშვურ ოცნებებში რამდენჯერ დავჯაჯგურებივარ მუდამ ბეღურებით დახუნძლულ იმ საცოდავ ბაჰარის ხეს, რომელიც ჩემი აივნიდან მოჩანდა და დონ ხოზეს სახლის კრამიტიან სახურავს იყო აცილებული. ბაჰარის ორი ხე იყო სულ. ერთმანეთისგან გამორჩეული მყავდა ორივე. ერთის კენწეროს, ჩემი აივნიდან რომ ჩანდა, ქარი არხევდა და მზე ანათებდა. მეორე შემორაგულში მინახავს თავისი ტანიანვარჯიანად.

მოწმენდილ საღამოჟამს თუ წვიმიან ნაშუადღევს, ყოველდღე, ყოველ საათს რა საინტერესო, რა მიმზიდველი, რა უჩვეულოა წყნარ ქუჩაზე ჩემი დაჭრელებული ალაყაფიდან, ჩემი ფანჯრიდან თუ ჩემი აივნიდან დანახული მოპირდაპირე სახლი.

## მივიწყებული მტევანი

ოქტომბრის გადაუღებელი წვიმების მერე, ერთ მოწმენდილ დღეს, როცა ზეცა ოქროსფრად ციალებდა, ზვრებისკენ გავეშურეთ. პლატეროს ხურჯინის ცალ თვალში საუზმე და ბავშვების ქუდები ეწყო, მეორეში გასაწონასწორებლად ეჯდა ატმისყვავილისფერი ბლანკა.

როგორი მომნუსხველი იყო გამოცოცხლებული ველ-მინდვრები!

ნაკადულები წყალუხვად მოჩხრიალებდა, წვიმებით გაჟღენთილიყო მიწა, მინდვრის კიდეში ჩარიგებულ ჯერ კიდევ ყვითლად შეფოთლილ ალვებს შავი ჩიტები შესეოდნენ.

უეცრად გოგონები ყვირილით გაცვივდნენ ერთიმეორის მიყოლებით:

— მტევანი! მტევანი!

ბებერი ვაზის დაგრეხილ ლერწებსა და სიშავედაკრულ შეწითლებულ ფოთლებში ბრდღვიალა მზეს აებრიალებინა ჩაქარვებულ-ჩამკრახული მტევანი. ასაკსმიტანებული ლამაზი ქალივით თვალშისაცემი იყო. ყველანი მისკენ იწევდნენ. ვიქტორიამ მოწყვიტა და ზურგსუკან დამალა, ვთხოვე და მაშინვე გამომიწოდა ნაზად, მორჩილად, ... მყოლად, ისე, როგორც იქცევიან ხოლმე მამაკაცებთან გოგოები, რომლებიც ესესაა დაქალებას იწყებენ.

მტევანზე ხუთი დიდი მარცვალი იყო. ბავშვებს მივეცი ერთი — ვიქტორიას, ერთი

...ი — ლოლას,
...ს სულ ბოლო
...ტა'მის გრიალში
...ტეროს და ისიც
...წაეტანა თავისი
...კბილებით.

## ექო

...ადგილია. თანაც
...ამ ვიღაც არის
... ჩამობრუნებული
... ფეხს აიჩქარებენ
...ებზე ძვრებიან,
... შორს მოავლონ
...მე ამ მხარეში
... და ღამეს აქ
... პარალესი. წი-
...ოზე, რომელიც
... გაჰყურებს, ზო-
...ება ხოლმე შე-
... გზააბნეული თხა
...ლზე მოყვითალო
...ზე იკვეთება მისი
...მოთ, ბარში, აგ-
... შრება ნალვარევი

პლატერო ჯერ მე შემომა-
ჩერდა, მერე კლდეს გახედა,
დრუნჩი წაიგრძელა და მაღლა
ცას გაბმით შეჰყროყინა.

კლდემ ასევე შემოჰყროყინა
გაბმით და როყიოდ.

პლატერო ყროყინად იქცა.
კლდეც ჩამოიქცა ყროყინად.
მაშინ გახელებულმა და
გაოჩნებულმა პლატერომ გადა-
ულებელი ავდარივით ჯიუტად
იწყო მიწაზე თავის ხეთქება,
ავშარის გაგლეჯას და ჩემს
მიტოვებას ცდილობდა. ასე
გასტანა, ვიდრე დაყვავებით არ
წამოვუძეხი და ვიდრე კაქტუ-
სებში მისი ყროყინი თანდათან
არ იქცა მხოლოდ მის ყრო-
ყინად.

## დონ ხოზე, მღვდელი

პლატერო ჩემო, ეგ კაცი
მირონცხებულიცაა და თანაც,
ხომ ხედავ, როგორ ლაპარა-
კობს?! პირდა-
პირ თაფლი
გადმოსდის
პირიდან! მაგ-
რამ სინამდვი-
ლეში ანგე-
ლოზური თუ
რამ გააჩნია,
— ეს არის
მისი ჰაკი ვი-
რი.

# ...მენესი

# ...ა მე

მგონი, კი-
დეც შესწრებ... ქეზღვაურის
ჩაფართხუნებული შარვლითა
და ფართო სომბრეროთი რომ
გამოვარდება თავის ბაღში,
ქვებს რომ უშენს და უშვერი
გინებით რომ იკლებს ბავშვებს,
რომლებიც ფორთოხლებს პარა-
ვენ. მისი მოჯამაგირეც ხოაკ
ბევრჯერ გინახავს, საწყალი
ბალთაზარი, პარასკეობით ქა-
ლაქისკენ რომ გაუდგება, თა-
ვისი გაფშეკილი ცოცხები რომ
გაყიდოს, ანდა ღარიბ-ღატაკთა

... მწვანედ, ვარდი-
...ავს წყალი ცის
...უბურა ღამის
ქვებით, რომლე-
...ან ისვრიან ბავშ-
...ყებს უმიზნებენ,
... წყლის ადგაფუ-

... შევაჩერე გადა-
... დიდ, რტომრა-
...ნ, რომელიც ვე-
...ელს ფარავდა
...წვეტებული თავი-



...ილი ჭოტებით. ხე-
... პირზე და დავი-

...ერო!
...ერო! — შემომე-
... წყლის სიახლოვით
...ული და ჩახრი-

... ცქვიტად მიაბ-
...ეხტა, გასაქცევად

...ტერო! — ისევ
...ეს.
... ძახილი მომიბრუნა:
...ტერო!

მრევლში რომ გაერიოს და
ილოცოს მდიდარ მიცვალებუ-
ლთა სულის მოსახსენიებლად.
დიდის ბეჩავი და დაატარებს
საზარლულში გამოზრდილ დიდი
ბურთისტოლა თიაქარს.

არა მსმენია, რომ მღვდელს
უდიერად ეთქვას ვინმე მოზრ-
დილისთვის რამე, ან მკრეხე-
ლობა დასცდენოდეს. რაც მა-
რთალია მართალია, ნამდვილად
იცის, ყოველ შემთხვევაში, დი-
ლდილობით ქადაგებაში თვი-
თონ[illegible]ობს, რომ ნამდვილად
იცის, თუ რატომ და როგორ

არის ამქვეყ-
ნად ყველა-
ფერი აწყო-
ბილი... ხე,
მიწა, წყალი,
ქარი, ცეცხ-
ლი — ეს
ყოველივე
ისეთი მშვე-
ნიერია, ისე
ნაზია, ისე
ნაღდია, ისე
წმინდაა, ისე
ჩქეფსო ყვე-
ლაფერში სი-
ცოცხლე,
რომ ეს საე-
რთო ჰარმო-
ნია მისაბაძ
ნიმუშად უნ-
და ჰქონდესო
არეულობას,
აშლილობას,
უხეშობას,
გულციობას,
ნგრევას.



მისი ბა-
ღის ქვებს
ღამღამობით
ადგილი სხვა-
გან მიეჩინება ხოლმე. მწყერე-
ბის, ბოლოქანქარების, ბავშვე-
ბისა და ყვავილებისადმი
მღვდლის მძვინვარე სიძულვილი
მიმოისვრის ხოლმე მათ.

მწუხრის ზარები რომ რე-
კავენ, ყველაფერი იცვლება.
დონ ხოზეს დუმილი ველ-მინ-
დვრების მდუმარებას ერთვის.
ანაფორით მოსილი მოიხურავს
მანტიას, თავზე კუნკულს ჩა-
მოიფხატავს, შემოჯდება თავის
ჩაჩხაჩა ვირზე, თავსაც არ
ასწევს და ისე შედის სოფელში,
თითქოს ქრისტე მიემართებო-
დეს იერუსალიმისკენ სიკვდილის
შესახვედრად.

## ბავშვი და წყალი

მზით გადახრუკულ, მიყრუ-
ებულ, მტვრიან ეზოში,
ისე მტვრიანში, რომ, ფე-
ხაკრეფით თუ გაივლი,
მაშინაც კი ბუქი ავარ-
დება და თვალები აგევ-
სება ფქვილივით მტვრით,
— ბავშვია წყაროსთან.
ეს არის ლაღი და ხალი-
სიანი ერთობა, თუმცა
თავთავისი სამყარო აქვს
ორივეს. დახაშმული ად-
გილია. ერთი ხეც კი
არსადაა, მაგრამ გულში
აღწევს, ენაზე გადგება,
თვალებში ჩუხჩუხებს
ულურჯეს ცაზე ასოებით
წარწერილი სიტყვა:
„ოაზისი".

დილიდანვე უსაშვე-
ლოდ ცხელა. წმინდა
ფრანჩესკოს ტაძრის ეზო-
ში ჭრიჭინობელა ხერხავს
და ხერხავს ზეთისხილის
ხეს. თაკარა მზე თავზე აჭერს
ბავშვს. ის კი ვერც ამჩნევს,
წყლით არის მოცული. ბიჭი
მიწაზე გაწვა. ჰქშვი შეუშვირა
მოჩუხჩუხე ნაკადს. წყალმა მის
ხელისგულზე აღმართა სიგრი-
ლისა და სინატიფის მთრთო-
ლვარე სასახლე. აღტაცებული
ბავშვი შავი თვალებით გაფა-
ციცებით ჩასჩერებია სასახლეს.
თან თავისთვის რაღაცას ბურ-
ტყუნებს ცხვირში. მეორე ხელს
ხან აქ შეიყოფს კონკებში, ხან
— იქ და იქექება. სასახლე

სასახლედ
რჩება, თან
ყოველ წამს
ახლდება.
ზოგჯერ
ირყევა კი-
დეც. მერე
ბიჭი მიე-
კუნტა, ძა-
ლა მოიკრი-
ფა და გა-
იტრუნა,
რათა მისი
სისხლის
ტოკვამ
ისევე არ
წაშალოს
მოხელთებ
ული ჩქე-
რის პირვე-
ლი სახე,
როგორც
ციცქნა
კრისტალმა
კალეიდოს
კოპის ხა-
ტები.

— არ
ვიცი, პლა-
ტერო, თუ
მიმიხვდები, რასაც ახლა გეტყვი:
ამ ბავშვს ჩემი სული უჭირავს
ხელში.

## ოხრახუშის გვირგვინი

— აბა, ვინ მიასწრებს!
გამარჯვებული დაჯილდოვ-
დება სურათებიანი წიგნით,
ამასწინათ ვენიდან რომ გამო-
მიგზავნეს, იმ წიგნით.

ვნახოთ, პირველი ვინ
მოირბენს იებთან!.. ერთი...
ორი... სამი!..

ყვითლად ბრდღვიალა მზე-
ში ჟრიამულით მოცუნცულებ-
დნენ ფერვანი გოგოები. უეც-
რად სიჩუმეში, რომელიც ამ
დილით უკვე შეძრა მათი
გულების ბაგაბუგმა, გაისმა
კოშკის საათის დინჯი რეკვა.
ლურჯი ზამბახებით გადაბიბინე-
ბული მაღლარი ფიჭვნარიდან
ჩამოაღწია ძლივსგასაგონმა
ბზუილმა. წყალი შემოჩხრიალდა
არხში... გოგოებმა პირველივე
ფორთოხლის ძირას მოიყარეს
თავი. უქნარა პლატერო, ისიც
აეშალა თამაშის სალღრ-
ღელი და კუნტრუშით
გაერია ბავშვებში. გოგო-
ნებს წაგების შეეშინდათ
და ვერც უარი მოახერ-
ხეს, ვერც გაღიმება.

გოგოებს გავძახე:
„პლატერო მოიგებს, პლა-
ტერო მოიგებს!"

ჰო, პლატერომ ყვე-
ლას მიასწრო იებთან და
მოჰყვა კუნტრუშს.

აქოშინებული გოგო-
ნები ბუზღუნით ბრუნდე-
ბიან. ჩაჩაჩულ წინდებს
იწევენ და გაწეწილ
თმებს ისწორებენ: „არა-
ფერიც, არაფერიც, ეს არ
ითვლება, არ ითვლება!"

გოგონებს ვუთხარი,
რომ შეჯიბრში ნამდვი-
ლად გაიმარჯვა პლატე-
რომ და, საცა სამართა-
ლია, რამენაირად უნდა
დავაჯილდოვოთ. რაკი
პლატერომ არ იცის კი-
თხვა, წიგნი გოგოებს
დარჩებათ სხვა შეჯიბრი-
სთვის. ეს ძალიან კარგია,

მაგრამ პლატეროს უთუოდ
უნდა მივცეთ პრემია.

...ნაღვლიანი გოგონები,
უკვე დამშვიდებულები, რომ
სურათებიან წიგნს მათ არავინ
შეეცილება, ხტუნავენ და გაი-
ძახიან: „აბა რა! აბა რა!"

ჩემსავე შესაგულიანებლად
ვფიქრობ: მე თუ მერგება
პრემია ჩემს ლექსებში, პლატე-
როც ხომ გაისარჯა და ნაღდად
დაიმსახურა ჯილდო. და იქვე,
მეოჯახე გლეხის ჰიშკართან
მოვგლიჯე რამდენიმე ბღუჯა
ოხრახუში, დავწანი გვირგვინი
და გამარჯვებული ლაკედემონი-
ელის მსგავსად თავზე ჩამოვა-
ცვი პლატეროს ნიშნად სწრა-
ფწარმავალი დიდებისა.

## მეწამული ხედი

მთის მწვერვალი. მზე ჩა-
დის, წითელი მზე, ნამსხვრევე-
ბად დასერილი და სისხლჩამო-
მდინარე. ამ სიჩახჩახეში ჩაყან-
ვდა მწვანე ფიჭვნარი, სიწითლე
შეერია აბრიალებული ბალახი
და ყვავილები ნოტიო სურნელს
აფრქვევენ, სისოვლის სურნელს,
შუქიანსა და ყველაფრის გან-
მსჭვალავს.

არ ვიძვრი, გაყუჩებული
ვცქერ მწუხრს. პლატერო,
რომლის თვალებშიც წითლად
კიაფობს დაისი, მძვიდად ჩერ-
დება მაწყითალო. მოვარდისფ-
რო. მოიისფრო გუბესთან და
ჩვეულ ჰყოფს დრუნჩს მეწამულ
სარკეში; შეხების უმალ შუშა
თითქოს ჩაედინება ფართო
სადინარში და უშველებ
პირით სისხლივით ჩამუქე...
წყლით ძალება პლატერო...

შეჩვეული არემარე ... დაა-
ხსაკეთ... დაისმა, ნანგრევებს
ღამისგაეს... თან სიდიადე
შეჰმატა. გეგონება, ყოველწამს
უნდა წავაწყდეთ მიტოვებულ
სასახლეს... მწუხრის ჟამი გახა-
ნგრძლივდა, მარადიულობას
ეზიარა... ვახდა უსასრულო,
უშფოთველი და იდუმალი...

— გავწიოთ, პლატერო.

ესპანურიდან თარგმნა
მანანა ბიბინეიშვილმა

ჩანართი ფრაგმენტები
ნიკო ფიროსმანის ნახატებიდან



## დისპლეი—სამკითხველო

### ალან დინ ფოსტერი (აშშ)

ფანტასტიკა

# ციცინათელები

დასასრული

შეუკვეთეს. როცა ოფიციანტი წავიდა, საშუალო ასაკის ქალმა მაშინვე მისკენ გამოიხედა, მაგრამ, როგორც კი უელსმა აიხედა, მაშინვე მოაშორა მზერა.

\+ + +

– კარგია თქვენთან. რა სილამაზეა! – უთხრა უელსმა ავტოგასამართი სადგურის მექანიკოსს. – შეგიძლიათ არ იჩქაროთ. შორს მივდივარ და მიხარია კიდეც რომ ვისვენებ. კიდევ ერთ დღეს დავრჩები. ხვალ მაინც აცივებას გვპირდებიან.

– დიახ, მეექვსე პროგრამაზე გამოაცხადეს, ხვალინდელი დღე ცივი იქნებაო. – დაუმატა მექანიკოსმა.

როცა უელსი უკან, მოტელისკენ გაბრუნდა, მექანიკოსმა თვალი გააყოლა.

საღამოს ათ საათზე უელსი საწოლიდან იატაკზე გადმოძვრა, იქვე ჩაიცვა, მერე ფანჯარასთან მიცოცდა და ლოდინი დაიწყო. დადგა შუაღამე. მოჩვენებათა საათი.

მაგრამ მომხიბლავი ღრიანცელი გამოჩენილა.

ღამის ორ საათზე როგორც იქნა გადაწყვიტა, ფანჯარა გაეღო და ჩუმად გადახტა.

უელსი ნაკადულს გადაევლო, რომელიც ხულ რაღაც ერთი მეტრის სიგანისა იყო, და ბუჩქებამოფარებული სამხრეთისკენ წავიდა.

დიდხანს მიდიოდა, არავინ შეხვედრია. უელსი შეჩერდა და საათს დახედა: ოთხი იყო. მალე მზე ამოვიდოდა, მან კი მთელი ღამე იფხიზლა და ვერაფერი ივოვა. ვიდრე გზას გაუდგებოდა, დასვენება დასჭირდებოდა და ეტყობა, კიდევ ერთი დღე მოუწევდა დარჩენა.

უმაკსაც წაუღია! მოჩვენებებს, თუნდაც ძალზე მომხიბვლელნი იყვნენ, რაღაც ცხოვრებასთან არავითარი კავშირი აქვთ. აი, დალაშქი საქმეში კი ძალიან რეალურია. და დღისით... გა ნაწილები ... და ქალაქს უფრო წავიდა და უტელისკენ გამობრუნდა.

კიდევ მუსიკის ხმა მოესმა ... ადგილიდან, სადაც ... მოდიოდა. უელსი მაშინვე იქით გაეშურა და გორაზე დაიწყო ასვლა. ეს გორაც მეორეც – უფრო ძნელად ასასვლელი, ადვილად აიარა, როცა წვერს მიაღწია, მუსიკის ხმა უფრო შესამჩნევად გაიზარდა, რამდენიმე ნაბიჯი და უკვე წვერზე იყო. ქვემოთ უელსმა მუშტისხელა ქვებით მოფენილი ქვაბული დაინახა. მაშინვე იცნო ის გოგონა, რომელიც ვიღაც დიდყურა, ჭორფლიან, მოკლედ შეკრეჭილ ქერათმიან ბიჭთან ცეკვავდა. ჩვეულებრივი ბიჭი იყო – ჯინსები, ბოტასები და მაისური ეცვა. ეგ იყო მხოლოდ, ესეც ანათებდა.

მოცეკვავეები სწრაფად ტრიალებდნენ, როგორც ჟონგლიორის ხელში ჩირაღდნები.

კიდევ ხუთი წყვილი ცეკვავდა ქვის სცენაზე. თორმეტივე მომწვანო-მოყვითალო ნათებით ანათებდა და თავბრუდამხვევი სისწრაფით ტრიალებდა.

„თორმეტი, – გაიფიქრა უელსმა. – თორმეტი მოჩვენება". ყელი გაუშრა. ქვემოთ, ქვაბულში იყურებოდა და უნდოდა დაეჯერებინა ის, რასაც ნამდვილად ხედავდა.

ყველა მოცეკვავე გასაოცრად ლამაზი იყო, თუმცა, მის სუსტსა და ქერა გოგონას ვერც ერთი შეედრებოდა. უელსის თვალი მოუშორებლად დასდევდა მანათობელ ნიმფას, და უკვე გრძნობდა მისი სხეულის სიმხურვალეს, გრძნობდა მისი ნახევრად ღია ბაგის სიტკბოს. იგი იძირებოდა და ქრებოდა მასში...

– თქვენთვის ვნების მიყენება არ გვსურს, მისტერ, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვილაპარაკოთ, – რაღაც მძიმე მიეჯახა უელსის ზურგში. იგი ნელა მობრუნდა.

... წინ სამი კაცი იდგა: ორი ორმოცდაოდე წლისა იქნებოდა, მესამე უფრო უფროსი.

– მე ჩარლ ზიმერი ვარ, – თქვა იმან, რომელმაც უელსს იარაღით თითქმის ზურგში ატაკა, – ძალზე ვწუხვარ, თუ აღგილზევე გაგათავებთ, მისტერ. – და ოდნავ წაჰკრა თოფის ლულა. – მაგრამ თუ დაგვიჯერებთ, ვფიქრობ, ყველაფერს მოეწყობა.

– რა გნებავთ? – ჰკითხა უელსმა. ამ სამი კაცის გამოჩენით არც მოცეკვავეები გამქრალან და არც ამათ გაჰკვირვებიათ ზღაპრული არსებების დანახვა.

ერთმა, კოვბოურა შლაპა რომ ეხურა, უფროსს ჰკითხა:

სად წავიდეთ, დოკ?

– მოტელში. იქ ხელს არავინ შეგვიშლის. რინამ უკვე ყველაფერი იცის. – იგი უელსს მიუბრუნდა და ხელი გაუწოდა. – სილ უიზერსი, აქაური ექიმი გახლავართ.

უელსმა ხელი ჩამოართვა:

– სხვა შემთხვევაში გეტყოდით, მოხარული ვარ-მეთქი, ექიმო.

მოხუცმა მეგობრულად გაიღიმა.

– ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება.

უელსმა ისევ გადახედა მოჩვენებებს. ისინი კვლავ ცეკვავდნენ. ქერა გოგონა ახლა ძალზე ახლოს აღმოჩნდა. და... მისი დაუფლების სურვილმა ყველაფერი დაჩრდილა. უელსი უცებ ადგილიდან მოსწყდა და ფერდობზე დაეშვა. ვერაფერს ამჩნევდა, მის თვალწინ მხოლოდ სილამაზე იდგა, რომელიც მისი საკუთრება უნდა გამხდარიყო.

გოგონა ვერაზე შემობრუნდა და უელსი დაინახა თუ არა, გაიცინა. ჯადოსნური ცეკვა შეწყდა. მისი პარტნიორი წინ გამოვიდა. დაუპატიჟებელი სტუმრისაგან გოგონა რომ დაეცვა. უელსმა ამ ახალგაზრდა ადამიანის მოსაშორებლად ხელი გაიქნია... და ამ მომაჯადოებელ ნათებაში, მან ავტოგასამართი სადგურის მექანიკოსის მეწუკიანი სახე იცნო. ამან ერთი წამით შეაჩერა მისი ხელი, ამ დროს მთელი ძალით დაარტყეს უკნიდან...

\+ + +

უელსი გონზე თავის საწოლში მოვიდა. სამივე მამაკაცი მაგიდასთან იჯდა და ბანქოს თამაშობდა.

– გონზე მოვიდა, – მოტელის დიასახლისი საწოლს მოშორდა და უკვე კართან მისულმა დაუმატა, – ახლა დაგტოვებთ, დოკ.

– გმადლობთ, რინა.

როცა კარი დაიხურა, მამაკაცებმა ბანქო მიატოვეს და საწოლს მოუახლოვდნენ. ერთს იარაღი დაუდევრად ეჭირა ხელში. უელსმა კეფაზე დაიდო ხელი, სველ, ცივ ჩვარს წააწყდა. თავი მთელი ჰქონდა, გასროლის ხმა კი ვერ გაიხსენა.

ექიმმა იარაღიანი კაცისკენ თავი გაიქნია და ისე თქვა, თითქოს ბოდიშს იხდისო:

– ჩარლი დაგეწიათ, ვიდრე ჯოლინას მივარდებოდით, მაგრამ, მგონი, არც ისე ძლიერად დაგარტყათ...

– ჯოლინა?.. მოჩვენება?.. – უელსს ქვაბულში მოცეკვავე მოჩვენებები გაახსენდა. გაახსენდა ის გრძნობაც, რომელიც მოერია და თან წარიტაცა. გაახსენდა გიჟური ნახტომი ფერდობზე.

მესამე მამაკაცმა თავი გააქნია:

– არა, მოჩვენება არ არის. ჯოლინა ჩემი ქალიშვილია.

უელსმა ნელა წამოიწია და საწოლის ზურგს მიეყრდნო.

– არაფერი მესმის. მოჩვენება, რომელიც და-ძმებთან ცეკვავდა.

ექიმი საწოლზე ჩამოჯდა.

– ისინი მოჩვენებები არ არიან, მისტერ უელს. ისინი ლუციფერიტები არიან.

უელსის თვალი იარაღისკენ გაეცოცდა, რომელიც მტრულად იყო ისევ მისკენ მიმართული. ის მოთხრობები და რომანები გაახსენდა, ოდესღაც რომ წაეკითხა და სისულელედ ჩაეთვალა: პატარა ქალაქები, სადაც საიდუმლო კულტები ყვავის, და სადაც ჩვეულებრივი ამერიკელები ცხოვრობენ, თუმცა, ხინამდვილეში, მკაცრი რელიგიური ფანატიკოსები იყვნენ, რომლებსაც ყოველთვიური, ტრადიციული მსხვერპლშეწირვისთვის ადამიანის გული სჭირდებოდათ... იქნებ ჯერ ფიქრობენ, დრო იხელთის და იარაღიან კაცს ეცეს, რომ...

ეტყობა, ეს აზრი სახეზეც აესახა. ოღონდ უელსი ასეთ რეაქციას სულ არ ელოდა: მამაკაცებმა გადაიხარხარეს, ჩარლიმ კი სიგარეტი მიაწოდა.

– ამ საცოდავს, დღეს მაგრა მოხვდა. დააცადე სული მოითქვას.

უელსის უკანასკნელი ეჭვი გაუქრა, და მადლობით მიიღო ჩარლის გამოწვდილი სიგარეტი და ასანთი.

– იქნებ, რომელიმემ ამიხსნას, რა ხდება? მე ვნახე მოჩვენებები, თქვენ კი მეუბნებით, ასე არ არისო.

ექიმმა უიზერსმა როგორც იქნა აზრი მოიკრიბა და უთხრა:

– იცით სად იმყოფებით?

– აგუა-კალენტში, ნიუ-მექსიკაში, – უპასუხა უელსმა, – 54-ე გზა. ეროვნული მონუმენტი „თეთრი ქვიშები".

უიზერსმა ნელა დაუქნია თავი.

– „თეთრი ქვიშები". ალამოგორდო. ეს თქვენ არაფერს გეუბნებათ?

უელსი ეცადა ხელიდან გასხლეტილ აზრებს დაწეოდა. თან გაიფიქრა: ეს ექიმი იმ ადამიანს სულაც არ ჰგავს, რომელიც რაღაც ბოროტ საიდუმლოს ფარავსო.

– თითქმის მთელი ცხოვრება აქ გავატარე. – უიზერსი ადგა და გააგრძელა, – მუშაობა ომის შემდეგ დავიწყე. საერთოდ მომწონს პატარა ქალაქებში მუშაობა. ცუდი ხალხი არ ცხოვრობს აქ. მე არაფერი ვიცოდი ორმოცდაათიანი წლების ცდების შესახებ. თუმცა, არც არავინ იცოდა, გარდა იმათი, ვინც უშუალო მონაწილე იყო. ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ ყველაფერი. მართალია, მიყრუებულ მხარეში ვცხოვრობთ, მაგრამ ბრიყვები სულაც არა ვართ. ტილისის შვილი ჯერემი პირველი იყო... – ტილისი ჩარლის გვერდით რომ კაცი იდგა, ის აღმოჩნდა. მან თავი დაუქნია. ახლა ის ოცდახამი წლისაა. მოგვიანებით სხვებიც გაჩნდნენ. სხვა ლუციფერიტები...

უელსი თვალმოუშორებლად აკვირდებოდა ტილისის მოულოდნელ გამომეტყველებას.

– ვინ არიან, ეს ლუციფერიტები?

– ყოველი არსების სხეული რაღაც რაოდენობის ლუციფერინს შეიცავს, – უპასუხა უიზერსმა. – ჩვეულებრივ ეს ძალზე უმნიშვნელოა. მხოლოდ ზოგიერთი სახეობის არსებასა აქვს ეს ნივთიერება მეტი რაოდენობით, მაგალითად, ციცინათელებს.

აქ მხოლოდ ატომურ ბომბს როდი ცდიდნენ, – გააგრძელა ექიმმა. – მაშინ იმაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, ბირთვული მედიცინა როგორ გადაატრიალებდა ჩვენს წარმოდგენებს ავადმყოფობების განკურნებაზე. და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ნათელი, რომ უძველესი ავადმყოფობების მკურნალობა დასნებოვანებულ ადგილზე იზოტოპების მიშვებით, სისულელეა. ამისგან ცუდს უფრო მეტს ვიღებთ, ვიდრე კარგს... ქვაყრილი გახსოვთ, სადაც ახალგაზრდები ცეკვავდნენ?

უელსმა თავი დაუქნია.

– ამ ადგილზე ქიმიურ ნარჩენებს მარხავდნენ. ასეთი ადგილები ქვეყანაში ასეულობით არის. ალამოგორდოში, ამ ფრიად საინტერესო ქიმიური შენაერთებით, ხალხი საკმაოდ დიდხანს და თითქმის უკონტროლოდ ერთობოდა, მანამდე, ვიდრე მთავრობამ ომის შემდეგ ეს საქმე არ აკრძალა. – უიზერსმა თავი გააქნია. – რაღას არ აკეთებენ ადამიანები კვალი რომ დაფარონ! როგორც ამბობენ, ჭუჭყიან თეთრეულს იმიტომ მალავენ, უცხო თვალმა არ დაინახოსო. სამარხი მდინარესთან მდებარეობს. მდინარე კი ქალაქს წყლით ამარაგებს. წლების განმავლობაში, ეს სამგლობა ნელ-ნელა ჟონავდა წყალსაცავში. დასაწყისში ვერავინ შეამჩნია, მაგრამ სამი თაობის შემდეგ ამ ნივთიერებების გავლენა ბავშვებში გამოჩნდა. მოწიფულობის ასაკამდე არავითარი გარეგანი ნიშნები არ ჩანს, თექვსმეტი წლის ასაკში კი მთელი ძალით იწყებს გამოვლინებას. ვეცადე თავად გავრკვეულიყავი ამ მოვლენაში, მაგრამ სრულყოფილი აპარატურა არა მაქვს. მოკლედ, როგორც ეტყობა, მას ზიანი არ მოაქვს – ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც – ოღონდ... ზოგჯერ გვერდით მოვლენებს იწვევს. დარწმუნებული ვარ, რომ ჰორმონალური ცვლილებები, ამ ასაკის მოზარდებისთვის რომ არის დამახასიათებელი, როგორიცაა ამ პროცესის აქტორებს.

უელსის შიში სამოლოოდ გაიფანტა, და მხოლოდ გაოცება შერჩა.

– რა მოვლენებს?

– მოზარდებში მკვეთრად იზრდება ლუციფერინის გამომუშავება, და შესაბამისად იზრდება ლუციფერაზის რაოდენობა. ლუციფერინი იჟანგება და მიიღება...

– ციცინათელები... – მოჯადოებულივით ჩაიჩურჩულა უელსმა. მერე ერთი წუთით ჩაფიქრდა და მკაცრად მიახალა: – რატომ ვინმეს არ შეატყობინეთ? რატომ...

– მომიტევეთ, მისტერ, – ჩარლმა ნაღვლიანად გაიღიმა. – ესენი ხომ ჩვენი შვილები არიან. – მის სიტყვებში ვედრებამ გაიჟღერა. – დოკმა თქვა, არავითარი ხიფათი არ ემუქრებათო. კიბო... ან სხვა ამისთანა.

– გარდა ნათების ეფექტისა, ესენი სრულიად ჩვეულებრივი, ნორმალური მოზარდები არიან, – დაუდასტურა უიზერსმა.

– ჩვენ ჩვენი შვილები გვიყვარს, – გააგრძელა ჩარლიმ, – დოკი ამბობს, თუ ეს ამბავი ქვეყანას მოედება, მთავრობამ შეიძლება ისინი აქედან წაიყვანოსო. გამოსაკვლევად და შესასწავლად წაგვართვანო.

– ჩვენს შვილებს აქ მოსწონთ, – თქვა უიზერსმა. – არ უნდათ, რომ მათზე დაკვირვებები აწარმოონ. ზოგმა უკვე სკოლა დაამთავრა, ზოგიც სწავლობს. ყველამ მშვენივრად იცის, როგორ მოიქცეს, რომ ამბავი არ გავრცელდეს. რომლის შესწავლაც მეცნიერებას ჰქონდა უნდათ. ამ ბავშვებს იშვიათი ნათების ეფექტის მართვა შეუძლიათ, შეუძლიათ მისი სხვათა თვალისაგან დაფარვაც. ამიტომ იკრიბებიან ისეთ ადგილებში, სადაც უშიშრად მოაწონებენ ერთმანეთს თავს. იმედი გვქონდა, იმ ღამეს ჯოლინა ანტონი რომ შეამჩნიეთ, უბრალოდ, შემთხვევითობას მიაწერდით და დაივიწყებდით.

– თქვენ ხომ პროვინციელი ექიმი ხართ, – თქვა უელსმა, – იქნებ ეს ეფექტი ადამიანისთვის მაინც საზიანოა? იქნებ სულ სხვა გვერდით მოვლენებს იწვევს?

– თუ რომელიმე ბავშვს რაღაც სერიოზული აღმოაჩნდება, ცხადია, მისი საავადმყოფოში მიყვანა მოგვიწევს, და მაშინ რაც მოხდება მოხდეს, – უპასუხა უიზერსმა, – მაგრამ ჯერჯერობით ამისი აუცილებლობა არ ყოფილა. მათ გამუდმებით ვაკვირდები. ვასწავლი როგორ შეიმოწმონ თავი. ბავშვები ყველაფერს ხვდებიან. მათ თავი მოსწონთ, ბატონო უელს, და მკურნალობა არ სურთ. გარდა ამისა, კიდევ არის ერთი მიზეზი. ჩვენ თვითონ, ბევრი რამის გადატანა მოგვიხდა, ვიდრე მივხვდებოდით, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენ არ ვუყურებთ მათ თამაშსა და ცეკვას: მათი ყურებისას ადამიანი... საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს.

– თქვენთვის ეს უკვე ცნობილია, ბატონო უელს. – დაუმატა ტილისმა.

უელსს გაახსენდა ის ღამე, გოგონას იშვიათი მანათობელი სილამაზე და ის ზემოქმედებაც, რაც მასზე მოახდინა. გაახსენდა გოგონას დაუფლების რა ულმობელმა სურვილმა მოუარა. „დიახ, – გაიფიქრა მან, – ამას, მართლაც, „კონტროლის დაკარგვა" ჰქვია. თუმცა, თუ ისევ მიეცემოდა შესაძლებლობა, წინააღმდეგი არ იქნებოდა კიდევ ერთხელ დაეკარგა საკუთარ თავზე კონტროლი...

– ვიცი, რაც გაიფიქრეთ, – თქვა უიზერსმა, – ... კლებ ... საკუთარი თავი რომ აი... ჩააზმო სურვილი, საჭირო... შეგვნება, რაც ხდება. ... თან მივიდა. – ჯოლინა, ... გეთაყვა...

უელსი მოიკუნტა, ... კარისკენ გაუცოცდა, ძარღვ... სისხლი აუჩქროლდა, ... დაეძაბა.

შემოვიდა გოგონა. ის... ის მშვენიერი მოჩვე... ოღონდ... ოღონდ იმ მშვენ... ზმანებიდან კვალიც აღარ ... ჩენილიყო, თუმცა გოგონა ... არ არის, ის იყო. მან მორც... გაუღიმა უელსს – ცხადია, ც... მეტი წლის გოგონა სიმპათი... იყო, მაგრამ განსაკუთრებ... არაფერი ჰქონდა. გაქრა ... და მასთან ერთად მიმზიდ... ძალაც. და ის მოუშორებ... სწრაფვაც.

– გმადლობთ, ჯოლინა, ... გიძლია წახვიდე.

ზღურბლთან მისული ... გო, უცბად, წამიერად, მომწ... ყვითლად გაბრწყინდა და ... მიეფარა.

მაგრამ ეს გაელვება ს... რისი აღმოჩნდა... უელსმა ... დაახამხამა და ექიმს მიუბრ...

– ვიცი, შვილო, ვიცი ... ციფერონი, ეს განსაკუთრებ... ნათება ხდის მათ ასეთ ლამაზ... სახიფათოა, ცხადია, ესენ... სწავლობენ მის დაფარვას... უიზერსის კეთილი სახე ... ლდა, სახიფათოა არა მათ ... გამოცემული სინათლე, არამ... ვნება, ალგზნება, რასაც ეს სი... ლე იწვევს ადამიანებში. ... მოცდათერთმეტი წლის ... რამ, როცა ამ ნათებას ... მეც– მოკლედ, ვეღარ ... რომ უკვე სამოცდაა... წლისა ვარ... საერთოდ ... ვეღარ ვგრძნობ, გარდ... აი ეს არის სახიფათო.

– – ბავშვები სხვაა. ... ეს ძალზე მძიმეა. გაიხს... გრძნობამ. შეგიპყრო... გრძნობა თქვენი თავდაპირ... ინსტინქტია. არა, იფიქრეთ, ... შვილებს რა მოუვათ, თუ ... ქტები რამდენიმე ასეულ ... ლულის, ქალებისა და ... თანდასწრებით წარმოჩინ...

კარის მიხურვამდე უიზერ... ნაღვლიანად გაიღიმა და და...

– ჩვენ ყველანი ციცინათელ... ვართ, ბატონო უელს.

\+ + +

მარტოდ დარჩენილი ... სი საწოლზე დიდხანს იჯდა... მოხუცი ექიმის სიტყვებზე ფ... რობდა.

– „სიგიჟეა, გაიფიქრა მ... სიგიჟე, სისულელეა, იდიოტ... მე სხვებზე უარესად როდი შ... ძლია საკუთარი ემოციების მა... ვა. ცხადია, შემიძლია..." მაგ... უცბად, ისევ ის ღამე უცხო ნ... ბა, მაჯის გამალებული ცემ... ბრმა, გაუაზრებელი, ყოვლისშ... ნთქმელი სურვილი გაახსენდ...

უელსი ადგა და სწრა... შეაგროვა ბარგი. მოგონებ... ნებას უძალიანდებოდა, ის... როგორც სხეული არ უსმ... გონების ხმას. ეს ნათება, ... ლოდ, კლავდა ყოველგვარ გ... ვრულსა და ყოველ მოსაზრ...

არა, ვერავის უამბობს ... ციფერიტებზე. არც თავის ... ბოსს დალაში და არც არა... მსოფლიომ რომ შეიტყოს ... რი მოაწყდება ამ პატარა ქალა... თუნდაც იმიტომ რომ ... ასეთად გახდომა მოუნდ... ლი მეცნიერები – ცხადია, ... განზრახვით, – ალბათ, საჭ... ნივთიერებების სინთეზს მ... დენენ და მთელ მსოფლიოში ავრცელებენ.

უელსი, საკუთარი ... რებით კმაყოფილი კაცი... დამ ჯანსაღად აზროვნება... გალითად, ძალზე აწუხებდა ... დედამიწა შეიძლება ... კატასტროფის შედეგად ... პის. მაგრამ უფრო ნაკლებად ... რდა ენახა ცივილიზაციის ... გორ დაანგრევდა სექსუალ... კატასტროფა.

თარგმ...

**გიორგი ნაზლაიძ...**





„კავკასიონის" ერთ-ერთ წინა ნომერში (№ 200) ვიუწყებოდით, რომ თბილისში შეიქმნა „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ელიტარული კლუბი", რომელსაც ხელმძღვანელობს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორი ბატონი გია მურღულია. კლუბის წევრები ქართული მწერლობის ამა თუ იმ საკითხზე სასაუბროდ იწვევენ ცნობილ მეცნიერებს. ამჯერად, კლუბის სტუმარი იყო ბატონი ვახტანგ როდონაია, რომელმაც ისაუბრა თემაზე

# კლასიკის «თანამედროვე წაკითხვები»

ვახტანგ როდონაია: „სა... გამოტანილი ერთ-ერთი სიტყვა ...ხვები — თავისი ფორმით ცხადი ...გვარ ირონიულ დამოკიდებულე... ...ლივე იმის მიმართ, რაც სათაყვანით ...მა. კაცობრიობას რაც კი თავი ახ... ...ულ აწუხებს პრობლემა — რა მიმა... ...არსებობს წარსულთან და რო... ...და მიეახლოს მას ადამიანი. „კლასი... ...ოდოთ იმას, რაც დროსა და ჟამს ...ბა, რაც მარადიული ფასეულობე... ...უხსოვარი დროიდან დღემდე, ხე... ...ფიქრს იწვევს, ესე იგი, კლასიკას ის ...ები უნდა მივაკუთვნოთ, რომელ... ...გამუდმებული დიალოგის საფუძვე... ...ირებულებათა სისტემა, რომელიც ...მასში ძევს. ეპიკური წარსული ...რომელიმე თქმულება, ხალხური ...არ მიმაჩნია კლასიკად. ორტეგა ი ...ამბობდა: აქილევსი პლატონისგან ...ნძილით არის დაშორებული, რამ... ...დღეს ჩემგანო. ეპიკური წარსუ... ...ვნილებათა გარდა, რაც წინაპრებს ...ათ და დღესაც დიალოგის სურ... ...ნს, არის კლასიკა. კლასიკასთან არ ...ენ — ეს კანონია, მაგრამ კლასი... ...შემოქმედებაზე საუბარი კი სასა... ...„თანამედროვეობა", გარკვეულ... ...პირობითი კატეგორიაა. წარსულის ...სწორედ „თანამედროვეობის" ...შრე ქმნის".

...შემდეგ ბატონმა ვახტანგმა ბრძანა, რომ ...მოდური გახდა კლასიკის ე.წ. „თანამე... ...წაკითხვები", მისი არცთუ გულუბრ... ...ინტერპრეტაციები. ამგვარ წაკითხ... ...თურმე, ერთგვარი თეორიული საფუ... ...დაედო, რომელსაც, როგორც წესი. ...მომცველი სკეფსისისკენ მივყა... ...რმე. „კულტურას სიცარიელე სჭი... ...ოუ იტყვით, თურმე. „კულტურის ...ა სიმრავლე, „დახვავება", მემკ... ...რიგიან აღქმას უშლის ხელს. ამი... ...ლტურული მემკვიდრეობა უნდა ...დეს". ბევრი რამ დავიწყებას უნდა ...თუნდაც, უხეში მეთოდებით განი... ...მეხსიერებიდან, რათა კლასიკამ ...განიცადოს და ამ ნგრევის პროცესში ...იბადოს ახალი".

ბატონმა ვახტანგმა გაიხსენა შემთხვევე... ...დესაც ჩვენი კლასიკური მწერლობის ...დრეობა სწორედ სკეპტიციზმით ნასა... ...დოები „წაკითხვის" მსხვერპლად იქცა ...„ვეფხისტყაოსნის", იაკობ ცურტავე... ...„შუშანიკის წამების", ილია ჭავჭავაძის ...თარაანთ ქვრივის" თანამედროვე ინტერ... ...ტაციები).

„ოთარაანთ ქვრივის" თანამედროვე ...ინტერპრეტატორს აინტერესებს ამ ნაწარ... ...„ზოგიერთი ასპექტი", რომელიც ...ების სფეროს აშორებს. მკვლევა... ...ავშირეა ფროიდისტული ანალიზი. ...რაანთ ქვრივის გარდაცვლილი მეუღ... ...ნაქონ თოფთან დაკავშირებით იგი ...„ფროიდიზმის კუთხით თუ შევხე... ...თოფი იმდენად კლასიკური ფალო... ...მბოლოა, რომ მასზე ლოცვა ქრი... ...ლი წარმოშობისა ნამდვილად არ ...ერპთაყვანისმცემლობა, რასაც ...„ადო ერთგულებად" ვნათლავთ, ...ციასთან გამკლავების წარმარ... ...მუალებაა და დღევანდელ დღეს ...ლიზაცია ჩვენს ზნეობას ბევრს ...შემატებს". ამგვარი მსჯელობე... ...ევარი ადვილად მიდის შემდეგ ...დე: „ოთარაანთ ქვრივი დიდებუ... ...ერატურული გმირია. დავხაროთ ...წინაშე, როგორც ჩვენი წარსუ... ...ისტორიის მკაცრი და მძიმე ბედით ...მნილი ხასიათის წინაშე და ლიტერა... ...რაში დავტოვოთ იგი, ნუ გავხდით მას ...ის იდეალად".

ამგვარ „წაკითხვას" ვიდრე არსებით განმარტებას მისცემდა, ბატონმა ვახტანგ როდონაიამ ისაუბრა, აგრეთვე, „შუშანიკის წამების" საოპერო ვარიანტზე, რომელშიც ეპიკური თეატრის მეთოდი იქნა გამოყენებული. ამის შედეგად კი უპირველესი მნიშვნელობა შეიძინა „სანახაობრივმა" მხარემ, რომელსაც შეეწირა იაკობ ხუცესის ნაწარმოების ყველა არსებითი ტენდენცია. გროტესკის, ფარსის ტონალობა, რომელმაც სცენურ გადაწყვეტაში იჩინა თავი, სრულიად შეუსაბამოა ჰაგიოგრაფიის კლასიკური ნიმუშის სულისკვეთებასთან.

რამდენიმე მაგალითის მოტანის შემდეგ, ბატონმა ვახტანგმა ისაუბრა ლიტერატურული ტრადიციის თანამედროვე გაგებაზე (განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თომას ელიოტის თვალსაზრისს).

ბოლოს, ბატონმა ვახტანგ როდონაიამ „კვანძი გახსნა" და ბრძანა, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ღრმა წაკითხვა შესაბამისი ეპოქის, კულტურული გარემოს, ლიტერატურული ტრადიციის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. არ შეიძლება, კლასიკური მწერლობის ამა თუ იმ ნიმუშს უცხო საზომით მიუდგე და მისთვის გამოუსადეგარი გასაღები მოარგო. შუშანიკის ამბის კითხვისას, პირველ ყოვლისა, მის ეპოქაზე უნდა ვფიქრობდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევინარჩუნებთ მუდმივ კავშირს კლასიკურ მემკვიდრეობასთან.

„ელიტარული კლუბის" წევრები მეტად დაინტერესდნენ აღნიშნული პრობლემით და კამათმა დიდხანს გასტანა. ეს ბუნებრივიც ჩანდა, რადგან სწორედ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებზეა დიდწილად დამოკიდებული, როგორ მიმართებას დაამყარებს ჩვენი მომავალი ჩვენსავე წარსულთან.

არადა, პრობლემას რომ კარგა ხნის ისტორია აქვს, ამის დასტურად მკითხველს მოვაგონებ ნაწყვეტს თავად ბატონ ვახტანგ როდონაიას ერთ-ერთი ძველი წერილიდან: „წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი შემოქმედებითი ათვისება, თანამედროვე წაკითხვა, თავისთავად ურიგო საქმე როდია, მაგრამ ცხადია, ამ დროს დიდი სიფრთხილეც გვმართებს. საუკუნეების მანძილზე ერის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეული ნაწარმოები მისი არსის გაუთვალისწინებლად შეიძლება ისე გადასხვაფერდეს, რომ ძნელად საცნობიც გაგვიხდეს" („კრიტიკა", 1984, № 4). ერთი წლით ადრე, ვიდრე ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, ამავე პრობლემას მიეძღვნა შესანიშნავი ქართველი მწერლის, ბატონი ომარ ჩხეიძის გახმაურებული წერილი „ღვინია გადაიჩეხა ანუ მითოსი და მითოსური მოდელები ლიტერატურაში". ჩვენს მკითხველს, ალბათ, ახსოვს ეს წერილი, რომელშიც შეუდარებლად არის პაროდირებული თანამედროვე ლიტერატურული ტენდენცია, რომ ყოველგვარი მხატვრული ნააზრევი. XIX საუკუნის რეალისტური პროზის ნიმუშებიც კი. XX საუკუნის მოდერნულ-მითოლოგიზირებული სალიტერატურო მიმდინარეობის მხატვრული პრინციპებით შეფასდეს. „უმართებულოა, სადაც რო ხარი ამოვიკითხოთ, უთუოდ მაშინვე შევაწუხოთ შუმერთა ლანდები, გადმოვაბრუნოთ მეცნიერული ნაშრომები თუ ენციკლოპედიური ცნობარები და ერთხელ კიდევ ვამტკიცოთ, რო ხარი ხარია და შუმერულადაც ხარი ერქვა-ხარსა". მთლიანად ეს წერილი ზედმიწევნით ეხმაურება და თანხვდება ბატონი ვახტანგ როდონაიას თვალსაზრისს, კერძოდ კი, აი, რას წერს ბატონი ომარ ჩხეიძე: „მეცდარია და ცოდვაა, მაგალითად, შუშანიკის ამბავი რო მოვინდომოთ ...ვერ ...ის ... თუ ...ეს ... ...მოვუყენოთ ... ... ...ტიკურ დრამასა, კლასიცისტურ ტრაგედიასა, შექსპირსა თუ სერვანტესსა, შუასაუკუნეების დრამასა, ანტიკურ ტრაგედიასა, მცდარია ისევე და ცოდვაა ისეთივე, მეტი რო არაფერი ითქვას. ყოველი ლიტერატურული მოვლენა თავისი ეპოქის შედეგია, რალა თქმა უნდა, მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეურ-მხატვრული საფუძვლები გააჩნია და ყველა ისე უნდა აიხსნას, იმგვარად უნდა აიხსნას, იმის მიხედვითა, იმა საფუძვლების, იმა პრინციპებისა თუ იმა კატეგორიების მიხედვითა".

ეს ყველაფერი, ცხადია, უდავოა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავისთავად ფსიქოანალიზი, სტრუქტურული ანალიზი, სემიოტიკა — კაცობრიობის დიდი მონაპოვარია. მათაც ისეთივე ფაქიზი მოპყრობა სჭირდება, როგორც, ვთქვათ, ლიტერატურულ ტრადიციას. „ილიადა" რომ გენიალური ქმნილებაა, ეს საეჭვოდ არც ერთი ეპოქის მკითხველს არ გაუხდია, მაგრამ მხოლოდ თანამედროვე სტრუქტურული ანალიზის მეთოდმა დაადასტურა, რომ იგი ერთი ავტორის შექმნილია და არა პოეტ შემსრულებელთა თაობების. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი შეასრულა სტრუქტურალიზმმა ჯადოსნური ზღაპრის თუ მითის არსის წარმოჩენაში. ან რა შეუცვლელი წარმატებით სარგებლობს ფსიქოანალიზი მედიცინაში. ასე რომ, კვლევის თანამედროვე მეთოდების უადგილო და ხელოვნური გამოყენება თვით ამ უკანასკნელთაც არანაკლებ ვნებს, ვიდრე ზემოთ აღწერილ შემთხვევებში — ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობას.

და კიდევ რამდენიმე სიტყვა „თანამედროვე წაკითხვის" შესახებ: თავად ბატონმა ვახტანგ როდონაიამ ბრძანა, რომ გოგოლის „მკვდარი სულების" საუკეთესო ილუსტრაციები, საოცარია, მაგრამ — მარკ შაგალს ეკუთვნის, — ესოდენ განსხვავებული მხატვრული ორიენტაციის მქონე შემოქმედს.

უეჭველად არსებობს წინაპართა ნააზრევის თანამედროვე წაკითხვის წარმატებული შემთხვევებიც, რომლებიც თუნდაც იმიტომ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად, რომ ყოველ ჩვენთაგანს საკუთარ თავზე ახალი კუთხით დააფიქრებს.

შარლ პეროს ზღაპარზე — „წითელქუდა" მისი შექმნის დღიდან უამრავი თაობა გაიზარდა. ყველა დედა ერთნაირად უამბობს მას საკუთარ შვილს: როგორ მოატყუა პატარა გოგონა ბოროტმა მგელმა და სიკეთემ როგორ აჯობა ბოროტებას. არადა, ღირებულებათა მკაცრი გადაფასებით ცნობილ XX საუკუნეში ერთ-ერთმა უდიდესმა ფსიქოლოგმა, ამერიკელმა ერიკ ბერნმა ეს ზღაპარი სწორედ რომ „პირიქით" წაიკითხა. მან მიიჩნია, რომ ადამიანები ისევე, როგორც ზღაპრის გმირები, წინასწარ გამზადებული სცენარით ცხოვრობენ. წითელქუდაც სცენარია და გოგონები, რომლებსაც ამ სცენარით ზრდიან, ბოლოს შეიძლება მგლებად იქცნენ. და აი, რატომ: წითელქუდას დედა, ცხადია, ძალიან ახალგაზრდა ქალია. თუ ის შვილზე უფრო ზრუნავს, ვიდრე საკუთარ თავზე, რატომ აგზავნის პატარა ბავშვს ტყეში, თან აბარებს, მგელი რომ შეგხვდება, ხმა არ გასცეო? თავად მგელი გულუბრყვილოა. იმის მაგივრად, რომ კურდღლებით და ციყვებით გამოიკვებოს თავი, ადამიანის შეჭმას განიზრახავს. ავიწყდება, რომ ამას არავინ შეარჩენს! თუ წითელქუდას დედა ახალგაზრდაა, ცხადია, არც ბებო იქნება ძალიან მოხუცი. იგი კი, იმის მაგივრად, რომ შვილის და შვილიშვილის გვერდით დატკბეს ცხოვრებით, რატომღაც, ტყეში ცხოვრობს მარტო. მის სახლში, ალბათ, ხანდახან მაინც ისვენებს რომელიმე გზააბნეული ტყისმცველი ან მონადირე. თავად წითელქუდაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს: არათუ დედის დარიგება დაივიწყა, არამედ სწორედ მან აცდუნა, დაღუპა მიამიტი მგელი, რომელიც „უნებლიედ" შეიპატიჟა საკუთარ ბებიასთან და მონადირეთა მსხვერპლად აქცია. ასე რომ, ბერნისეული „ანტისცენარით" მოძალადე სწორედ წითელქუდა გამოდის, ხოლო მსხვერპლი — უზაკველი მგელი.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ზღაპრის ამგვარი „წაკითხვა" უეჭველად შეიძლებოდა, მიგვეჩნია სამყაროსადმი და კულტურული მემკვიდრეობისადმი ულტრავულგარული და ნიჰილისტური დამოკიდებულების ნიმუშად, იგი რომ ადამიანის საიდუმლოს ღრმად მცოდნე კაცს — თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ფსიქოთერაპევტს — ჭეშმარიტების რომელიღაც ასპექტისკენ არ უხსნიდეს გზას.

ისღა რა მოგახსენოთ, მე კი ბევრი ვერაფრით გამაკვირვა ერიკ ბერნმა, რადგან საკუთარი მესამეკლასელი მოსწავლე გოგონას საკლასო ნამუშევარში ამგვარი რამ მაქვს ამოკითხული: „რა დაუშავა რძალს ნაცარქექიამ?! იჯდა თავისთვის წყნარად და ნაცარს ქექავდა. ნამდვილად იმიტომ გააგდო, რომ საყვარელს ელოდებოდა!"

არადა, ხომ უეჭველია, რომ ეს ბავშვი — თანამედროვე წიაღის ღვიძლი პირმშო — „წითელქუდას" სწორედ ტრადიციულ „წაკითხვაზეა" გაზრდილი!

საშველი, ალბათ, იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ფიზიკური კლიმატის მსგავსად, რომელიც ამა თუ იმ ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს, მორალური კლიმატით განვაპირობოთ მომავალი თაობების დამოკიდებულება მარადიული ღირებულებების მიმართ.

იქნებ, ღირდეს, გადავარჩინოთ წითელქუდა...

ია ახმაძე

## სხვადასხვა

### რა იწვევდა გამყინვარებას?

სერბი მათემატიკოსის მილანკოვიჩის მიერ 1920 წ. შექმნილი თეორიით შზის გარშემო დედამიწის მოძრაობის ტრაექტორიის ცვლა განაპირობებდა გამყინვარების პერიოდებს, რომლებიც ფრქმოდა 100 ათას წელიწადში ერთხელ. ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა რიჩარდ მილერმა და გორდონ მაკდონალდმა შექმნეს ახალი თეორია. ისინი თვლიან, რომ დედამიწის მოძრაობის ტრაექტორიის შეცვლა არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოეწვია სერიოზული კლიმატური კატაკლიზმები. მათი აზრით, დედამიწაზე კლიმატის ცვალებადობას განაპირობებს დედამიწის ორბიტის სიბრტყის დახრის ცვლილება. ყოველთვის, როცა ის ახრება მზის სისტემის შიგნით, ჩვენი პლანეტა ექცევა კოსმოსური მტვრის ღრუბლებში. სწორედ ეს მტვერი უშლის ხელს დედამიწაზე მზის სხივების შეღწევასა და იწვევს გამყინვარებას.

### ავსტრიული ობობები იაპონიაში

ოსაკაში (იაპონია) მოულოდნელად გამოჩნდა წითელზურგიანი შხამიანი ობობები, რომლებიც ჩვეულებრივ ბინადრობენ ავსტრალიის სუბტროპიკებში. ობობების შემოსევამ ნამდვილი პანიკა გამოიწვია, რადგანაც მათი ნაკბენი სასიკვდილოა. კანბერადან ოსაკაში სასწრაფოდ გადაგზავნეს შხამსაწინააღმდეგო პრეპარატები, ხოლო ავსტრალიის მთავრობამ კატეგორიული განცხადება გააკეთა, რომ ეს ქვეყანა არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს ობობათა ინტერვენციაზე.

### ფინეთში ებრძვიან კონტრაბანდას

წლეულს ფინელმა მებაჟეებმა 200 ათასი ლიტრი სპირტიანი სასმელის კონფისკაცია მოახდინეს. მაგრამ როგორც ამბობენ, ეს ზღვაში წვეთია. ხელისუფლების [illegible] მოცულობა არყისა, რომელიც [illegible] შეაქვთ ქვეყანაში და აზარალებს ხაზინას, ორ მილიონ ლიტრს აღემატება. კონტრაბანდის მთავარი წყაროა რუსეთ-ფინეთის საზღვარი. კონტრაბანდასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად შინაგან საქმეთა სამინისტროს ასეთი ღონისძიება მიაჩნია: საერთოდ აუკრძალონ ლვინისა და არაყის შეტანა ფინეთში იმ პირებს, რომლებიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან არიან და ქვეყანაში სამ დღეზე ნაკლებს გაჩერდებიან.

### ჩინეთში ლუდი უყვარებიათ

ჩინეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა ლუდის გამოხდაში. 800 ლუდის ქარხანა წლიურად 1500-ზე მეტი სახეობის 14 მილიონ ტონა ლუდს აწარმოებს. ამ მხრივ კი მსოფლიოში პირველ ადგილზეა აშშ.

### ირანული ხალიჩები

ირანული ხალიჩები განთქმული იყო ძველად და მათზე ახლაც დიდი მოთხოვნაა. მეხალიჩეობა ბევრ ირანელს აძლევს სამუშაოს. ამ სფეროში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 20 პროცენტი. გასულ წელს ხალიჩების ექსპორტით ირანმა 1,6 მილიარდი დოლარის მოგება ნახა.

### ოქროს მოპოვება რუსეთში

რუსეთში ოქროს მოპოვება თანდათან მცირდება. 1993 წ. აქ მოიპოვებდნენ 142,6 ტ-ს, 1994 წ. — 131,9 ტ-ს. წლეულს ეს მაჩვენებელი 122 ტონა ოქროს შეადგენს.

### გემთმშენებლობა იაპონიაში

იაპონიის გემთმშენებელთა ასოციაციის მონაცემებით, იაპონია 1994-1995 წლებში მსოფლიოს გემთმშენებლობის ლიდერად რჩება. წლეულს შეკვეთილი ტონაჟი 9,15 მილიონი მეტრული ტონაა. იაპონიამ მხოლოდ 1993 წ. დაუთმო პირველობა კორეას. მანამდე კი, 30 წლის მანძილზე, ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია.

# ევროპის ხვალინდელი მეფეები

ბრიტანეთი კვლავ გასაჭირში ჩავარდნილი პიზეზი ტახტის მემკვიდრეა. რა თქმა უნდა, მემკვიდრე ყველა შემთხვევაში ჩარლზი იქნება. მაგრამ არის კი 45 წლის პრინცი ქვეყნის ჭეშმარიტად ღირსეული მომავალი მმართველი, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებში სწორად ერკვევა? ტახტის მემკვიდრეს უკვე სოლიდური ასაკი აქვს, ხოლო მის ოჯახურ ცხოვ-



ბრიტანეთი

რებასთან დაკავშირებულ სკანდალებზე მითქმა-მოთქმას ბოლო არ უჩანს.

ისე არ იფიქროთ, თითქოს მონარქები პენსიაზე გადიან ხოლმე. მაგრამ დედოფალი, შეიძლება, მალე დაუბრუნდეს საცხოვრებლად თავის შოტლანდიურ სასახლეს. თუმცა, მიუხედავად თავისი 69 წლის ასაკისა, უამრავი საზრუნავის, მღელვარე და დატვირთული ცხოვრების წესისა, დედოფალი ჯანმრთელობას არ უჩივის. ასე რომ, ჩარლზს ჯერ კიდევ მოუწევს ლოდინი და იცდის კიდევ. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ემზადება გვირგვინის მისაღებად. თავის ვაჟებისგან განსხვავებით — 13 წლის უილიამი და 11 წლის ჰენრი — მას უფლებას არ აძლევდნენ ადრეულ ასაკში გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა ბუკინგემის სასახლეში. მუდამ ჩასაფრებული დედოფალი, დედობრივი მზრუნველობით არიდებდა თავის ვაჟს სახელმწიფოებრივ მოვალეობებს.

ვაანა ხომ ტრადიციის ყველა ჩარჩოს გასცდა. განა სასიამოვნოა, ყველა ჟურნალის და ყველა გაზეთის ფურცელზე შენს ცოლს ხედავდე? თანაც უკვე ყველამ იცის, რომ ლედი დაიანას დიდი ხანია ცალკე პირადი ცხოვრება აქვს. მის საქციელთან აბა რა მოსატანია ტახტის მემკვიდრის სასიყვარულო თავგადასავალი კამილა პარკერ ბოულესთან?

მართალია, ალტაცებას იწვევს ჩარლზის აკვარელით შესრულებული ნამუშევრები, და უნდა ითქვას, რომ პრინცი ხელოვნების მოშენებაშიც კარგად ერკვევა, მაგრამ ვითომ საკმარისია ეს ყველაფერი სადავეების ხელში ჩასაგდებად?

მისი ხალხის აზრით, ტახტის მემკვიდრე წვენების მალაზიას უფრო უკეთ გაუძღვება, ვიდრე ბრიტანეთის ტახტის მართვას. აი, უილიამი კი მისი 13 წლის ვაჟი სულ სხვაა! ვილი, რომელმაც ახლახან იტონის ელიტარულ ინტერნატში გააგრძელა სწავლა, ინგლისელების დიდი იმედია. ახლახან ინგლისში ჩატარებული გამოკითხვისას, არც ერთ ინგლისელს ტახტის მემკვიდრედ ჩარლზი არ დაუსახელებია. დედოფლის ღირსეულ მემკვიდრედ ყველა პატარა უილიამს მიიჩნევს. თუმცა, ამ თემაზე მხოლოდ საზოგადოება ბჭობს, სამეფო ოჯახში საკითხს ჭერჭერობით, სადისკუსიოდ არ ხდიან. სამეფო ოჯახმა იცის, რომ გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოს ყველაფერი, რასაც მათ შესახებ ლაპარაკობენ. კონსტიტუციური მონარქიის შემდგომი არსებობაც კანონის დაცვით გაგრძელდება და არჩევანიც კანონიერი უფლებების გათვალისწინებით გაკეთდება.

ევროპის დანარჩენ ექვს მონარქიაში საქმე სხვაგვარადაა. ესპანეთში მსგავსი კითხვაც კი არ დასმულა, თუ ვინ უნდა გახდეს ტახტის მემკვიდრე. მეფე ხუან კარლოსი იბერიის ნახევარკუნძულზე დემოკრატიის მომტანად ითვლება, მის ვაჟს პრინც ფელიპეს კი ყველა მის თვალსაჩინო მემკვიდრედ მიიჩნევს. 27 წლის პრინცს ბევრი რამეც უნახავს, სამართალმცოდნეობაც, ეკონომიკაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და მონარქისტულ იდეებშიც შესანიშნავად ერკვევა. ფელიპე მოდერნისტული მონარქიის თანამედროვე ტიპია. იგი ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსშია, მუდამ კარგად ერკვევა სიტუაციაში და თავის კანონიერ უფლებებსაც გონივრულად იყენებს. პრინცს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს პოლიტიკურ პარტიებს შორის და მისი ყოველი ჩარევაც ნებისმიერ საკითხში მუდამ კომპეტენტურია ხოლმე. ესპანელები ენდოპიან ფელიპე გონზალესს. ლაპარაკიც კი არ არის ესპანეთის სხვაგვარ სოციალურ მოწყობაზე. ბურბონების შთამომავლმა იმდენად გაამყარა ტახტზე თავისი პოზიციები, რომ თუკი ადრე ხალხი, სალვადორ დალის მიერ შესრულებულ მეფე ხუან კარლოსის პორტრეტზე, რომელიც ცარცუელა-პალასში ჰკიდია, ამბობდა: „აი, ოცნების პრინცი!“ დღეს ეს საპატიო ტიტული მამისგან ღირსეულ ვაჟს გადაეცა.

სკანდინავიაში მონარქები ნაკლებად ტრადიციონალისტები არიან, ვიდრე მათი ინგლისელი და



ესპანეთი

ესპანელი კოლეგები. შვედეთის მეფე კარლ გუსტავი და მისი ბიურგერული წარმოშობის მეუღლე — დედოფალი სილვია ჩინებული საზოგადო მოღვაწეები და თავიანთ სოციალურ მდგომარეობას შეგუებული ხალხია. ტახტის მემკვიდრედ მათი პირველშობილი გოგონა 18 წლის ვიქტორია ითვლება. შვედებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, პრინცესა ვიქტორია ბერნადოტეს დინასტიის წარმომადგენელია, და მეორე მხრივ, სამაგალითოდ საკუთარი დედა გამოადგება, რომლისთვისაც ხალხის პრობლემები უცხო არ არის და იმაზეც ზუსტი წარმოდგენა აქვს, რომ კარაქის ფასი 25 შვედური კრონაა.



შვედეთი

შვედი მონარქებიც, თავის მხრივ, ძალას არ იშურებენ, რომ მომავალმა დედოფალმა სათანადო განათლება მიიღოს, რათა შემდეგ მამამისივით ემსახუროს ხალხს

ნორვეგიასა და დანიაშიც საათივითაა საქმე აწყობილი. ტახტის მემკვიდრეთა — ოსლოელი ჰაკონ მაგნუსის და კოპენჰაგენელი ფრედერიკის შესახებ, ბევრ



ნორვეგია

მითქმა-მოთქმას ვერ გაიგონებთ. არავითარი სკანდალი, იშვიათი სასიყვარულო თავგადასავლები (ისიც მხოლოდ მერთა ლუიზას, ნორვეგიის მომავალი მონარქის უფროსი დის თავგადასავლის შესახებ დაიწერა რამდენჯერმე ჟურნალ-გაზეთებში).

დანიის დედოფალი — მარგრეტ II — მწერალი, მხატვარი, თეატრის რეჟისორი და ეკონომისტი ქალი მეფეთა შორის ყველაზე წელგამართულია და თავისი შვილებიც ინგლისში, საფრანგეთში და ამერიკაში გაგზავნა ჰორიზონტის გასაფართოებლად.

ნორვეგიელი პრინციც, დანიელი პრინცის მსგავსად, ღირსეულად დგას თავისი სამეფო ოჯახის გვერდით. „მეფე ყოველი ნორვეგიელისთვის“ — ასეთია



დანია

მათი დევიზი. ნორვეგიის პრინცი ყველა დანარჩენ მონარქზე მეტადაა გათვითცნობიერებული პოლიტიკურ მოვლენებში. იგი სისტემატურად, ყოველ პარასკევ დღეს ესწრება სხდომას, რომელზეც პოლიტიკური პრობლემები განიხილება და აქტიურ მონაწილეობას იღებს საკითხების გადაჭრაში.

ბელგიის მომავალ მეფეს, 35 წლის ფილიპეს ლეიკენის სასახლეში ბიურო აქვს გახსნილი. იგი პრაქტიკულად იყენებს თავის პოლიტიკურ განათლებას, ცოდნას და მხარში უდგას მამას — მეფე ალბერტს, რომელმაც 1993 წლის აგვისტოში, ბედუინის სიკვდილის შემდეგ იგი გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ. პრინცი ფი-



ბელგია

ლიპე ბელგიის პარლამენტარული მონარქიის ყველა გამოცდისთვის მზადაა და ბელგიელებიც ერთსულოვნად უჭერენ მას მხარს.

ნიდერლანდელი დედოფლის ბეატრიქსის და გერმანელი პრინცის კლაუსის უფროსი, 26 წლის ვაჟი უილემ ალექსანდერი კი მოვა დრო და ერთი ძლიერი ქალის ადგილს დაიკავებს. დედოფალი ბეატრიქსი ხომ უზადოდ ერკვევა პოლიტიკაში. იგი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების კომპეტენტურ მრჩევლად მიიჩნევა. ამავე დროს, სწორედ მისი ჯანსაღი კაცთმოყვარეობის შედეგია ჰოლანდიაში



ნიდერლანდები

დემოკრატიის ამგვარი აღზევება. უილემ ალექსანდერს ნამდვილად მოუწევს მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ათვისება და შეხედულებების გაზიარება.

დღეს ევროპის მონარქიები დემოკრატიულ ქვეყნებადაა გარდაქმნილი. ახლა ყველა საკითხის კონტური მკაფიოდაა მოხაზული, საზოგადოება ყველა გადადგმულ ნაბიჯს ფხიზლად ხვდება. ვინც მკაცრ მოთხოვნებს გადაუხვევს (ჩარლზის მაგალითიც კმარა), შეგუებული უნდა იყოს, რომ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებენ. ტახტის მემკვიდრის ყველა საქციელი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე, წინდახედული უნდა იყოს, ხვალინდელი შვიდეული სისტემატურად უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, რათა შემდეგ თითოეული მათგანი ღირსეულად წარსდგეს თავისი ხალხის წინაშე.

### ესპანელი დონ ფელიპე ხუან პაბლო ალფონსო დე ტოდოს ლოს სანტოს ბურბონი, ასტურიის პრი[ნცი]

დაიბადა — 1968 წლის [...] ვარს, მადრიდში

დინასტია — ბურბონი

მშობლები — საბერძ[ნეთის] [...] ნცესა სოფია და ესპანეთის მეფე [...] კარლოსი

დები და ძმები — ელენა [...] ქრისტინა (1965)

ჰობი — თხილამურებ[ი] [...]

განათლება — დაამთავრა [...] რიდის კათოლიკური გიმნაზია [...] ლეჯიო ნუესტრა სენიორა [...] ლეს“, ერთი წელი სწავლობდა [...] დაში ლეიკფილდის კოლეჯში [...] წელს იქვე იმყოფებოდა, [...] აბიტურიენტი. 1985 წლის შემდეგ [...] ზე შევიდა ესპანეთის სარაგოსის [...] დგვაროვანთა სამხედრო აკადემიაში [...] მიიღო ოფიცრის წოდება. 1988 [...] შემოდგომაზე დაიწყო სამართლის და ეკონომიკის შესწავლა მადრიდის [...] უნივერსიტეტში, სწავლა დაამთავრა 1993 წელს. 1995 წელს ვაშინგტონში [...] საერთაშორისო პოლიტიკის [...] ბის დასრულების შემდეგ მიიღო მაგი[...] სტრის წოდება.

მოვალეობანი — ზრუნავს [...] ალურ პრობლემებზე და [...] ახალგაზრდობაზე

წილი — 150 000 გერმანული [მარ]კა წელიწადში.

საგვარეულო კუთვნილება — დიდი არაფერი, ყველა სასახლე [სახე]ლმწიფოს ეკუთვნის



## მონარქები

### ბრიტანელი ჩარლზ ფილიპ არტურ ჯორჯი, უელსის პრინცი



დაიბადა — 1948 წლის 14 ნოემბერს, […]ლონდონში

დინასტია — უინძორი

მშობლები — ინგლისის დედოფალი […]ზაბეტ II და ედინბურგის ჰერცოგი ფი[…]

[…]დები და ძმები — ენნი (1950), ენდრიუ (1960), ედვარდი (1964)

შვილები — უილიამი (1982), ჰენრი (1984)

ჰობი — პოლო, […]ქიტექტურა, ხატვა აკვარელით, თხილამურ[…], მუსიკა, ანკესით თევზაობა

განათლება — დამ[…]რულა ჩეამის ინტერნატი, გორდონსტოუნის კერძო სკოლა შოტლანდიაში, დაამთავრა ავსტრალიაში ისტორიის სასწავლებელი ტრინიტი კოლეჯი, მელბურნში სწავლობდა GEELONG CHURCH OF ENGLAND GRAMMAR-ის სკოლაში. 1970 წელს დაამთავრა სწავლა კემბრიჯში და მიიღო ბაკალავრის წოდება. სამხედრო განათლებას რაც შეეხება, ჩარლზი საბრძოლო თვითმფრინავების პილოტობასაა დაუფლებული.

მოვალეობანი — ცერემონიალური და საოქმო ფუნქციები, გარემოზე ზრუნვა და ახალგაზრდული პროექტების შედგენა.

წილი — არავითარი, ცხოვრობს თავისი კორნუოლის საჰერცოგოს შემოსავლით, რაც წელიწადში 1,4 მილიონ ფუნტს იძლევა ნატურით.

საგვარეულო კუთვნილება — 12 მილიარდი მარკა, სურათებისა და ძვირფასეულობის კოლექცია, სასახლეები და მამულები.

### ბელგიელი ფილიპე ბრაბანტელი

დაიბადა — 1960 წლის 15 აპ[…] ბრიუსელში

დინასტია — საქსენ-სობურგი

მშობლები — ბელგიის მეფე ალ[…] და კალაბრიის პრინცესა პაოლა […]

[…]ები და ძმები — ასტრიდი (1962), […]ენტი (1963)

[ჰ]ობი — ცხენოსნობა, ჩოგბურთი, […] თხილამურები, ყვინთვა

განათლება — ბრიუსელის სანქ[…]ის კოლეჯი, ბენედიქტინერმიონ[…]ერნატი, ბრიუსელშივე მიიღო […]რო განათლება, ბრიუსელის სა[…] სამხედრო აკადემიაში გამანდ[…]ლი მფრინავისა და პარაშუტის[…] კალობით. მისი უდიდებულე[…] საზღვაო ფლოტის კაპიტანია. შე[…]ოლიტმცოდნეობას ეუფლებო[…]ენფორდის უნივერსიტეტში […]სტორია კი პარიზში, სორბონში, […]ვლა.

[მ]ოვალეობები — ბრიუსელის სა[…]ში აქვს ბიურო, სადაც მუშაობს […]ობაში განსახილველ საკითხებზე.

[წ]ილი — 650 000 მარკა წელიწა[…]

[სა]გვარეულო კუთვნილება — […]ის სასახლე, სამეფო პალასი […]ელში, უძრავი ქონება და ფასი[…]ლდები და აქციები



### შვედეთის პრინცესა ვიქტორია ინგრიდ ალისე დეზირე



დაიბადა — 1977 წლის 14 ივლისს, სტოკჰოლმში

დინასტია — ბერნადოტე

მშობლები — შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი, დედოფალი სილვია, დაბადებული ზომერლაითში

დები და ძმები — კარლ ფილიპი (1979), მადელაინი (1982)

ჰობი — ცხენოსნობა, მხატვრობა, მოდა, გარემოს დაცვა

განათლება — დაამთავრა კარლსონის გიმნაზია სტოკჰოლმში; ამჟერად აბიტურიენტია; სურს სახელმწიფო სამართლის შესწავლა, სურვილი აქვს, ისწავლოს სამხედრო სასწავლებელში.

მოვალეობანი — მას შემდე[გ] რაც 18 წლის გახდა, ოფიციალურად უდგას მხარში მეფეს. არის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წევრი შვედეთში.

წილი — არავითარი, მამისგან იღებს ჯიბის ფულს.

საგვარეულო სიმდიდრე — 35 მილიონი მარკა, სასახლეები სოლიდენში, იოლანდში და სტენჰამერში. სამეფო რეზიდენცია დროტნინგჰოლმში მდებარეობს.

### დანიელი ფრედერიკ ანდრე ჰენრიკ ქრისტიანი, დანიის პრინცი



დაიბადა — 1968 წლის 26 მაისს, კოპენჰაგენში

დინასტია — შლესვიგ-ჰოლშტაინ-ზონდერბურგ-გლიუკსბურგი

მშობლები — დანიის დედოფალი მარგრეტ II და მონპეზატის პრინცი ჰენრიკი

დები და ძმები — იოაჰიმი (1969)

ჰობი — ცხენით ჯირითი, ცურვა, მარათონი

განათლება — კოპენჰაგენის სახალხო სკოლა, დაამთავრა „ეკოლ დე როშეს" ინტერნატი ნორმანდიასა და საფრანგეთში, სწავლა გააგრძელა კოპენჰაგენის ორეგაარდის გიმნაზიაში, ხანმოკლე აბიტურიენტობის შემდეგ დაიწყო იურისპრუდენციის, პოლიტიკის და ეკონომიკის შესწავლა სამეფო სასწავლებელში, მიღებული აქვს სამხედრო განათლება

მოვალეობანი — მხარში უდგას დედას ოფიციალური საკითხების წარდგენაში

წილი — 900 000 მარკა წელიწადში.

საგვარეულო კუთვნილება — 10 მილიონი მარკა, გრაასტენის და მარსელისბურგის სასახლეები

### ნიდერლანდელი ვილიამ ალექსანდერ კლაუს გეორგ ფერდინანდი ორანიენ-ნასაუს პრინცი



დაიბადა — 1967 წლის 27 აპრილს, უტრეხტში. დინასტია — ორანიენ-ნასაუ

მშობლები — ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი და პრინცი კლაუს ამსბერგელი

დები და ძმები — ჯოან ფრიზო (1968) და კონსტანტინი (1969)

ჰობი — ფეხბურთი, ფრენა, ყვინთვა, თხილამურები

განათლება — ჰააგის გიმნაზია, ვალეს კოლეჯი, 1985 წელს იყო აბიტურიენტი, შემდეგ გაიარა სამხედრო სამსახური და გახდა საზღვაო ფლოტის ლეიტენანტი, 1987 წლიდან სწავლობს ლაიდენის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე.

მოვალეობანი — დედის ოფიციალური თანხლება. წილი — 550 000 მარკა წელიწადში

საგვარეულო ქონება — 1,4 მილიარდი მარკა, ხელოვნების ნიმუშები, სასახლეები, ინდუსტრიული კუთვნილებები.

### ნორვეგიელი ჰააკონ მაგნუსი ნორვეგიის პრინცი

დაიბადა — 1973 წლის 20 ივლისს, ოსლოში

დინასტია — შლესვიგ-ჰოლშტეინ-ზონდენბურგ-გლიუკსბურგი

მშობლები — ნორვეგიის მეფე ჰარალდ V და დედოფალი სონია

დები და ძმები — პრინცესა მერთა ლუიზი (1971)

ჰობი — თხილამურები, ცურვა, თეატრი

განათლება — ოსლოში დაამთავრა საზოგადოებრივი დაწყებითი სკოლა, მოგვიანებით გიმნაზია. მიღებული აქვს საზღვაო ფლოტის ოფიცრის განათლება, არის ერთ-ერთი ტორპედონავის კომენდანტი. გეგმები: აშშ-ში სახელმწიფოთმცოდნეობის შესწავლა.

მოვალეობანი — არავითარი ოფიციალური მოვალეობა არ გააჩნია, ზრუნავს ნორვეგიული ლიტერატურისა და სათეატრო პროექტების აღორძინებაზე.

წილი — 850 000 მარკა წელიწადში

საგვარეულო კუთვნილება — არ გაგვიმხილეს, თუმცა, მათ კუთვნილებაშია უძრავი ქონება მამულების, ძვირფასი ნივთების, ხელოვნების ნიმუშების სახით.



მოამზადა **ნათია ფანჯიკიძემ**

## სხვადასხვა

### ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არა ვართ

ეს ფრთოსანი გამოთქმა ნამდვილად არ გავრცელდება ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელსაც ივნისიდან ნოემბრამდე 11 ქარიშხალი და 8 ტროპიკული შტორმი დაატყდა თავს. მსგავსი რამ ბოლო 62 წლის მანძილზე არ მომხდარა — დაიღუპა 152 ადამიანი და ეკონომიკამ 7,7 მილიარდი დოლარის ზარალი ნახა. განსაკუთრებით დაზარალდა დომინიკა, მცირე ანტილიის კუნძულების ჯგუფიდან, რომელსაც ორკვირიანი ინტერვალით ორი ქარიშხალი „ლუიზა" და „მერილინი" ეწვია.

### აბაზანა იაპონურ ოჯახში

აბაზანას თითქოს ერთი დანიშნულება აქვს, უნდა დაიბანო. მაგრამ იაპონიაში აბაზანით სარგებლობის განსაკუთრებული ეტიკეტი არსებობს. თურმე ჯერ აბაზანის გვერდით პატარა სკამზე ჩამომჯდარმა საპნით უნდა დაიბანო და მხოლოდ ამის შემდეგ, უნდა ჩახვიდე აბაზანაში. აბაზანების უმეტესობა ღრმა და კვადრატული ფორმისაა. როცა აბაზანაში ხარ, წყალი კისრამდე გწვდება, მაგრამ მასში ჩაწოლა არ შეიძლება. აბაზანაში უნდა მოდუნდე, მოეშვა, მაგრამ არ უნდა დაიბანო. ამიტომაც, როცა ოჯახი ბანაობს, წყალს არ ცვლიან ხოლმე.

### ფინელი მედდას ამბავი

ისლამი საუდის არაბეთში განსაზღვრავს ყოველდღიური ცხოვრების ნორმებს. აკრძალულია და ისჯება სპირტიანი სასმელების სმა და მრუშობა. ეს ეხება როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ისე უცხოელებს. მაგრამ ამის შესახებ ჩანს, არ იცოდა ერ-რიადის საავადმყოფოში სამუშაოდ ჩასულმა მომხიბლავმა ფინელმა მედდამ, რომელიც ორჯერ შეცდა. ჯერ იყო და მაშინ დააკავეს, როცა ფინეთის საელჩოდან ღვინის ქილებიანი ყუთით გამოვიდა. მაშინ აუხსნეს, რომ საუდის არაბეთში სმა აკრძალულია და გაუშვეს. შემდეგ მედდას საავადმყოფოს ეზოში, მანქანაში წაასწრეს, როცა თავდავიწყებით ეძლეოდა სიყვარულს საავადმყოფოს ექიმთან. მედდა პოლიციაში მიაბრძანეს და მრუშობისთვის დასაჯეს: ორმა ჯანიანმა პოლიციელმა პირქვე წამოაქცია, ხოლო მესამემ უკანა, შიშველ, რბილ და სათუთ ნაწილზე ოცჯერ მათრახი უთავაზა. ეგზეკუციის შემდეგ, მედდა თვითმფრინავში ჩასვეს და სამშობლოში გაამგზავრეს, სადაც თავის გემოზე შეუძლია იცხოვროს.

### რა ეღირება შაქარი?

თბილისის ბაზრებზე, […] სტრუქტურები შაქარს 50 თეთრზე ნაკლებად არ ყიდიან დოლართან მიმართებაში ეს 40 ცენტზე მეტია და მნიშვნელოვნად აღემატება ამ პროდუქტზე მსოფლიო ფასს. ამ მხრივ ვითარება ახლო მომავალში თითქოსდა სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. მაგრამ არა იმიტომ, რომ შაქრის ქართველ იმპორტიორებს სინდისის ქენჯნა შეაწუხებს. პირველად კაცობრიობის ისტორიაში 1993–1996 წწ. შაქრის წარმოება მსოფლიოში გადააჭარბებს 120 მილიონ ტონას. თუ ამდენ ხანს მსოფლიო ბაზარი შაქრის ნაკლებობას განიცდიდა, ახლა მოხდება მისი გადმეტჭარბება. ეს, შაქრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, მომავალი წლის პირველ კვარტალში გავლენას მოახდენს დაუმუშავებელი და რაფინირებული შაქრის ღირებულებაზე. სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ ფასი დაუმუშავებელი შაქრისა შეადგენს 1 გირვანქა (ც. ი. 409,5 გ) 10 ცენტს, ხოლო რაფინირებულისა არ გადააჭარბებს 14 ცენტს.

ნოსტალგია

ინტერვიუ ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ რინუს მიხელსთან

# გერმანიის მიმართ მტრული დამოკიდებულება არასოდეს მქონია

1974 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან ზუსტად 21 წლის თავზე გერმანიის ქალაქ აახენის სტადიონზე ამხანაგურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ კვლავ დადგნენ მაშინდელი მეტოქეები: გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. ჰოლანდიელებმა ამჯერად შეძლეს რევანშის აღება, მაგრამ საბოლოო შედეგს — 2:1 გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ სულ რამდენიმე საათის წინ აახენსა და მაასტრიხტში დაიდო კრცელი, ყოვლისმომცველი ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების შესახებ და აღნიშნული შეხვედრა სწორედ გერმანია-ჰოლანდიის შერიგების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. და რაც ყველაზე მთავარია, ფეხბურთის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან ბეკენბაუერი, ოვერატი, ფოგტსი, რუმენიგე, ნეესკენსი, რეპი, ჰაანი და სხვ., მათ ძველი დრო გაიხსენეს და კიდევ ერთხელ მოხიბლეს მაყურებელი თავიანთი ოსტატობით.

აღნიშნული ინტერვიუც მაშინ ჩამოართვა ჟურნალმა „კიკერმა“ ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს რინუს მიხელსს.



კიკერი: ბატონო მიხელს, მცირერიცხოვან ჰოლანდიელ მწვრთნელთაგან ერთ-ერთი თქვენც ბრძანდებით, რომელსაც ბუნდესლიგაში მწვრთნელობამაც მოგიწიათ. რამდენად გრძნობდით გერმანია-ჰოლანდიის პრობლემების სიმწვავეს და რა ფორმით ინდენდა თავს კიოლნსა და ლევერკუზენში თქვენს მიმართ განწყობილი დამოკიდებულება?



რინი, მიხელსი

რინუს მიხელსი: შესაძლოა, ამგვარი დამოკიდებულება ზოგადად, მართლაც, არსებობდა, მაგრამ, აშკარად კლუბელებს მიღმა არც ერთ კლუბში მუშაობის დროს მე იგი არ მიგრძვნია. და თუ ვინმე მლანძღავდა ან ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდა ეს ჰეხებოდა მე — როგორც მწვრთნელს და არა როგორც ჰოლანდიელს.

კიკერი: როგორც ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, თქვენ ორჯერ მოგიხდათ გამოსვლა გერმანიის წინააღმდეგ. ერთხელ — 1974 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე და მეორედ — 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე. როგორი გრძნობა გქონდათ ამ დროს?

მიხელსი: გერმანია იქნებოდა ეს, თუ დანია, ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ეს ხომ დიდი მოლოდინის წუთებია, როცა ადამიანს მხოლოდ გამარჯვების წყურვილი გამოძრავებს და როცა მიზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს, ამ დროს მოწინააღმდეგის ვინაობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კიკერი: მაშ რით უნდა აიხსნას ის აგრესიულობა, რომელიც ყოველთვის ახასიათებს სწორედ გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრებების თამაშს?

მიხელსი: გერმანიის მიმართ მტრული დამოკიდებულება არასოდეს არ მქონია, არც 1974 წელს — დამარცხებისა და არც 1988 წელს — გამარჯვების შემდეგ. ცხადია, ამ დროს მართლაც ხდება განმუხტვა, დაძაბულობის მოხსნა, და მაინც, 1988 წელს ჰამბურგში ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ სულაც არ გამივლია გულში — რა კარგია, რომ სწორედ გერმანია დავამარცხე-მეთქი.

კიკერი: როგორც გამოკითხვით გამოირკვა, ჰოლანდიელთა დიდი უმრავლესობა ინდენდება, რომ გერმანიას დაამარცხებს არა მხოლოდ მათი გუნდი, არამედ მათი ..., ... და სხვა ქვეყნების ნაკრებები.

მიხელსი: გერმანელებს ისეთი დიდი წარმატებები აქვთ, რომ მათ მიმართ შური გამორიცხული არაა. ამიტომაა, რომ ჰოლანდიელებს მათი გამარჯვება არ სურთ. ისინი გერმანელთა თვალში ხიჭვსაც კი ხედავენ, მაშინ როცა, საკუთარში დირეც კი ვერ შეუმჩნევიათ.

კიკერი: როგორ ფიქრობთ, რა ეფექტი ექნება ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ხელშეკრულებას?

მიხელსი: მე მიმაჩნია, რომ ზოგი რამ ნამდვილად შეიცვლება. დიდმა მეტოქეობამ ადამიანთა ურთიერთობაზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს. აახენში ერთ გერმანელს ვკითხე გზა ჩემს სასტუმრომდე. იგი არც დაფიქრებულა, ისე შემომთავაზა — ჩემი მანქანით გაგიძღვები და ისე მიგასწავლი გზასო. ამ თავაზიანმა ჟესტმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

კიკერი: უნდა ითქვას, რომ საფეხბურთო სამყაროში თქვენი პიროვნების ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ახლა თქვენ 67 წლისა ბრძანდებით. ხომ ვერ გვეტყოდით, რას საქმიანობთ ამჟამად?

მიხელსი: ვარ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მრჩეველი, უეფას ტექნიკური კომისიის წევრი, რჩევა-დარიგებებით ვეხმარები ამერიკის საფეხბურთო ფედერაციასაც. ჩართული ვარ ჰოლანდიის ახალგაზრდული ფეხბურთის საქმეებში, და ამავე დროს, შოტლანდიის ფედერაციის სურვილით, შეყვანილი ვარ კომისიის შემადგენლობაში, რომელმაც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში იქაური ფეხბურთის სუსტი და ნაკლოვანი მხარეები უნდა გამოავლინოს.



კიკერი: სულ მალე ინგლისში ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. ვინ არის თქვენი ფავორიტი?

მიხელსი: დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ნორვეგიელებმა. მათ ხომ მხოლოდ ხუთი წლის წინ დაიწყეს მიზანმიმართული მზადება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს.

კიკერი: რას მოელით ჰოლანდიელებისგან?

მიხელსი: მათ, ალბათ, გაუჭირდებათ თამაში. ფრანკ რაიკაარდის წასვლის შემდეგ გუნდი, ფაქტობრივად, ლიდერის გარეშე დარჩა. ბერსკამპი და იონკი მართალია, კარგი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ფეხბურთელები არიან, მაგრამ გუნდს ვერ წარუძღვებიან.

კიკერი: რა როლს ანიჭებთ გერმანიის ნაკრებს?

მიხელსი: როგორც ყოველთვის, მონაწილეთა შორის იქნება.

კიკერი: სულ ესაა?

მიხელსი: პროგნოზების გაკეთებისგან თავს ვიკავებ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

მოამზადა
**გოჩა საითიძემ**

ჩოგბურთი

## ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე

ახალი სპორტული სეზონი პროფესიონალი ჩოგბურთელებისთვის ძველი... ახალ წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატით დაიწყო. მწვანე კონტინენტის პატარა ქალაქებში გაიმართა მცირე ზომის საჩვენებელი ტურნირები, რომლებიც მოთელვით ხასიათს ატარებდნენ. მელბურნის კორტებზე მეხუთე დღეა გრძელდება ეს გრანდიოზული შეჯიბრება, რომელშიც შტეფი გრაფის გარდა (მან ესენის საავადმყოფოში ფეხის მეორე ოპერაციაც გაიკეთა) ყველა უძლიერესი პროფესიონალი ჩოგბურთელი გამოდის. ჯერ კიდევ ამ პაექრობათა დაწყებამდე ბუკმეკერები მიიჩნევდნენ, რომ ქალთა პირად ტურნირში ყოფილი იუგოსლაველი მონიკა სელეში, ვაჟთა შორის კი მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, ამერიკელი პიტ სამპრასი გაიმარჯვებენო.

ჯერჯერობით მათი პროგნოზი მართლდება. სენსაცია, ჯერჯერობით, მხოლოდ ბელორუსი ნატაშა ზვერევას ანა მაშნოვასთან (რუსეთი) დამარცხებამ გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, ასეთ გაუთვალისწინებელ მარცხს არავინ მოელოდა. დაუმარცხებლად თამაშობს ამერიკელი მონიკა სელეში. რაც შეეხება რუს ჩოგბურთელებს, მათი რიგები ძალიან შეთხელდა. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას გამოაკლდნენ — ჩესნოკოვი და ვოლკოვი. ასპარეზობას აგრძელებენ: კაფელნიკოვი (რუსეთი), კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), უაინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა), გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), ბორის ბეკერი (გერმანია), თომას მუსტერი (ავსტრია) და მაიკლ ჩანგი (აშშ).

მონიკა სელეშმა კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად, მან 6:1,6:1 დაამარცხა სტუდნიკოვა. 30 წლის შტეფი ედბერგმა 3 საათიანი მატჩი დაუთმო (2:3) მსოფლიოს 151-ე ჩოგანს ფრანგ კურნიესთან.

ფეხბურთი

## ცრუპენტელა ტულიო

„ტულიოს ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრება 90 პროცენტით გადაწყვეტილია, — განუცხადა ჟურნალისტებს ბრაზილიის ცენტრალური თავდამსხმელის მეუღლემ ალექსანდრამ — უბრალოდ, ძნელია უარის თქმა ესოდენ კარგ პირობებზე. მაგრამ დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა მთელ ქვეყანაში. დაფაცურდნენ ბრაზილიელი მეცენატები. ფირმა „კოკა კოლამ“ უძლიერეს თავდამსხმელს, თვეში 90 ათასი დოლარი დაუნიშნა. ტულიო ყველაზე ძვირადღირებული ფორვარდი გახდა. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ათასობით დეპეშა მოუვიდა თხოვნით — არ დაეტოვებინა ქვეყანა. მას დღე და ღამ ურეკავდნენ ტორსედორები (გულშემატკივრები) და იგივე თხოვნით მიმართავდნენ. ფეხბურთელი დათანხმდა და დარჩა „ბოტაფოგოში“. — „თუ ჩემი ქვეყნის ჩემპიონატში ვითამაშებ, უფრო ახლოს ვიქნები მარიო ზაგალოს მიერ შექმნილ ნაკრებთან“. ერთი სიტყვით ფორვარდმა მეორედ გადაიფიქრა.

## რომარიო ატლანტაზე ოცნებობს

იანვრის მიწურულს სტარტს იღებს ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის შესახვედრად კარგა ხანია ემზადებიან მოწინავე კლუბები და მათ შორის რიო დე-ჟანეიროს „ფლამენგო“, რომლის შემადგენლობაშიც პოპულარული ფორვარდი რომარიო თამაშობს (მას 15 იანვარს დაბადების 30 წელი შეუსრულდა). ფეხბურთელმა განაცხადა, რომ იგი სერიოზულად მოემზადება ახალი სეზონისთვის. შარშან მას ხშირი ტრავმები აწუხებდა და სუსტად თამაშობდა.



ყველაფერს მივაღწიე ცხოვრებაში, აღნიშნა რომარიომ, ჩემი ოცნებაა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოვიპოვო. ბრაზილიის ნაკრებში ატლანტის ზაფხულის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე 23 წლამდე ფეხბურთელები გამოვლენ. დებულების თანახმად თითოეულ ნაკრებს შეუძლია 2 ხანდაზმული ფეხბურთელი გამოიყვანოს. თუ მარიო ზაგალო ატლანტაში მათამაშებს, ბრაზილიელები სანუკვარ მიზანს მიაღწევენ, თქვა ცნობილმა თავდამსხმელმა. მთელი ქვეყნის გულშემატკივრების ოცნებაა, რომ ბრაზილიელებმა ერთხელ მაინც მოიგონ ოლიმპიური თამაშები.

ფეხბურთის კალეიდოსკოპი

## სამტრედიელები — „ჟემჩუჟინაში“

რუსეთის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატისთვის ემზადება სოჭის „ჟემჩუჟინას“ ოსტატ ფეხბურთელთა კლუბი, რომელიც ახლა თურქეთის ქალაქ ანტალიაში იმყოფება. სოჭელმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს ქალაქ ანკარის „ანკარაგიუჯუს“ კლუბთან და გაიმარჯვეს ანგარიშით — 1:0. ეს გადამწყვეტი გოლი 71-ე წუთზე დოლბონოსოვმა გაიტანა. სოჭის „ჟემჩუჟინას“ გუნდში თამაშობდა ორი ქართველი ლეგიონერი, სამტრედიელი თავდამსხმელები: დავით ჯანაშია და ზურაბ იონანიძე. ეს უკანასკნელი საქართველოს VII ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირია.

## „შახტიორმა“ თოვლში ითამაშა

უკრაინის ეროვნული ჩემპიონატისთვის ემზადება დონეცკის „შახტიორის“ ოსტატ ფეხბურთელთა კლუბიც, რომელმაც 5 გრადუსიან ყინვაში, თოვლისგან გადანმენდილ სტადიონზე ამხანაგური საკონტროლო შეხვედრა გამართა ქალაქ სლავიანსკში პირველ ლიგაში მოთამაშე „ხიმიკის“ (სევეროდონეცკი) კლუბთან. მატჩი დონბასელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 3:0 დასრულდა. 2 ბურთი სერგეი ონოპკომ გაიტანა, ხოლო ერთიც ამ გუნდში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ჩიხრაძემ, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია.

## მიხეილ ფოცხვერია — „ვერდერში“?

ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ თამაშობს ჩინებული ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია, რომელმაც ერთ საერთაშორისო შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშა და სპეციალური პრიზი — მსუბუქი გერმანული ავტომანქანაც დაიმსახურა. მაგრამ მას ამ გუნდში გული არ დაუდგა. გერმანიის პოპულარულ კლუბს „ვერდერს“ მიაშურა და ადგილობრივი კლუბის მწვრთნელების მოწონება დაიმსახურა. როგორც ეტყობა „ვერდერი“ გააფორმებს კონტრაქტს ქართველ ფეხბურთელთან, თუ მან ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ დირექტორატის თანხმობა მიიღო.

## პელე — „სანტოსს“ გამოეთხოვა

„ფეხბურთის მეფე“ — პელე ... წლების განმავლობაში ბრაზილიის „სანტოსის“ დირექტორის პოსტზე მუშაობდა. მან შეძლო ... ნუმბედან ამოეყვანა თავისი საყვარელი გუნდი „სანტოსი“, რომელმაც შარშან ბრაზილიის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა. ახლახან პელემ



განაცხადა, რომ იგი საბოლოოდ ეთხოვება „სანტოსს“, რადგან ერთმანეთში ვერ ათავსებს მინისტრის პოსტსა და დირექტორობას.

შალვა ნიქარაძე

ევროპის პირველობა ფეხბურთში

# ესპანელების ტრიუმფი

## ევროპის თასი (1962-1964)



უკვე დაკანონებული ტრადიციით ევროპის თასის (შემდგომში-ჩ[...]მპიონატის) შესარჩევი თამაშე[...] მსოფლიო ჩემპიონატის [...]ელს იწყებოდა 1962 წელს [...]სოფლიო ჩემპიონები კვლავ [...]რაზილიელები გახდნენ და ეს [...]მბავი არავის გაჰკვირვებია. [...]ფრო მოულოდნელი იყო ჩეხო[...]ლოვაკიელების ვერცხლის მე[...]ლეობინ მაგრამ ნიშნავდა კი ეს [...]არემოება რომ პლუსკალისა [...]ა მასოპუსტის გუნდი ამიერი[...]ან ევროპის თასის მთავარი [...]ავორიტი იქნებოდა? მიმომხი-



[...]ჩარესი

[...]ების დიდი უმრავლესობა [...] არ მიიჩნევდა. უფრო გავ[...]ებული იყო აზრი რომ [...] გამოკვეთილი ნაკრებინ [...]ისვისაც შეიძლებოდა ნი[...]არი უპირატესობის მინი[...]ბა, საერთოდ არ ჩანდა. შე[...]ძლებლობების გათანაბრების [...] თითქმის გათანაბრე[...]ს]დროს კი დიდი მნიშვნელო[...] მიენიჭებოდ, გნებავთ საკუ[...]არი მოედნის ფაქტორს დან [...]საძლებელია „მის უდიდებუ[...]ესობა იღბალსაც“

უკანასკნელ, ჩილეს მსოფ[...]ო ჩემპიონატში, ისევე, რო[...]რც ადრე ევროპის თასზე, [...]მი ქართველი ფეხბურთელი [...]ნაწილეობდა: გ.ჩოხელი, ს.მე[...]რეველი და მ.მესხი. ახლა [...]ბჭოთა კავშირის ნაკრების [...]ალმა მთავრობამ მწვრთნე[...]მა ბესკოვმა საჭიროდ ჩათვა[...]ა შემადგენლობის გადასინჯ[...], როგორც თავად ბესკოვი [...]რდა, სულ რამდენიმე ხნით [...] იგი მწვრთნელობას არც [...]იქრობდა (ტელევიზიის კო[...]ატორად მუშაობდა),ევრო[...] თასის შესარჩევი თამაშების [...]ებამდე რჩებოდა სულ სამი [...], მაგრამ იგი დაარწმუნეს, [...]მ საბჭოთა სპორტის ხელმ[...]ვანელობამ ევროპის თასს გა[...]ლავდა, როგორც მხოლოდ [...]ფლიოს მორიგი,1966წლის [...]ონატისათვის მოსამზადე[...] ეტაპს, და, ამდენად, გა[...] ვეტ მნიშვნელობას არ

ანიჭებდა. შემდეგ კი, როგორც ვნახავთ, საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა.

თუკი ჩოხელი ავადმყოფობის გამო ნაადრევად გამოეთხოვა ფეხბურთს, ბესკოვის გადაწყვეტილება, ნაკრებში აღარ მიეწვია მესხი, გაუგებარი ჩანდა. ბესკოვის განთავისუფლების შემდეგ გამოჩენილი, ქართველი თავდამსხმელს „უფლებები აღუდგინეს“ მაგრამ ევროპის თასის თამაშებმა მის გარეშე ჩაიარა. ამ შეჯიბრებაში ქართველებიდან თამაშობდნენ მეტრეველი და, მეკარე რამაზ ურუშაძე, რომელსაც მაშინ ძალზე იღბლიანი დრო დაუდგა. კერძოდ, ურუშაძემ მშვენივრად ითამაშა მოსკოვში იტალიელებთან შესარჩევ მატჩში, მოქმედებდა მშვიდად, თავისი ძალის სრული რწმენით და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა.

საბჭოთა ნაკრებს მართლაც მეტად ძნელი წინასწარი თამაშების ჩატარება მოუხდა. საფინალო ოთხეულში მოსახვედრად, ანუ ესპანეთში გასამგზავრებლად, საჭირო იყო იტალიისა და შვეციის ძლიერი ნაკრებების დამარცხება. საინტერესოა აღინიშნოსნ რომ ამ მატჩებამდე არც „სკუადრა აძურას“, არც „ტრე კრუნურს“ მთელი ნელინადნახევრის განმავლობაში ერთი წაგებაც კი არა ჰქონია. საბჭოთა ნაკრებმა ორივე შემთხვევაში შეძლო წარმატების მიღწევა. იტალიელებთან 2:0, 1:1, შვედებთან კი 1:1, 3:1. რაც შეეხება ნახევარფინალს, რომელიც ესპანეთში ჩატარდა, აქ საბჭოთა ნაკრებმა შედარებით იოლად დაამარცხა დანიის ნაკრები. —3:0.მეორე გუნდი, რომელიც ფინალში გავიდა, მასპინძლების, ესპანელების ნაკრები იყო, რომელსაც ხოსე ვილალონგი წვრთნიდა.

ფინალური მატჩი გაიმართა მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე 1964 წლის 21 ივნისს და მას 79115 მაყურებელი ესწრებოდა. მატჩს სჯიდნენ ჰოლენდი (ინგლისი),ზეჩევიჩი (იუგოსლავია) და ბლავიე (ბელგია).

გუნდების შემადგენლობები: **ესპანეთი**-ირიბარი რივილია, ოლიველია (კაპიტანი), ზოკო, კალიეხა, ფუსტე, სუარესი, პერედა, ამანსიო, მარსელინო, ლაპეტრა. **საბჭოთა კავშირი** — იაშინი, მუდრიკი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, კორნეევი, ვორონინი, ჩისლენკო, ვალ. ივანოვი, (კაპიტანი), პონედელნიკი, ჰუსაინოვი.

რა თქმა უნდა, მასპინძლების რიგებში რამდენიმე გამოჩენილი ოსტატი გამოდიოდა. ბასკი ხოსე ანხელი ირიბარი (დაიბად. 1943წ.) ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში. მაღალი, ფიზიკურად ძლიერი, გაბედული, არტისტული სტილით მოთამაშე. იგი ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად იყო მიჩნეული და მსოფლიოს შემდეგ(1966წლის) ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. კიდევ უფრო მეტი სახელი ჰქონდა მოპოვებული უნივერსალურ მოთამაშე ლუის სუარესს (დაიბ.1935წელს),უზადო დირიჟორს, რომელიც იმ წლებში მილანის „ინტერნაციონალში“ გამოდიოდა. იგი 1960 წელს ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარეს, მიენიჭა ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდო „ოქროს ბურთი“. სუარესს ჰქონდა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის გამოცდილება. ამ შეჯიბრებაში მან შემდეგაც, 1966 წელს ითამაშა. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას ნამდვილი თავსატეხი გაუჩნდა რა მოეხერხებინა ამ უბრწყინვალესი ტექნიკოსა და დიდებული ტაქტიკური ალღოს მქონე ფეხბურთელისათვის, მისი მოულოდნელი გადა[ცემებისა და ადრესატებისათვის კიდევ ერთი საზრუნავი იყო — ამარო ვარელოს ამანსიო (დაიბ.1939 წელს), მეტად სახიფათო ფორვარდი, რომელიც ხან ფრთებიდან უტევდან ხან დრიბლინგით შედიოდა ცენტრში. იგი ამ მომენტისათვის მადრიდის „რეალის“ თავდასხმის ლიდერი იყო. რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღებას მოითხოვდნენ ესპანეთის ნაკრების დანარჩენი ფეხბურთელებიც, კერძოდ, სწრაფი და შედეგიანი ცენტრალური თავდამსხმელი მარსელინო.

ახლა კი მოვუსმინოთ საბ-



ამანსიო

ჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს კონსტანტინე ბესკოვს, ფინალური მატჩის, ასე ვთქვათ, მისეულ ინტერპრეტაციას — „მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ, როგორც ეს ფეხბურთში ხშირად ხდებან ამჯერად ბედმა ჩვენს ჰეტოქეებს გაუღიმა და ჩვენ წავაგეთ ანგარიშით 1:2.

ძირითადი მოვლენები, როგორსაც მე მოველოდი კიდეც, თამაშის დასაწყისში და დასასრულს მოხდა. ასეთი დონის მატჩებისათვის ჩვეულებრივი დაზვერვა დიდხანს არ გაგრძელებულა ესპანელები რომლებსაც მხურვალედ უჭერდნენ მხარს გულშემატკივრები, ბუნებრივია უფრო აქტიურები იყვნენ. მეშვიდე წუთზე მათმა ნახევარმცველმა პერედამ აჯობა ლევ იაშინს და გახსნა ანგარიში. მაგრამ, ჩვენი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, მათ ფარხმალი არ დაუყრიათ. წუთიც კი არ იყო გასულინ რომ გალიმზიან ჰუსიანოვმა ანგირიში გაათანაბრა. შემდეგში სახიფათო მომენტები მორიგეობით ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდნენ მეკარეები. უნდა ითქვას, რომ ირიბარმა ვთავის საფეხბურთო კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. არაერთხელ იყვნენ ახლოს მიზანთან ვორონინი ჩისლენკი, ივანოვი, პონედელნიკი, მაგრამ სამწუხაროდ ვერაფერს გახდნენ... თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი ის, რაც ჩვენმა თავდამსხმელებმა ვერ მოახერხეს, გააკეთა ესპანელმა მარხელინომ. სწორედ მისმა გოლმა გადაწყვიტა ამ დრამატული მატჩის ბედი. ჩვენ სამწუხაროდ მდგომარეობის გამოსასწორებლად ძალიან ცოტა დროღა გვრჩებოდა.

„სანტიაგო ბერნაბეუს“ ხალხით გადაჭედილი სტადიონი ზეიმობდა, ალტაცებას გამოხატავდა. მატჩს თვით ფრანკო ესწრებოდა. ახლა, ამდენი დროის გასვლის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში ჩვენი გამარჯვება თითქმის შეუძლებელი იყო. მეორე ადგილი დავიკავეთ, შინ ვერცხლის მედლებით დავბრუნდით, მაგრამ მოსკოვში ფრიად გულცივი შეხვედრა გველოდა. ჩვენი გამოსვლა შეაფასეს, როგორც აშკარა მარცხი და გუნდს მთელი ხელმძღვანელობა კვლავ გაანთავისუფლეს სამუშაოდან. იმ წლებში ისე მიიჩნევდნენ, რომ ევროპაში მაინც ყოველთვის პირველები უნდა ვყოფილიყავით.მაშ ასე, ევროპის თასი ესპანელების ხელში აღმოჩნდა ისისნი ამ ჯილდოს მეორე და უკანასკნელი მფლობელები აღმოჩნდნენ. კონტინენტის უძლიერესი ნაკრების შეჯიბრებას ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი დაერქვა. ოლიმპიური სისტემა ნაწილობრივ უარყოფილი იქნა. ახალი ფორმულით, შეჯიბრების მონაწილეები შესარჩევ ჯგუფებად იყოფოდნენ, ასეთი კი 8 იყო. შესარჩევ ჯგუფებში ბრძოლა ორ წრედ მიმდინარეობდა. ასე უნდა გამოვლენილიყო 8 გამრჯვებულინ რომელთათვის ახალი წილისყრა ეწყებოდა. ოთხი მეოთხედფინალური წყვილი კვლავ ორჯერ შეხვდებოდა ერთმანეთს, გამარჯვებ[...] ერთად მოიყრიდნენ [...] ოლიმპიური სის[...] შებდნენ. ეს ფინ[...] იმ რომელიმე ქვ[...] ჩატარებულიყო [...] რებიც უძლიერესი [...] მოხვდებოდა რაც [...] ყურებლის მიზიდ[...] კეთდებოდა.

ბიძი ბა[...]

ფეხბურთი [...]

# განრიგი ნამდვილად მეფურია

გთავაზობთ 1998 წლის მსოფლიო პირველობის II ევროპული ჯგუფის განრიგს

FRANCE 98

1 სექტემბერი
მოლდოვა — ინგლისი

5 ოქტომბერი
მოლდოვა—იტალია

9 ოქტომბერი
იტალია—საქართველო
ინგლისი—პოლონეთი

9 ნოემბერი
საქართველო—ინგლისი

10 ნოემბერი
პოლონეთი—მოლდოვა

1997 წელი

12 თებერვალი
ინგლისი—იტალია

29 მარტი
იტალია—მოლდოვა

2 აპრილი
პოლონეთი—იტალია

30 აპრილი
ინგლისი—საქართველო
იტალია—პოლონეთი

31 მაისი
[...] ინგლისი

[...] მოლდოვა

[...] ველო

[...] ლია

[...] ვა

24 სექტემბერი
მოლდოვა—საქართველო

7 ოქტომბერი
მოლდოვა—პოლონეთი

11 ოქტომბერი
საქართველო—პოლონეთი
იტალია—ინგლისი

[...]ნდალი

# [ე]დმუნდოს პატიმრობა ემუქრება



[...]მუნდო თავის მეგობ[...] ერთად [...]-ერთ ბარში იმ[...] გამთენიისას, [...] მსუბუქი ავტო[...] გოგონა სახლში [...] 95 კილომეტრი [...] განავითარა და [...] შეასკდა წინ მი[...] „ფიატის“ მარკის [...]. ავარიის შე[...] ედმუნდოს მანქანაში მჯდომი გოგონა და „ფიატის“ 2 მგზავრი გარდაიცვალა.

სულ ახლახან ფეხბურთელი „ფლამენგოს“ ხან-პაულუს „კორინტიანსს“ ათხოვა. იქ ჩასულ ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელს ვარჯიშზე მხოლოდ 500 მაყურებელი დაესწრო. ერთი სიტყვით, ედმუნდოს ცივად შეხვდნენ. „მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კვლავ „კორინტიანსს“ დავუბრუნდი, — განაცხადა ვარჯიშის შემდეგ ედმუნდომ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად იქნება“. ამ დროს ცნობილი გახდა, რომ ედმუნდოს, შემთხვევითი ავარიისთვის (გამოძიება ამტკიცებს, რომ ავტომობილის მართვის დროს ფეხბურთელს ალკოჰოლი ჰქონდა მიღებული), რომელმაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 12 წლით პატიმრობა ემუქრება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

შალვა ქორიძე

# ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲐ ᲙᲐᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲠᲔᲖᲣᲡᲘᲐ

ეჭვი არავის ეპარება, რომ კლაუდია შიფერი მდიდარია. მაგრამ, ალბათ, წარმოდგენაც არა გაქვთ, რამდენად მდიდარია იგი!

კლაუდიას ხშირად ვხედავთ ტელევიზორის ეკრანებზე მოდების ჩვენებისას სხვა-სხვა ტანსაცმელში გამოწყობილს. იცით, რა-



მდენს უხდიან მას დღეში საშუალოდ? — ასი ათას ფრანკს! მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ოცდაათიოდე წლის ტოპ-მოდელს შეუძლია თავისი კაპიტალის ხელუხლებლად, სიცოცხლის ბოლომდე დახარჯოს 50 ათასი ფრანკი... დღეში. მითიური კრეზუსივით, რასაც კი კლაუდია ხელს შეახებს, ოქროდ იქცევა: კასეტები, კალენდრები, სუნამოები, პარფიუმერიის ნაწარმი, ტანსაცმელი, ყველაფერი, რასაც კლაუდია შიფერის სახელი აწერია, კარგა გვარიან შემოსავალს იძლევა.

მაგრამ ქალბატონი, რომელსაც ლოგონტენის ჭრიჭინობელასავით უზრუნველი ცხოვრება გარანტირებული აქვს, უფრო ჭიანჭველას ცხოვრების „სტილს" ირჩევს თავისი ქონების მართვის საქმეში და ფულს როდი ანიავებს.

მას ერთი, არცთუ დიდი ბინა მონაკოში აქვს; მეორე — პარიზში, მარეს რაიონში; მესამე კი კუნძულ მაიორკის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ბავშვობაში არდადეგებს ატარებდა. ისე, რომ მას არა აქვს არც ჰოლივუდისეული ოცნების სასახლე, არც უსახურავო როლს-როისი, არც მოსამსახურეთა არმია.

კლაუდიას უზარმაზარ ქონებას ძალზე ჭკვიანურად მართავენ მისი მშობლები, რომლებმაც თავიდან ფეხებამდე დააზღვიეს თავიანთი „ოქროს გოგონას" სოცნებო სხეული.

უსიამოვნების შემთხვევაში კლაუდია 16 მილიონ ფრანკს მიიღებს. სადაზღვევო პოლისი წლიურად 148 500 ფრანკი უჯდება. ერთი დღის ანაზღაურებაზე ოდნავ მეტი, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირს, არა?!

კლაუდიას რეალური შემოსავალი საიდუმლოა, სამაგიეროდ, ცნობილია მისი რეაქცია მისივე კოლეგების განცხადებაზე, რომ ტოპ-მოდელებს საქმიანობაში მეტისმეტად ბევრს უხდიან.

კლაუდია აბსოლუტურ უაზრობად მიიჩნევს ამ ნათქვამს და ამბობს: თუ მართლა სურთ რაიმეს გაკეთება, უბედურებისა და სილარიბის წინააღმდეგ ტანჯულ-



თა ხვედრის შესამსუბუქებლად, გაიღონ მოგებული ფულით.

ცხადია, კლაუდიას უყვარს თავისი პროფესია და სურს, ღირსეულად ემსახუროს საყვარელ საქმეს. ასევე, ეამაყება, რომ მსოფლიოს ულამაზეს ქალთა შორის ისიცაა. იგი გულუხვად გასცემს შესაწირს, რათა ხვედრი შეუმსუბუქოს ადამიანებს.

კლაუდია უამრავ ფულს აძლევს ავადმყოფ ბავშვთა დახმარების ასოციაცია „პატარა პრინცს".

მდიდარია კლაუდია შიფერი? — დიახ, მდიდარიცაა და გულუხვიც.

„ფრანს დიმანში" თარგმნა

**ია ნაცვლიშვილმა**

## მეცამეტე ბავშვი

ვუდი ალენმა განაცხადა, რომ ბავშვი უნდა იშვილოს. ამას თავისი ყოფილი მეუღლის, მია ფაროუს ჯიბრზე ხომ არ აკეთებს? მაშინ ვუდის დიდი გზის გავლა მოუხდება: მიამ უკვე მეცამეტე ბავშვი იშვილა.

## მწვანე კნუტი

მის გრინი — მსოფლიოში პირველი მწვანე ფერის კნუტი, რომელიც ოქტომბერში დაიბადა დანიაში, კვირაობით მნახველებს დანიის ბუნების ისტორიის მუზეუმში „იღებდა".

მის გრინი დანიის ერთ-ერთ ფერმაში დაიბადა და უცნაური ფერის გამო საყოველთაო ყურადღების ობიექტად იქცა. ვეტერინარებმა ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დაასკვნეს, რომ მის გრინის მწვანე ბეწვი ბუნებრივი გახლდათ.

კნუტს დედა შავი ჰყავს, მამა კი ვერ იპოვეს.

მის გრინი სხვა კნუტთან ერთად მოთავსებული იყო სპეციალურ გალიაში, რათა მრავალრიცხოვან ცნობისმოყვარეებს მისთვის ზურგზე ხელი არ გადაესვათ

## თუკი ცვლილებები მეზობლებს ეხება

ფრანგები ამგვარად არიან მოწყობილები: ისინი ყოველთვის მიესალმებიან ყოველგვარ ცვლილებას, იმ პირობით, თუკი ეს [ცვ]ლილებები მეზობლებს ეხე[ბა]

## წლის საუკეთეს[ო]

ჰუგ გრანტზე ისე[...] პარაკდნენ. სკანდალი არ მომხდარა. უბ[...] „ოთხი ქორწინებისა და ერთი დაკრძალვის" მთავარი გმირი ინგლისელმა ქალებმა წლის ყველაზე სექსუალურ



სათვალიან მამაკაცად დ[...]ლეს. გამარჯვებულმა მოიტოვა სილვესტერ ს[...]ნე და პრემიერმინისტრ[ი] მეიჯორი

## ერთი კარგი საქმ[ე] მაინც....

ახლო აღმოსავლეთ[ში] მხდარმა ბოლო მიწ[...] ერთი კარგი საქმე [...] გააკეთა: ისრაელელი ცო[...]რი რამდენიმე თვის მა[...] სხვადასხვა ოთახში ი[...] და განქორწინების პრ[...] ფინალს ელოდა. მიწ[...] ცოლ-ქმარს ძილის დრ[...] წოლში მოუსწრო. შ[...] აკანკალებულ ქალ[...] სრულიად გადაავიწყდა [...] თქილება და თავშ[...] მეუღლის საიმედო [...] ჰპოვა. სამხედრო რადი[...]ლის მომავალ გეგმებზ[...] რაფერს იუწყება.



ალეკ ბოლდუინი, მართლაც, მეცხრე ცაზე იყო, რადგან 23 ოქტომბერს კიმ ბესინჯერმა შესანიშნავი ოთხკილოიანი გოგონა დაბადა. ალეკმა და კიმმა შვილს აირლანდ ელაისი დაარქვეს. როდესაც ბედნიერმა წყვილმა კლინიკა დატოვა და სახლში დაბრუნდა, ალეკი სიბრაზისგან ერთიანად გაწითლდა ჟურნალისტებით გარშემორტყმული ვილა რომ დაინახა. პირველივე მოახლოებულ ჟურნალისტს ანგარიში გაუსწორა და საბოლოოდ, ჟურნალისტის ჩამტვრეული ცხვირის გამო, მთელი დღე პოლიციაში მოუხდა ყოფნა. მოკლედ, ყველაფერი კარგად იწყება

* * *

...მადონა, მართლაც შესანიშნავი მაყურებელი ყოფილა. მას შემდეგ, რაც რონ ოვარდის ბოლო ფილმი — „აპოლონ 13" (ტომ ჰენკსის მონაწილეობით) ნახა, მომღერალი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს — მთვარეზე სურს წასვლა!



მადონა ნასას ხელმძღვანელებსაც შეხვდა, რათა თავისი კანდიდატურა მომავალი კოსმოსური ექსპედიციებისთვის შეეთავაზებინა. გინესის რეკორდების წიგნში ხომ არ სურს მოხვედრა, როგორც პირველ მომღერალ კოსმონავტს, ანდა იმის დამტკიცება, რომ ვარსკვლავთა ვარსკვლავია? თუ მადონა, მართლაც, გაემგზავრება კოსმოსში, იმედი ვიქონიოთ, რომ მოგზაურობას არ ექნება ისეთივე ტრაგიკული დასასრული, როგორიც მადონასთვის მადის ალმძვრელ ფილმს...

* * *



საზოგადოება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს ცნობილი პიროვნებების მიმართ. შეუმჩნეველი არ დარჩენილა კატრინ დენევის მოსვლა მადლენის თეატრში ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცის თანხლებით. იგი აღმოჩნდა კატრინ დენევის ვაჟი, ოცდათორმეტი წლის კრისტიან ვადიმი.

***

ანუკ ემეს ჯიბეებში ხელების ჩაყოფა არ ჰყვარებია, რადგანაც წუთითაც კი ვერ აჩერებს. განა სხვებიც ასევე არ ხმარობენ ხელებს? — მართებულად იკითხავთ თქვენ. რასაკვირველია, ასეა, მაგრამ ანუკი, მართლაც რომ გამოირჩევა. იგი აუცილებლად ყველაფერს უნდა შეეხოს. როგორც თვითონვე აღიარა, მხოლოდ ერთი გრძნობა რომ დაუტოვონ, აუცილებლად შეხებას აირჩევდა. მიუვარს ქსოვილებისთვის ხელის გადასმა, ჩემი კატების მოფერება, ყველაფერი ნაზი, თბილი და გლუვი — აღიარა მან. ხოლო, როცა მუზეუმებში მიდის, ქანდაკებისა თუ სურათებისთვის ხელის შეხების სურვილი კლავს.

დამფუძნებელია საბჭოს თავჯდომარე და მთავარი რედაქტორი

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ

მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ

გენერალური დირექტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲚᲘᲐ

პასუხისმგებელი რედაქტორი ᲖᲐᲖᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1-1. ზედაპირის დაყოფა სამკუთხედებად; 2-2. საჭადრაკო სვლა; 3-3. გრძელი გალერეა — პორტიკი, რომელსაც ერთ მხარეს გასდევს სვეტების 1 ან 2 მწკრივი, ხოლო მეორე მხარეს კედელი; 4-4. აპარატი, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩართავს ან გამორთავს რაიმე სისტემას ან აპარატს; 5-5. სასიამოვნო; 6-6. მოშაირე; 7-7. რაიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება; 8-8. მესაქონლე ტომების საცხოვრებელი ადგილი აფრიკაში; 9-9. შუმერული მთვარის ღვთაება; 10-10. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 11-11. სახურავი მასალა; 12-12. ბიბლიური სასმისი; 13-13. საავტომობილო ტრანსპორტი; 14-14. ბრტყელი, მაგარი ჩალის ქუდი; 15-15. შეჯიბრი თხილამურებით მიხვეულ-მოხვეული მარშრუტით; 16-16. სოხუმი აფხაზურად; 17-17. გაერთიანება, კავშირი; 18-18. რისამე დრამატიზმის გაძლიერება.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 19-19. ძველი საბერძნეთის მეცნიერი, წარმოშობით სირაკუზელი; 20-6. სინათლის გაძლიერება ინდუცირებული გამოსხივებით; 21-21. ათენას რომაული შესატყვისი; 22-22. ნერონის დედა; 23-23. გულისცემა; 24-24. შურდულით მოკლული; 25-7. მრუდწირული მოხაზულობის მზიდი სიბრტყული კონსტრუქცია; 26-26. გარემოება, მდგომარეობა; 27-27. თევზსაჭერი ან სამხედრო გემი; 22-28. ისტორიული ოლქი ძველ საბერძნეთში; 23-29. დიდი, უქორჩო, გრძელბოლოიანი თუთიყუში, გავრცელებული ამერიკაში; 30-30. ღრუნაწლავიანთა მატლის განვი[თარების] ერთ-ერთი სტადია; 31-31. მეტისმეტად ძლიერი ფიზიკური ან ზნეობრივი ძალის, განსაკუთრებ[ით] ჭკუის, ტალანტის მქონე; 32-32. ძიუდოს ხალიჩა; 33-33. ამერიკის ექსპრეზიდენტი; 28-34. რ[...] ბერძნულად; 29-35. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 30-36. ისტორიული ოლქი მდინარე [...] ზემო და შუა წელზე; 37-37. ევროპული ქვეყნის დედაქალაქი; 38-38. მთელის ნაწილების [...] შეხამება, შეთანხმებულობა, თანაზომიერება.

ᲓᲘᲐᲒᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 39-9. ტიბეტური ხარი; 40-9. სიგრძის საზომი ერთეული ფეოდა[ლურ] საქართველოში; 11-41. ძველი რომის მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი — გრძელი თეთრი ნამოსა[...] 11-42. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს რაიმე ადგილთან დაკავშირებულ[...]

ᲬᲠᲘᲣᲚᲐᲓ 31-19. ხორბლისა და ჭვავის ჰიბრიდი, უხვმოსავლიანია; 38-26. მეცნიერ[ება ...] ცხენების შესახებ.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. გობელენი; 5. აბისინია; 10. რეიკიავიკი; 11. ეკალი; 12. არიფი; 13. ფოლკლ[...] იკიკე; 15. დაირა; 16. დიფთერია; 20. აქლემი; 22. სიგალი; 24. ფრანტი; 25. ტუნისი; 27. ა[...] სორდი; 32. სარმა; 34. ქლინტონი; 35. ურიკა; 37. ნაკლი; 38გლადიატორი; 39. იმიტაცია; 40. მიხე[...]

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. გენეტიკა; 2. ბუხარი; 3. ლირი; 4. ნაირობი; 6. ბაიერნი; 7. სვია; 8. ნადიმი; 9. ა[...] 16. დიქცია; 17. ფინიკი; 18. რუანდა; 19. ასპიტი; 21. ლირა; 23. აული; 24. ფასკუნჯი; 26. ილარი[...] [...]ეილმარი; 29. ჟუნიორი; 31. რაიონი; 33. რაკეტა; 36. აგრა; 37. ნიჭი.


19-26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1996 19-26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1996 19-26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1996